

ლ. ელვაქიანი

სოციალური დაზღვევა
საქართველოში ≡≡≡
და მისი განვითარების საფუძვლები

საქართველოს პროფკავშირების გამომცემლობა „პ. რ. მ. ე.“

თფილისის დამზღვევი კასა.

თფილისი

1926

ეს შრომა წარმოადგენს ცდას შეავსოს ეს ნაკლულ-
ვანება, ხაზი გაუსვას სოციალურ დაზღვევის და კანონმდებლობის
განვითარების საფუძვლებს საქართველოში წინარევოლუციურ და
საბჭოთა რუსეთის დაზღვევის კანონმდებლობასთან საერთო დაკავში-
რებით.

ამ მიზნით ისტორია დაზღვევის კანონმდებლობისა და სოცია-
ლურ დაზღვევის პრაქტიკისა საქართველოში ჩვენ შემდეგ ოთხ
პერიოდით დავყავით:

1. სოციალური დაზღვევა 1917 წლის თებერვლის რევოლუ-
ციამდე.
2. სოციალური დაზღვევა 1917 წლის თებერვლის რევოლუ-
ციის შემდეგ.
3. სოციალური დაზღვევა საქართველოში მენშევიკურ მთავ-
რობის დროს.
4. სოციალური დაზღვევა საბჭოთა საქართველოში.

ლ. ელბაქიანი.

1925 წ. დეკემბერი.

ტ ფ ი ლ ი ს ი.

თავი პირველი.

წინასწარი შენიშვნები.

სოციალური დაზღვევის განვითარება საქართველოში თებერვლის რევოლუციამდე მკიდროთ არის დაკავშირებული ყოფილი რუსეთის იმპერიის საერთო დაზღვევის კანონმდებლობასთან. განსხვავება მხოლოდ დაზღვეულთა რაოდენობასა და დაზღვევის მოძრაობის ტენზიაშია. დაზღვევის კანონმდებლობას, რომელიც მსხვილი სამრეწველო წამოწყებებისათვის იყო გათვალისწინებული, ბუნებრივია არ შეეძლო მოეპოვებია ნიადაგი ფართო გამოყენებისათვის საქართველოში, უმთავრესად სამიწადმოქმედო ქვეყანაში, სადაც წვრილი ხელოსნური წარმოება სჭარბობს, სადაც საწარმოო ძალები მეტის მეტად სუსტად იყო განვითარებული და სამრეწველო პროლეტარიატი ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხვის ორ პროცენტს ძლივს შეადგენდა.

ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ თებერვლის რევოლუციამდე საავადმყოფო კასები უმთავრესად ყოფილ ტფილისის გუბერნიაში იყო დაარსებული; ხოლო ბათუმის ოლქში, ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში, სადაც საფაბრიკო-საქარბნო წამოწყებათა შეზღუდული რიცხვი თუ მოიპოვებოდა, საავადმყოფო კასები სუსტად იყო განვითარებული.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, ესე იგი მას შემდეგ, რაც დროებითნა მთავრობამ შესცვალა კანონი დაზღვევის შესახებ ავადმყოფობის შემთხვევაში, სოციალური დაზღვევა, მართალია ნელი ტემპით, მაგრამ საქართველოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებშიაც განვითარდა.

1917 წლის შემდეგ საავადმყოფო კასები მოეწყო: ფოთში, ტყვიბულში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში, მაგრამ დაზღვეულთა საერთო რიცხვი მთელს რესპუბლიკაში 1920 წლის დასასრულს 10.000 კაცს ძლივს აღემატებოდა: (ავადმყოფობის შემთხვევისათვის—9.800 კაცი იყო დაზღვეული, ხოლო უბედურ შემთხვევისაგან—10.000 კაცი).

კასები არსდებოდნენ და ვითარდებოდნენ ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების თაოსნობით; არ იყო საერთო ხელმძღვანელობა, რის გამოც მათ მოქმედებას დიდი სიჭრელე ემჩნეოდა.

არე-დარევას და სიჭრელეს კასების მონაწილეთათვის საექიმო დახმარების ორგანიზაციის დარგშიაც ჰქონდა ადგილი. ზოგიერთმა კასებმა (სოხუმის) საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე წარმოშობისთანავე თავიანთ გამგებლობაში აიღეს; სხვებმა მათ მიბაძეს (ბათუმის, ფოთის), მაგრამ საექიმო დახმარების სახეებს შორის და ამ საქმის დაყენებაში ერთგვარობა დაცული მაინც არ იყო.

სოციალური დაზღვევის მოძრაობის ცენტრს საქართველოში, როგორც 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე, ისე მას შემდეგაც ტფილისი შეადგენს.

ტფილისის საავადმყოფო კასები, რომლებიც ყველაზე ადრე წარმოიშვნენ და რომლებსაც მომზადებული მუშაკები ხელმძღვანელობდნენ, საქართველოს სხვა ქალაქებში წარმოშობილ კასების საუკეთესო ნიმუშს, მათთვის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდნენ.

ტფილისის საავადმყოფო კასების გავლენამ რესპუბლიკის დანარჩენ საავადმყოფო კასებზე უფრო მტკიცე ხასიათი მას შემდეგ მიიღო, რაც ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასა წარმოიშვა. ეს გავლენა გაიზარდა და კიდევ უფრო განმტკიცდა მხოლოდ 1919 წლის მეორე ნახევრიდან.

აქედან მოყოლებული ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასა ფაქტიურად რესპუბლიკანურ კასად გადაქცა; იგი აძლევდა ტონსა და საერთო მიმართებას მთელს დაზღვევის მოძრაობას საქართველოში.

ამიტომ, სოციალურ დაზღვევის მოძრაობის განვითარების ისტორიის შედგენის დროს, ჩვენ უფრო ვრცლად ყოფილ ტფილისის გუბერნიაზე შევჩერდებით.

საქართველოს

მრავალკლასობა.

ვიდრე საავადმყოფო კასების ორგანიზაციის მიმოხილვას შევუდგებოდეთ, ჩვენ გვმართებს მივცეთ მკითხველებს ერთგვარი წარმოდგენა მაინც თვით საქართველოს მრეწველობაზე, რომელიც წარმოადგენდა საფუძველს, რაზედაც სოციალური დაზღვევის მომავალი შენობა უნდა აგებულიყო.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველოში ინდუსტრია არ არის, ინდუსტრიალური პროლეტარიატის რიცხვი მოსახლეობის სა-

ერთო რიცხვთან შედარებით-მცირეა. მიუხედავად ამისა 1912 წლის მეფის მთავრობის დაზღვევის კანონმდებლობა საქართველოს ტერიტორიაზეც იყო გავრცელებული. *)

თავის დროზე საქართველოს მუშათა კლასმა, თავის ქვეყნის მცირე მიწიან გლეხობაზე დაყრდნობილმა, იმ გლეხობაზე, რომელიც თავის ბიუჯეტის უმეტესს ნაწილს ეკონომიურ პირობებისა გამო გასაველ სარეწაოებზე მუშაობით ავსებდა და ამით მუშათა კლასის ბრძოლას თანდათან ეზიარებოდა, — რუსეთის პროლეტარიატის განმათავისუფლებელ მოძრაობაში ცარიზმის წინააღმდეგ, თვალსაჩინო როლი ითამაშა.

თვითმპყრობელურ მთავრობას, რომელიც ყოველმხრივ აფერხებდა განაპირა ქვეყნების და მათ შორის საქართველოს სამრეწველო ძალების განვითარებას, ამ გარემოებისათვის არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია.

დაზღვევის კანონების გამოცემის და საავადმყოფო კასების ფაქტიურად წარმოშეების წლებში, საფაბრიკო-საქარხნო წამოწყებათა და მუშების რიცხვი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მის ახლანდელ ფარგლებში შავი-ქვის მრეწველობის გამოკლებით, შემდეგ სახით წარმოგვიდგება:

წლები	აღმოსავლეთი საქართველო		დასავლეთი საქართველო		აკარისტანი		აფხაზეთი		ს	ჯ	შ
	დაწესებულებათა რიცხვი	მუშების რიცხვი მათში	დაწესებულებათა რიცხვი	მუშების რიცხვი მათში	დაწესებულებათა რიცხვი	მუშების რიცხვი მათში	დაწესებულებათა რიცხვი	მუშების რიცხვი მათში			
	1912	172	5323	5	443	14	1057	—			
1913	161	5680	16	757	25	1461	3	42	205	7940 ^{*)}	
1914	166	5747	20	872	28	1149	3	39	217	7807	

*) როგორც ცნობილია 1912 წლის კანონის მოქმედება მთელს ყოფილ რუსეთის იმპერიაზე არ ვრცელდებოდა.

**) სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო. საქართველოს სტატისტიკური კრებული 1909—1921 წ.წ. ტფილისი, 1923 წ. გვ. 44.

ამრიგად წამოწყებებისა და მუშების უდიდესი ნაწილი მოდის აღმოსავლეთ საქართველოზე, უკეთ რომ ვთქვათ ტფილისის გუბერნიასა და თვით ტფილისზე, სადაც უმთავრესად დამამუშავებელი წარწველობა იყო დაგროვილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ალავერდის სპილენძის მალარობებსა და ქარხნებს, რომელიც მაშინ ტფილისის გუბერნიაში შედიოდა, მაგრამ საფრანგეთის კაპიტალს ეკუთვნოდა.

მაგალითად, 1912 წ., როცა დაზღვევის კანონი იქნა მიღებული, ახლანდელ საქართველოს სამრეწველო დაწესებულებების საერთო რიცხვიდან 172, ე. ი. 90%, მუშებრიდან კი 5323, ე. ი. 78%, ტფილისისა და მის გუბერნიაზე მოდიოდა. მაგრამ ეს ციფრები სრულიად არ წარმოადგენენ იმ პირთა რაოდენობის მაჩვენებლებს, რომლებიც 1912 წ. კანონის მიხედვით უნდა დაზღვეულ ყოფილიყვნენ.

დაზღვევა ავადმყოფო-ფოკის შემთხვევაში. 1912 წლის კანონების მოქმედება, როცა ცნობილია, ვრცელდებოდა არა ცალკე მუშებზე, არამედ სამრეწველო დაწესებულებებზე, და ისიც არა ყველაზე, არამედ ეგრედ წოდებულ „ცენტრიან წამოწყებებზე“, ესე იგი იმ „საფაბრიკო-საქარხნო, სამთო და სამთო-საქარხნო, სარკინისგზო“, შინაგან წყლებზე (მდინარეებზე, არხებზე, შინაგან ტბებზე და ზღვებზე) საგემთამომოსვლო და ტრამვაის წამოწყებებზე, რომლებშიაც მუდმივ დაკავებული არიან არა უმცირეს ოცი მუშისა და სადაც გამოყენებულია ისეთი ორთქლის ქვაბები და მანქანები, რომლებიც მოძრაობაში ბუნების ძალებს) წყალს, ჰაერს, ელექტრონს და სხვა) ან და ცხოველებს, და აგრეთვე ის ზემოდ აღნიშნული წამოწყებები, რომლებშიაც მართალია ორთქლის ქვაბები ან და ხსენებული მანქანები არ არის გამოყენებული, მაგრამ არა უმცირეს 30 მუშისა მაინც არის დაკავებული, თითოში“ (პირველი კანონის მუხლიდან).

სახელმწიფო წამოწყებებზე და მათ შორის რკინის გზებზე (სახაზინო) დაზღვევა არ ვრცელდებოდა.

ცხადია, იმ მუშების რიცხვის გამოსარკვევად, რომლებიც უნდა დაზღვეულ ყოფილიყვნენ, ჩვენ უნდა გავეცნოთ წამოწყებებს, რომლებსაც 20—30 მუდმივი მუშა ჰყავდათ.

საგრაჯოვო დავაგებულებების (ტოქსის გუბერნიის) განაწილება

მათში დაკავებულ მუშების რიცხვის მიხედვით*)

ც ო ც ნ ა	1-11 მუშა		11-20 მუშა		21-30 მუშა		31-50 მუშა		51-100 მუშა		101-200 მუშა		201-400 მუშა		401-500 მუშა		ს უ ლ	
	სენტიანტა	რეპრეზენტანტი	სენტიანტა	რეპრეზენტანტი	სენტიანტა	რეპრეზენტანტი	სენტიანტა	რეპრეზენტანტი	სენტიანტა	რეპრეზენტანტი	სენტიანტა	რეპრეზენტანტი	სენტიანტა	რეპრეზენტანტი	სენტიანტა	რეპრეზენტანტი	სენტიანტა	რეპრეზენტანტი
1912	69	426	28	431	26	676	27	1138	12	845	6	831	4	976	—	—	172	5323
1914	49	329	50	747	20	544	27	1034	7	588	8	1057	4	1020	1	428	166	5747

*) საფაბრიკო ინსპექციის ცნობები 1912 და 1914 წლებისათვის.

ამ რიგად 69 წამოწყება 426 მუშის საერთო რიცხვით 1912 წელს და 49 წამოწყება 329 მუშით 1914 წელს დაზღვევის კანონმდებლობის მოქმედების სფეროს გარეშე იყო დატოვებული.

ყველა სამრეწველო დაწესებულება, რომლებშიაც 20 მუშაზე მეტი ირიცხებოდა, რომ დაზღვეულიყო, მაშინაც დაწესებულებათა და მუშების საერთო რიცხვი შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

წ ლ ე ბ ი	დაწესებულება- თა რიცხვი	მუშების რიცხვი
1912	103	4.497
1914	117	5.418

ამ რიგად 1912 წლის 23 ივნისის კანონის გამოცემის დროს ტფილისსა და მის გუბერნიაში შეიძლებოდა დაზღვეულ ყოფილიყო სულ 4.497 კაცი, 1914 წელში კი, როცა საავადმყოფო კასების ორგანიზაცია უკვე თავდებოდა—დაახლოებით 6.000 კაცი.

მაგრამ ნამდვილად დაზღვეულთა რიცხვი, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, გაცილებით ნაკლები იყო.

საავადმყოფო კასები.

საავადმყოფო კასების ორგანიზაცია ქ. ტფილისში ფაქტიურად 1913 წლის მეორე ნახევარში დაიწყო.

კასების ორგანიზაციას წინ უსწრებდა საფაბრიკო ინსპექტორების ჩვეულებრივი კამპანია მუშების მიერ დაზღვევის დებულებების გაცნობის შესახებ. არსებულ ცნობების მიხედვით ქ. ტფილისის მუშები მომხსენებლებს მტრულად ხვდებოდნენ, კასების ხარჯებში მონაწილეობის და მათ გამგეობების შემადგენლობაში დანიშნულ პირების შეყვანის წინააღმდეგ მიდიოდნენ; ხშირად მაშინდელი საფაბრიკო ინსპექტორი კრებიდან ხელცარიელი გადიოდა.

წამოწყებათა მუშები დიდ ხანს არ თანხმდებოდნენ მოეწყოთ საავადმყოფო კასა იმ სახით, როგორც ეს 1912 წლის 23 ივნისის კანონიდან გამომდინარეობდა.

*) თანახმად საფაბრიკო ინსპექტორის ცნობებისა 1912 და 1914 წლები-სათვის ტფილისის გუბერნიაში არსებობდა 15 საავადმყოფო კასა, რომლებშიაც 4.920 მოხაწილე ირიცხებოდა.

მუშები, ისე როგორც რუსეთის სამრეწველო გუბერნიების პროლეტარიატი, მოითხოვდნენ, რათა დაზღვევისათვის საკირო ხარჯები მწარმოებლებზე ყოფილიყო გადატანილი. ისინი აგრეთვე იბრძოდნენ იმისათვის რომ მწარმოებლებს საავადმყოფო კასის საქმეების გამგებლობაში მონაწილეობა არ მიეღოთ.

შემდეგში საავადმყოფო კასები თანდათანობით ეწყობოდა, მაგრამ მუშების უმრავლესობა ამ კასებს სთვლიდა „არა თავის ორგანიზაციებად, არამედ თავზე მოხვეულ დაწესებულებებად, რომლებსაც ძალიან ცოტა სარგებლობა მოჰქონდათ“. *)

ასეთი შეხედულება მუშებს შორის კასის საქმეებისადმი ბუნებრივად გულგრილ დამოკიდებულებას იწვევდა.

კასების რწმუნებულთა კრებები ქვორუმის უქონლობის გამო ხშირად არ სდგებოდა, თვით მუშები კი კასის საქმეებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენდნენ. მოხერხებული მწარმოებლები კი, მასების პასიობით სარგებლობდნენ და კასებში მდგომარეობის ბატონებად ხდებოდნენ. ასეთი მდგომარეობა კასის მონაწილეთათვის არ შეიძლებოდა დიდხანს შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მუშებმა იგრძენეს, რომ საკირო იყო ტაქტიკის შეცვლა იმ მხრივ, რომ გაეძლიერებინათ თავიანთი გავლენა კასის საქმეებზე; შეიგნეს აუცილებლობა ბრძოლისა გათავხედებულ მწარმოებლების წინააღმდეგ.

ასეთი ბრძოლის აშკარა მაგალითს ჩვენ „ტფილისის სტამბების“ საერთო საადმყოფო კასის მოქმედებაში ვხედავთ.

სტამბის პატრონი დიდ ხანს ითვლებოდა ხსენებულ კასის გამგეობის თავმჯდომარედ.

იგი, საავადმყოფო კასაში იმდენად სრულუფლებიან ბატონად სთვლიდა თავის თავს, რომ კასის სახსრებს საკუთარისაგან ვერ არჩევდა: წინააღმდეგ კანონისა ამ სახსარს თავის მიმდინარე ანგარიშზე ინახავდა და საერთოდ კასის თანხებს ისე იყენებდა, როგორც ეს მას მოესურვებოდა. დაბოლოს თანხების განსაზღვრული ნაწილი კიდევაც მიითვისა.

ასეთ შემთხვევაში მუშათა ფრაქცია ჩვეულებრივად მუშების დაზღვევის საქმეთა საგუბერნიო საკრებულოს მიმართავდა, მაგრამ დადებით შედეგებს ვერასდროს ვერ ღებულობდა.

შემდეგში, კასის რწმუნებულებმა, თავიანთ საერთო კრებაზე გადასწყვიტეს წამოწყების პატრონის ბატონობისათვის ბოლო მოეღოთ,

*) იხილე საავადმყოფო კასის „ტფილისის სტამბების“ ანგარიში 1916 წლისათვის.

თავიანთ წრიდან თავმჯდომარე აირჩიეს და ამით აიძულეს სტამბის პატრონი კასის თავმჯდომარისა და მოლარის „მოვალეობანი“ თავიდან მოეხსნა. ამ რიგად საავადმყოფო კასა, რწმუნებულთა სიმტკიცისა გამო, მეპატრონეთა წარმომადგენელის „მზრუნველობისაგან“ ერთბაშად განთავისუფლდა. *)

საავადმყოფო ორგანიზაციებს, რომლებიც ანხოციელებდნენ კასეზის ტიპები. დაზღვევას ავადმყოფობის შემთხვევაში, საავადმყოფო კასები წარმოადგენდნენ. მაგრამ, კანონით ცალკე საავადმყოფო კასები შეიძლებოდა მოწყობილიყო მხოლოდ იმ წამოწყებებში, სადაც მუდმივად დაკავებულ მუშების რიცხვი 200 კაცზე ნაკლები არ იყო. იმ წამოწყებებს კი, რომლებშიც 200 მუშაზე ნაკლები ირიცხებოდა, განსაკუთრებულ ჯგუფში შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ და მოეწყოთ ეგრედ წოდებული „საერთო კასა“, მაგრამ იმ პირობით კი, რომ საერთო კასის მონაწილეთა რიცხვი 200 კაცზე ნაკლები არ ყოფილიყო.

გამონაკლისი შეიძლებოდა საგუბერნიო დამზღვევ საკრებულოს განსაკუთრებული დადგენილებით დაშვებულიყო.

იმ წამოწყებათა მუშები, რომლებშიც 200 კაცზე ნაკლები ირიცხებოდა, ძალიან ხშირად დაუზღვეველნი რჩებოდნენ. მუშები არც ისეთი ხალისით თანხმდებოდნენ დაზღვევას, მათ არ სურდათ კასაში გადასახადის შეტანა, წამოწყებათა პატრონები კი, ამ დაზღვევაში დაინტერესებულნი არ იყვნენ, ვინაიდან ისინი ამით „ზედმეტ“ ხარჯებიდან ინთავისუფლებდნენ თავს. საფაბრიკო ინსპექტორები, რომლებიც მდგომარეობით ვალდებულნი იყვნენ ის წამოწყებები, რომლებშიც 20-30 მუშა ირიცხებოდა, შესაფერ საერთო საავადმყოფო კასაზე მიეწერათ, ამ მოვლენას ზერელეთ უყურებდნენ.

ფულადი დახმარება 1912 წლის 23 ივნისის კანონით საავადკასის მონაწილეთ. მყოფო კასები ფულად დახმარებას შემდეგ შემთხვევებში იღებდნენ.

ა) მონაწილის ავადმყოფობის ან და ისეთ დასახიჩრების შემთხვევაში, რომელიც შრომის უნარის დაკარგვას იწვევდა:

ბ) მშობიარობის შემთხვევაში—კასის მონაწილე თესმძიმეებსა და მშობიარეთ.

*) იხ. „ტფილისის სტამბის“ კასის ანგარიში 1916 წლისა.

გ) მონაწილეთა გარდაცვალების შემთხვევაში—მათ დასაფლავებისათვის.

დახმარების რაოდენობა კასის მონაწილის ოჯახური მდგომარეობის მიხედვით განისაზღვრებოდა.

თავიანთ ხელფასის ნახევრიდან ვიდრე ორ მესამემამდე შრომის უნარ დაკარგული კასის ის მონაწილეები ლეზულობდნენ, რომელთა კმაყოფაზე იმყოფებოდნენ: ცოლი ან და 15 წელს მიულწვეელი კანონიერი, უკანონო, ნაშვილები ან და ქორწინებუს გარეშე დაბადებულ ბავშვები, აგრეთვე თავის აღზრდილნი ან და ხუთმეტ წელს მიულწვეელი ძმები და დები, სრული ობლები და ნათესავეები პირდაპირ აღმავალ ხაზით. კასის მარტოხელა მონაწილეები კი ფაქტიურ ხელფასის $\frac{1}{4}$ -დან $\frac{1}{2}$ -მდე ლეზულობდნენ.

შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში, კანონით, დახმარება კასის მონაწილეს დაავადყოფების მეოთხე დღიდან ეძლეოდა და ისიც მხოლოდ სამუშაო დღეების მაგრამ კანონი კასის მონაწილეთა საერთო კრებას უფლებას აძლევდა დაეწესებია როგორც დახმარების რაოდენობა ზემოდ აღნიშნულ ფარგლებში, ისე გაცემის ვადაც.

ისარგებლეს რა ამ უფლებით ტფილისის თითქმის ყველა საავადმყოფო კასამ დაადგინა: ოჯახის მყოფ კასის მონაწილეებისათვის ავადმყოფობის დროს დახმარება ხელფასის 23-ის, ხოლო მარტოხელებებისათვის ხელფასის $\frac{1}{2}$ რაოდენობით მიეცათ.

კასების უმრავლესობა მონაწილეებს დახმარებას ავადმყოფობის პირველ ან და მეოთხე დღიდან აძლევდა უქმე დღეების ჩათვლით.

შრომის უნარის დაკარგვის დროის განმავლობაში დახმარება ეძლეოდათ დაავადყოფებიდან ვიდრე უკეთ გახდომამდე, მაგრამ არა უმეტეს ექვსი თვისა.

ფულადი დახმარების რაოდენობა მშობიარობის შემთხვევაში, კასის მონაწილის ხელფასის ნახევრიდან ვიდრე სრულ ხელფასამდე ქანაობდა (ფაქტიურად 23-ზე მეტს 1916 წლამდე არც ერთ კასას არ გაუცია). დახმარება ეძლეოდათ ექვსი კვირის განმავლობაში: ორი კვირის—მშობიარობამდე, და ოთხი კვირის—მშობიარობის შემდეგ.

ფულადი დამხმარების მიღების უფლებით მშობიარობის შემთხვევაში საავადმყოფო კასების მხოლოდ ის მონაწილეები სარგებლობდნენ, რომლებიც უწყებულ კასის მონაწილეთ მშობიარობის წინა არა ნაკლებ სამი თვის განმავლობაში ირიცხებოდნენ.

კასის მონაწილის დასაფლავებისათვის, კასის გარდაცვლილ მონაწილის დღიურ ხელფასის 30-ჯერ გამრავლებულ რაოდენობით ეძლეოდათ. შემდეგში ზოგიერთმა კასებმა დააწესეს ამ დახმარების მინიმუმი რომლის დაბლაც დახმარების გაცემა შეუძლებელი იყო. ეს მინიმუმი 30 მანეთს უდრიდა. კასის იმ მონაწილეების დღიურ ხელფასის გამოსაანგარიშებლად, რომლებიც ჯილდოს თვიურად ღებულობდნენ, საავადმყოფო კასები თავიანთ მოქმედების პირველ წლებში თვიურ ხელფასს 30 ღებზე ჰყოფდნენ, 1916 წლიდან კი ნუშების მოთხოვნებით და წინააღმდეგ მწარმოებელთა სურვილისა 25 ღებზე, კვირეულ ხელფასისა კი ექვს ღებზე დაჰყოფა სწარმოებდა. ამით საავადმყოფო კასებმა თავიანთ მონაწილეებს რეალური დახმარება გაუდიდეს.

**ფულადი დახმარება
კასის მონაწილის
ოჯახის წევრებს.**

საკითხი კასის მონაწილის ოჯახის წევრთათვის ფულადი დახმარების სახეებისა და შესაძლებლობის შესახებ საავადმყოფო კასების მუშათა ფრაქციებში კასების არსებობის თითქმის პირველ დღეებიდანვე დაისვა. მაგრამ შეზღუდული სახსრები კასებს არ აძლევდა ხსენებულ ხარჯების გაღების საშუალებას, ამიტომ ოჯახის წევრები არავითარ დახმარებას არ ღებულობდნენ. გამონაკლისს შეადგენდა საავადმყოფო კასა „ტრამვაი“ რომელიც თავის მონაწილის ოჯახის წევრებს როგორც საექიმო, ისე ფულად დახმარებას აძლევდა.

1914-1915 წლებში საავადმყოფო კასებმა თავის მონაწილის ოჯახის წევრის დასაფლავებისათვის დახმარების გაცემა დაიწყეს.

მოზრდილის დასაფლავებისათვის 15 მანეთს იღებდნენ, მცირე წლოვანის კი—8 მანეთს. შემდეგში ამ სახის დახმარება 20,—25 და 30 მანეთამდე იქნა აყვანილი.

მაღე ამის შემდეგ კასის მონაწილეებმა ფულადი დახმარების სხვა სახე მოიპოვეს. ისინი ცოლის მშობიარობის შემთხვევაში დახმარებას ღებულობდნენ. დახმარება 20 მანეთს უდრიდა.

დახმარების ხსენებულ სახეების შემოღება მხოლოდ მას შემდეგ ვახდა შესაძლებელი, როცა მონაწილის გადასახადის რაოდენობა საავადმყოფო კასაში გადიდა. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი.

საქიმო დახმარება
ქალ. ტფილისის სა-
ფაბრიკო-საქარხნო
მუშებს.

წინარეოლიუციონურ რუსეთში სა-
კითხი მუშებისათვის საექიმო დახმარების
მოწყობის შესახებ პირველად 1866 წელს
წარმოიშვა. და ეს მოხდა არა იმიტომ,
თითქოს მაშინდელი მთავრობა მუშების
ინტერესებისათვის ზრუნავდა. სრულიადაც არა. საქმე იმაშია,
რომ 1866 წელს საბაბი, რომელმაც აიძულა მთავრობა გამოეცა
დადგენილება საფაბრიკო-საქარხნო მუშებისათვის საექიმო დახმა-
რების აღმოჩენის შესახებ, იყო ხოლერა, რომელიც მოსკოვსა და მის
რაიონებს ემუქრებოდა. მინისტრთა კომიტეტმა მაშინ დროებითი
ლონისძიების სახით დაადგინა დაევალებია იმ ფაბრიკა-ქარხნებისა-
თვის, რომლებშიაც 1000 მუშაზე მეტი ირიცხებოდა, მოეწყოთ სა-
აგადმყოფო ბინები ათ-ათი საწოლით თითოში.

ასე შემთხვევით წარმოიშვა საფაბრიკო მედიცინა. შემდეგში
მუშები ცდილობდნენ საფაბრიკო მედიცინა შეენარჩუნებინათ, იმ წა-
მოწყებებში კი სადაც ასეთი არ იყო, მის მოწყობას ცდილობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული დროებითი დადგენილება
1887 წლისა *), წამოწყებებში სტაციონალურ საექიმო დახმარების
მოწყობის შესახებ საკირო სავალდებულო კანონად გახდა, მაინც არა
ყოველთვის და არა ყველა წამოწყებებში უწყვედნენ მუშებს საექიმო
დახმარებას.

ტფილისის წამოწყებებს ეს კანონი სრულებითაც არ შეხებია.
მხოლოდ 1905 წელს მომხდარმა რევოლუციონურმა ამბებმა აიძუ-
ლეს ქვეყნის მმართველნი გაეხსენებინათ ხსენებულ კანონის არსებობა.
მაგრამ მისი განხილვა, „სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მომხდარ
ამბების გამო“ **), ესე იგი რევოლუციონურ ტალღის დაცემისა და
საგაფიცო მოძრაობის შენელების გამო—მაღე შეჩერებულ იქნა.

ქ. ტფილისის საფაბრიკო-საქარხნო მუშების საექიმო დახმარე-
ბა იმდენად ცუდად იყო დაყენებული, იმდენად დაუკმაყოფილებელი
იყო, რომ მეფის ჩინოვნიკმა—საფაბრიკო ინსპექტორმაც კი იგრძნო
ეს და გაიხსენა ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინეთ გამოცემული
კანონი და გადადგა ნაბიჯები მუშებისათვის საექიმო დახმარების
აღმოჩენის საქმის მოსაწყობად.

*) „მაღალ უპირატესობის“ მიერ დამტკიცებული მინისტრთა კომიტეტის
მოსაზრება, სენატის დადგენილებით მხოლოდ 1887 წლიდან გამოქვეყნდა და ამ
დროიდან ოფიციალურად სავალდებულო კანონად გადიქა.

***) მაშინდელ ტფილისის გუბერნიის გუბერნატორის თანამდებობის ამსრუ-
ლებელის—ჩერნიავსკის განცხადებიდან.

აი, რას სწერდა ტფილისის გუბერნიის მაშინდელი უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი რუტკოვსკი, სპეციალობით ექიმი, თავის მიმართვაში 1907 წლის 23 აგვისტოს თარიღით:

„ვინაიდან ტფილისის სამრეწველო დაწესებულებებში მუშებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის ორგანიზაცია დამაკმაყოფილებელი არ არის და წვირლ სამრეწველო დაწესებულებებში კი ასეთი რამ სრულიადაც არ არსებობს, იმ უმაღლესი ბრძანების ცხოვრებაში გასატარებლად, რომელიც მინისტრთა კომიტეტის დებულების თანახმად 1866 წლის 26 აგვისტოს იქნა გამოქვეყნებული, ისე როგორც რუსეთის სხვა გუბერნიებში, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს გამოცემა გუბერნიაში სავალდებულო დადგენილებებისა საფაბრიკო მუშებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის შესახებ, ან და, უკიდურეს შემთხვევაში, ამ საკითხის ნებაყოფლობითი გადაჭრა ყველა დაინტერესებულ ფაბრიკანტის კოლექტიურ შეთანხმების გზით.

ჩვენ გვგონია, რომ უკანასკნელი საშუალება, სახელმწიფო სათათბიროში ყველა საკანონმდებლო აქტების მოსალოდნელ გადასინჯვის პერსპექტივის გამო, საქმეთა თანამედროვე მდგომარეობის ამოცანებს ყველაზე უფრო ეგუება და ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება თუ წამოვირილ საკითხს განსახილველად ადგილობრივ ფაბრიკანტებს გადავსცემთ.

მაგრამ ვიღებთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ საკითხი მუშათათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმის კოლექტიურ ორგანიზაციის შესახებ ტფილისში წინეთაც წამოვირილა, მაგრამ რამდენადაც მე ვიცი, ვერ განხორციელებულა მხოლოდ ფართოდ განზრახულ ამოცანებისა და მატერიალურ სახსრების სიმცირის გამო, მე სავსებით შესაძლებლად ჩავთვლიდი შევედგომოდი ამჟამად მის განხორციელებას, გაცილებით უფრო შემცირებული პროგრამით, სახელდობრ თუნდაც პირველ ხანებში საფაბრიკო ამბულატორიების მოწყობის საშუალებით. ამბულატორიის წესდებასა და აუადმყოფ მუშების მისაღებ საათების განაწილებას ამასთანავე თან გაახლებთ.

მოხსენებულ გარემოებათა გამო მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს მოემართო თქვენს აღმატებულებას უმდაბლესი თხოვნით, ჩასთვლიდით თუ არა. შესაძლებლად მიგელოთ თქვენს თავზე, როგორც ყველა ადგილობრივ ფაბრიკანტების, ისე ამ საქმისათვის სხვა სასარგებლო პირების მოწვევის ინიციატივა ზემოდხსენებულ საკითხის ერთად განხილვისა და გადაჭრის მიზნით“.

როგორც შედეგი ამ მიმართვისა 1907 წლის 7 ოქტომბერს გუბერნატორმა მოიწვია ფაბრიკანტებისა და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლების თათბირი, რა თქმა უნდა მუშების ნონაწილეობის მიუღებლად, იმ მუშებისა, რომელთაც საექიმო დახმარება უნდა შეხებოდათ და რომელთაც ყველაზე უკეთესად შეეძლოთ თავიანთი მდგომარეობის დახატვა და მის გადასაქრელად რადიკალურ ზომებზე მითითება.

თათბირმა მოისმინა უფროსი საფაბრიკო ინსპექტორის მოხსენება და აირჩია საგანგებო კომისია იმ მიზნით, რომ თავისი დასკვნა მუშებისათვის საექიმო დახმარების კოლექტიურ ორგანიზაციის საკითხის შესახებ გუბერნატორისათვის წარედგინა.

კოლექტიურ სამაქ- ზემოდ აღნიშნულ თათბირის მიერ არ-
მოდ დახმარების ორ- ჩეულმა კომისიამ შეიმუშავა წამოწყებათა
განიზაცია. პატრონების საზოგადოების წესდება მუ-
 შებისათვის საექიმო დახმარების კოლექ-
 ტიურად აღმოჩენის შესახებ.

თანხმად ამ წესდებისა წამოწყებათა მფლობელები, რომლებიც ამ საზოგადოებაში შედიოდნენ, ვალდებულნი იყვნენ მოეწყოთ კოლექტიურად ქალ. ტფილისის ფარგლებში საექიმო დახმარება როგორც მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, ისე მათი ოჯახების წევრთათვის.

ამ მიზნისათვის საზოგადოების წევრები ვალდებულნი იყვნენ შეეტანათ ერთდროული გადასახადი, თითო მანეთი ყოველ მუშაზე, და გაეწიათ ხარჯები საექიმო დახმარებისათვის საზოგადოების ცალკე წევრების—მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვთან პროპორციონალურად; ამასთანავე ეს ხარჯები არ უნდა აღმატებოდა წელიწადში ცხრა მანეთს—თითო მუშაზე.

თუ იმ მუშების საშუალო ხელფასად, რომელნიც საცენზო მრეწველობაში, ტფილისის გუბერნიაში 1907 წელს მუშაობდნენ საფაბრიკო ინსპექციის ცნობების თანახმად,—249,92 მანეთად, ხოლო 1908 წელში მომუშავეთა—214,82 *) მანეთად მივიღებთ წელიწადში, მაშინ დაეინახავთ, რომ მწარმოებლები შესაძლებლად სცნობდნენ საკუთარ მუშების საექიმო დახმარებაზე დაეხარჯათ მუშის საშუალო ხალფასის არა უმეტეს 3,6%-სა 1906 წელს, და 1908 წელში არა უმეტეს 4,2%-სა.

შემდეგში თუმცა ეს წესდება კიდევ დაამტკიცა ტფილისის გუბერნატორმა (1908 წელ. 15 მარტს), მაგრამ მუშებისათვის საექიმო

*) 1908 წ. შრომის ხელფასი დაკლებული იყო.

დახმარების აღმოჩენის საქმის ორგანიზაცია მაინც გადაიღო, რადგან მწარმოებელთა უმრავლესობა ამ საზოგადოებაში ჩაწერას გაუბოდა.

ქალ. ტფილისის ფაბრიკანტებისა და მექარხნეების ასეთმა გულგრილმა მოპყრობამ თავიანთ მუშებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საკითხისადმი, საექიმო დახმარების კოლექტიურ ორგანიზაციის მომხრეები აიძულა მიემართათ მოწოდებით საზოგადოებრივ აზრისათვის თავიანთ ბეკვდითი სიტყვის საშუალებით. *)

მაგრამ არც ამ მიმართვამ გამოიღო შედეგი.

მწარმოებლები „უკეთეს მომავლის“ მოლოდინში თავიანთ მუშების წინაშე რაიმე ვალდებულების შესრულებას ყოველმხრივ გაუბოდნენ. წამოწყებათა ის მულობელებიც კი, რომლებიც საქვეყნო თავიანთ თავს „საზოგადოების დამაარსებლებს“ უწოდებდნენ შემდეგში გაუბოდნენ საექიმო დახმარების ორგანიზაციას და ხშირად ამ საკითხის შესახებ დანიშნულ კრებებზე არც კი ცხადდებოდნენ.

ასეთ შემთხვევაში მათსა და უფროს საფაბრიკო ინსპექტორებს შორის ხანგრძლივი და უშედეგო მიწერ-მოწერა გაიბმებოდა.

ილიუსტრაციისათვის აქ მოვიყვან საფაბრიკო ინსპექტორის ერთ ასეთ მიმართვას პოლიციის „პრისტავისადმი“ და იმ ტრამვაის დირექტორის პასუხს, რომლის ექსპლოატაციასაც მაშინ უცხო კაპიტალი აწარმოებდა.

„ქალ. ტფილისის მე-10 უბნის პრისტავს. გთხოვთ თქვენო მაღალკეთილშობილებავ, გამოუცხადოთ ტფილისის ტრამვაის დირექტორს ლეონ გუსტავის ძეს გისს, მისი პირადი ხელმოწერის ქვეშ, რაც ჩემს კანცელარიაში უნდა გადმოიგზავნოს, რომ ის, თანახმად საფაბრიკო ინსპექციის მოხელეთა ნაკაზის მე-33 მუხლისა, გამოწვეულია ჩემს კანცელარიაში (დიდი მთავრის ქუჩა № 80) ამა ნოემბრის 27-სათვის, დღის 1-ლ საათზე.

გისსი ვალდებულია მომცეს ახსნა-განმარტება ტრამვაის მუშებისათვის საექიმო დახმარების ორგანიზაციის საქმის შესახებ. 1908 წ. 19 ნოემბერი (ხელმოწერა)“.

ტრამვაის დირექციის პასუხი:

„ტფილისი. 1908 წ. დეკემბრის 2. მის კეთილშობილებას—უფროს საფაბრიკო ინსპექტორს. ჩვენ ფრიად გავაკვირვა პოლიციის საშუალებით წარსული თვის 27-სათვის თქვენთან გამოწვევამ იმ მიზნით, რომ ტრამვაის მუშებისათვის საექიმო დახმარების ორგანიზაციის შესახებ ახსნა-განმარტება მომეცა. სამწუხაროდ ხსენებული გამოწვე-

*) იხ. გაზ. „ტფილისის ფურცელი“ 1908 წ. 13 ივნისი. № 134.

ვა ჩვენს კანტორაში მხოლოდ 29 ნოემბერს, პირველ საათზე მოიტანეს, ჩემთან კი პირველ დეკემბერს მოხვდა, რადგანაც მისი მიღების დროს სამსახურის საქმეებისა გამო მე ქალაქში ვიყავი საღამოს 6 საათამდე. პოლიციას, რომ დროზე მოეწოდებია ეს გამოწვევა, მე თქვენთან გამოცხადებას დანიშნულ საათზე არ დაეყოფნებდი. ამასთანავე ვალდებულად ვსთვლი თავს დაეუმატო, რომ წინა მოწვევების დროს მე ვერ ვესწრებოდი თათბირებს; ამის მიზეზი მრავალი გადაუდებელი სამუშაო იყო და იგი ჩემი სურვილის წინააღმდეგ ხდებოდა.

ტფილისის ტრამეის ანონიმურ საზოგადოების დირექტორის მაგიერად—გისი*.

ამ მიწერ-მოწერაში დამახასიათებელია, არა მარტო ტრამეის ადმინისტრაციის პასუხი, რომელიც საფაბრიკო ინსპექტორის მოწვევაზე გამოუცხადებლობას „მრავალ გადაუდებელ სამუშაოთი“ ხსნის (განა ნუშებისათვის საექიმო დახმარების ორგანიზაციის საკითხი შეიძლებოდა გადაუდებელ სამუშაოდ ჩათვლილიყო?), არამედ ის გარემოებაც, რომ უწყება გამოწვევის თაობაზე, რომელიც საფაბრიკო ინსპექტორმა პოლიციის საშუალებით 19 ნოემბერს გადაგზავნა ტრამეის კანტორაში, მიდის...--10 დღის შემდეგ — „მხოლოდ 29 ნოემბერს“.

ამ კერძო მაგალითში, ამ პატარა შტრიხში ერთის მხრივ მეფის ბიუროკრატიულ რეჟიმის „ვოლიკიტა“ და მეორეს მხრივ პუშების დაუტყველი მდგომარეობა აშკარაა ვხვდებით.

ასეთია მოკლე ისტორია ქ. ტფილისის წამოწყებებში „საფაბრიკო ნედაკინის“ წარმოშობისა. უკანასკნელმა შემდეგში მაინც დაიწყო არსებობა, მაგრამ იგი მოწყობილი იყო მეტის-მეტად პრინციპულად და არც დამაკმაყოფილებლად იყო დაყენებული: მაგრამ ხსენებულ „საზოგადოების“ დაწესებიდან საექიმო დახმარების საქმე მაინც გაუმჯობესდა და მან უფრო გეგმაშეწონილი ხასიათი მიიღო ვიდრე იმ წამოწყებებში, რომელთა მეპატრონეები ხსენებულს „საზოგადოებაში“ მონაწილეებად არ შედიოდნენ; ასე შესძლეს მუშებმა პირველი საექიმო დახმარების მიღება.

საქმიანო დახმარება კასის მოწინააღმდეგეებს.

ავადმყოფობის შემთხვევაში მუშების დაზღვევის შესახებ არსებულ კანონით კასის მონაწილეთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენა მთლიანად მწარმოებლებს ეკისრებოდა.

საექიმო დახმარება უნდა აღმოჩენოდათ:

ა) ამბულატორიის მკურნალობის, ბ) მშობიარობის დროს დახმარების და გ) საავადმყოფოში მოთავსების (საწოლით მკურნალობა). სახით, — „ავადმყოფების სრული შენახვით“ და „წამლების, შესახვევ საშუალებათა და სხვა აუცილებელ საექიმო მოწყობილობათა უფასო გაცემით“. (კანონის მე-44 მუხ.).

კასების მონაწილეობის საექიმო დახმარების აღმოჩენისათვის კანონი წამოწყების პატრონს უფლებას აძლევდა „შეთანხმებოდა სხვა საავადმყოფო კასებს“, კერძო სამკურნალო დაწესებულებებს და აგრეთვე ქალაქისა და ერობის საზოგადოებრივ სამმართველოებს ან და მათ შესატყვის დაწესებულებებს (45 მუხ.). „კასის მონაწილეები სარგებლობენ საავადმყოფო (საწოლის) მკურნალობით და მშობიარობის დროს დახმარებით სამკურნალო დაწესებულებებში, რომლებიც ქალაქის და საერობო საზოგადოებრივ სამმართველოებს ან და მათ შესატყვის დაწესებულებებს ეკუთვნიან“.

იმ შემთხვევაში, როცა ავადმყოფობა შრომის უნარის დაკარგვას არ იწვევდა, ესე იგი კასის მონაწილეს შეეძლო ამბულატორიაში აქიმობა და სამუშაოზედაც სიარული (ამბულატორიული დახმარება, როგორც წესი კასის მონაწილეებს უნდა აღმოჩენოდა ან წამოწყებაზე მუშაობის დამთავრების შემდეგ, ან და სასაღილო შესვენების დროს) უფასო მკურნალობა გარკვეული დროით არ განისაზღვრებოდა. ავადმყოფობის გამო შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევებში წამოწყების პატრონი თავის ხარჯზე მუშას საექიმო დახმარებას მხოლოდ 4 თვის განმავლობაში უწევდა, იმ დროს, როცა ფულადი დახმარებისათვის 6 თვის ვადა იყო დაწესებული. ამ რიგად 4 თვის შემდეგ მძიმე ავადმყოფი მუშა უფასო საექიმო დახმარებას კარგავდა და საკუთარ ბედის ანაბარა რჩებოდა.

მწარმოებლები, კანონით კასის მონაწილეთა ოჯახების წევრთა ექიმობისაგანაც თავისუფალნი იყვნენ. კასის საერთო კრებას შეეძლო გამოეტანა დადგენილება „ოჯახთა წევრებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენით“ გამოწვეული ხარჯების თავის თავზე მიღების შესახებ. (მუხლი 27, საავადმყოფო კასის წესდება).

ამ დადგენილებით კასის მონაწილეთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმეში ფრიად კრელი სურათი იქმნებოდა. მწარმოებელთა უმრავლესობა თავიანთ მუშებისათვის საექიმო დახმარებას ინდივიდუალურად აწყობდა, პირობებს კერძო საავადმყოფოებთან სდებდა (ექიმ ნავესარდიანის საავადმყოფოსა და სხვებთან), სამსახურში ექიმებს იყვანდა და სხვა.

უპოვებელი ამის შედეგი იყო ის, რომ კასის მონაწილეთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე საგრძნობლად გაუარესდა.

იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა წამოწყების პატრონი სრულიად უარს ამბობდა კასის ავად გამხდარ მონაწილესათვის თავის ხარჯზე საექიმო დახმარების აღმოჩენაზე და ასეთ დროს იგი ავად-წყოფობის ხასიათს ემყარებოდა. *)

უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო კასის მონაწილეთა ოჯახების წევრთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე.

მსხვილ წამოწყებათა მუშების ოჯახები ერთგვარ საექიმო დახმარებას მაინც ლებულობდნენ. უფრო მწვავედ იდგა იმ საკითხი საერთო საავადმყოფო კასების მონაწილეთათვის, რომლებშიც წერილი წამოწყებებში შედიოდნენ.

ხსენებული კასები თავდაპირველად მოკლებულნი იყვნენ საშუალებას აეღოთ თავიანთ თავზე ხარჯები, რომელსაც კასის მონაწილეთა ოჯახის წევრთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენა იწვევდა, მაგრამ მას შემდეგ რაც გადასახადი კასაში 2¹/₆-მდე გაიზარდა (1915-16 წ. წ.) ხსენებულ პირთათვის ნაწილობრივ საექიმო დახმარების აღმოჩენა დაიწყეს.

საავადმყოფო კასების სახსრები.

ავადმყოფობის შემთხვევაში მუშების დაზღვევის შესახებ 1912 წ. 23 ივნისს გამოქვეყნებულ კანონით კასების სახსარი შეს-

დგებოდა „კასის მონაწილეთა გადასახადებისა და წამოწყების პატრონის დამატებითი გადასახადებისაგან“.

საავადმყოფო კასის მონაწილეთა გადასახადების რაოდენობას კასის საერთო კრება აწესებდა და იგი ხელფასის ერთიდან ორ პროცენტამდე ქანაობდა. თუ კასის მონაწილეთა რიცხვი ოთხას კაცზე ნაკლები იყო, შესაძლებელი იყო კრებას გადასახადი სამ პროცენტამდე გაედიდებია.

წამოწყებათა პატრონები ვალდებულნი იყვნენ საავადმყოფო კასაში კასის მონაწილეთა გადასახადების ორი მესამედი შეეტანათ, ესე იგი თუ მაგალითად ამა თუ იმ კასაში მუშათა გადასახადის მთელი თანხა 300 მანეთს უდრიდა, წამოწყების პატრონს დამატებით 200 მანეთი შეჰქონდა; სხვაგვარად რომ ეთქვათ არსებობდა გადასახადთა თანამიმართება რაც 2: 3-ს უდრიდა. ამ რიგად სა-

*) იხ. საავადმყოფო კასის „ტფილისის სტამბის“ ანგარიში 1913-15 წ. : 28. 4.

ვადმყოფო კასების მონაწილეთათვის საექიმო დახმარებით გაწეულ ხარჯების დიდი ნაწილი იმავე მუშებზე მოდიოდა.

ზემოდ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქ. ტფილისის საავადმყოფო კასების უმრავლესობის მიერ თავის არსებობის პირველ წლებში დაწესებულ გადასახადების რაოდენობა სამუშაო ხელფასის 1%-ს უდრიდა, რაც საშუალოდ თითო მონაწილეზე წამოწყების პატრონის დამატებით გადასახადთან ერთად წელიწადში 5 მანეთს შეადგენდა (თუ კასის ძონაწილის საშუალო ხელფასს წელიწადში სამას მანეთს უდრიდა). სამი მანეთი შეჰქონდა მუშას, ხოლო ორი მანეთი მწარმოებელს.

მიუხედავად გაცემულ ფულადი დახმარების მეტის მეტი სიმცირისა, კასებს არ შეეძლოთ თავიანთი მიმდინარე ანგარიშები დაეფარათ, თავი ბოლოსთვის მოებათ და მით უმეტეს დახმარების გაცემა კასის მონაწილეთა ოჯახების წევრებზედაც გაეფრცელებინათ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ წერილი კასები, რომელთა მონაწილეების რიცხვი 200-250 კაცს არ აღემატებოდა. ამიტომ საავადმყოფო კასები იძულებულნი იყვნენ 1916 წლისათვის გადასახადის რაოდენობა სამუშაო ხელფასის 2%-მდე აეყვანათ, თუმცა გრძნობდნენ, რომ ეს მძიმე გავლენას მოახდენდა მუშათა ცხოვრების ისედაც დაბალ ეკონომიურ დონეზე.

წამოწყებათა პატრონები ყველა კასაში წინააღმდეგნი იყვნენ კასების მონაწილეთა მისწრაფებისა, რაც დახმარებათა გადიდებაში გამოიხატებოდა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მათ მოუხდებოდათ დამატებითი გადასახადიც გაედიდებიათ. მათი ცდა მარცხით დამთავრდა.

ქ. ტფილისის საავადმყოფო კასების დაახლოებითი წლიური ბიუჯეტი 1914 წელს დაახლოებით 20.000 მანეთს შეადგენდა.

ბახუზის ხტატის- ბიკა.

ტფილისის თითქმის ყველა საავადმყოფო კასაში სტატისტიკა პრიმიტიულად იყო დაყენებული, რის გამოც ძნელია შემუშავება სწორი წარმოდგენისა, მონაწილეთა მოძრაობის, დაავადყოფების რიცხვის, სიკვდილის შემთხვევების და სხვათა შესახებ.

გამოცდილების უქონლობა, საექიმო დახმარების წამოწყებათა პატრონების ხელში ყოფნა და სახსრების შეზღუდულობა კასებს ყოველგვარ საშუალებას ართმევდა სტატისტიკა ფართოდ და სწორედ დაეყენებინათ.

ყველაზე უკეთესად ამ მხრივ „ტრამვაი“-ს კასის ჰქონდა საქმე. ამ გარემოების გამო ჩვენ გადავწყვიტეთ მოგვეყვანა ამ კასის ცნობები, რომელიც, როგორც უკვე ავლინებთ ქ. ტფილისში ყველაზე დიდ კასად ითვლებოდა.

საავადმყოფო კასის „ტრამვაის“ მონაწილეთა შემადგენლობა სქესის მიხედვით.

წლები.	მამაკაცი		დედაკაცი		ს უ ლ	რიცხვი პირებისა, რომელთაც საავადმყოფო კასა ემსახურება.
	აბსოლ. რიცხვი	% ⁰ / ₀ -ში	აბსოლ. რიცხვი.	% ⁰ / ₀ -ში		
1914	853	98	21	2	874	2978
1915	840	97	23	3	863	2931
1916	917	95	53	5	970	2995

როგორც ამ ტაბულიდანა სჩანს ქალის შრომა ტრამვაიში, ნაკლებად ყოფილა გამოყენებული, ამიტომ საავადმყოფო კასის მონაწილეთა დიდ უმრავლესობას მამაკაცები შეადგენდნენ.

**საავადმყოფო კასის „ტრამვაის“ მონაწილეთა დაავად-
მყოფება.**

საავადმყოფო კასის „ტრამვაის“ მონაწილეთა პირველადი დაავადმყოფების საერთო რიცხვი, რომელსაც შრომის უნარის დაკარგვა სდევდა თან, 1914 წელს (7 თვის განმავლობაში) 449-ს უდრიდა, 1915 წელს—1047-ს და 1916 წელს—1215-ს. შრომის უუნარო დღეების რიცხვი 1914 წელს (7 თვის განმავლობაში) 5893-ს უდრიდა, 1915 წელს—12.676-ს და 1916 წელს—13.702-ს. ამრიგად ყოველ 100 მონაწილეზე მოდიოდა:

წლები	დაავადმყოფების რიცხვი	შრომის უუნარო დღეების რიცხვი
1914 წელს (7 თვის განმავლობაში)	51,4	674,4
1915	121,3	1457,2
1916	125,2	1412,5

საავადმყოფო კასის „ტრამვაის“ მონაწილეთა უბედურ შემთხვევების რიცხვი.

რიცხვი უბედურ შემთხვევებისა, რომელთაც შრომის უნარის დაკარგვა სდევდა თან, უდრიდა:

წ ლ ე ბ ი	უბედურ შემთხვევების რიცხვი	შრომის უნარო დღეების რიცხვი
1914 წელს (7 თვის განმავლობაში)	48	342
1915	114	1211
1916	253	2939

ეს ტაბულა გვიჩვენებს, რომ 1916 წელს ტრამვაიზე უბედურ შემთხვევების რიცხვი საგრძნობლად გადიდებულა, რაც ნარდი მუშაობის გაძლიერების შედეგი იყო.

მკვდოვანობა საავადმყოფო კასის „ტრამვაის“ მონაწილეთა და მათი ოჯახების წევრთა შორის.

წ ლ ე ბ ი.	კასის მონაწილეთა რიცხვი	ოჯახის წევრები	ს უ ლ
1914	3	20	23
1915	9	58	67
1916	5	84	89

რაც ყოველ 100 მონაწილეზე შეადგენს: 1914 წელში (7 თვის განმავლობაში) 0,34-ს, 1915 წელს—1,04-ს და 1916 წელს—0,25 თვით მონაწილეთა სიკვდილის შემთხვევას, ანუ 2,6, 7,8 და 8;7-ს ოჯახის წევრთა ჩათვლით. რიცხვი სიკვდილის შემთხვევებისა კასის მონაწილეთა ოჯახების წევრთა შორის 1915 წელს საგრძნობლად გაიზარდა. ეს რიცხვი ხსენებულ წლის შემდეგაც განაგრძობდა ზრდას. ამ მოვლენის მიზეზები უნდა ვეძიოთ მუშების ეკონომიურ პირობების საერთო გაუარესებაში ომის დროს. მართალია 1916 წელს ტრამვაის

ნუშების ხელფასი 1914 წელთან შედარებით გაიზარდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ხელფასის ზრდა ცხოვრების გაძვირებას ბევრად იყო ჩანორჩენილი.

საავადმყოფო კასის „ტრამეის“ მონაწილე ქალების და მონაწილეთა ცოლების მშობიარობა.

წლები	კასის მონაწილეთა რიცხვი	მონაწილეთა ცოლები	სულ
1914 წელში	—	63	63
1915	1	123	124
1916	3	110	113

ეს ტაბულა გვიჩვენებს, რომ 1916 წელს მშობიარობის რიცხვი დაცემულა.

საავადმყოფო კასის „ტრამეის“ მონაწილეთა და მათი ოჯახების წევრებზე ფულადი დახმარების გაცემით დაიხარჯა:

წლები	დაავადყოფების და უბედურ შემთხვევით გამოწვეულ შრომის უნარის დაკარგვის გამო	მშობიარობაზე	დაკრძალვაზე		სულ
			კასის მონაწილის	ოჯახის წევრის	
1914 წ. (7 თვის განმავლობაში)	3152,27	630,00	90,90	396,42	4269,59
1915 წ.	12007,08	1230,00	413,62	1300,07	16561,92
1916 წ.	12344,92	1100,00	311,17	1705,49	15461,58

ანრიგად „ტრამეის“ საავადმყოფო კასის მონაწილეთათვის ავადმყოფობის შემთხვევაში გაცემული ფულადი დახმარებითა და დახმარების დამატებითი სახეებით გამოწვეული ხარჯები შეადგენენ:

წ ლ ე ბ ი	100 მონაწილეზე ერთ მონაწილეზე	
1914 წ. (7 თვის განმავლობაში)	489	4,89
1915 წ.	1922	19,22
1916 წ.	1594	15,94

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ საავადმყოფო კასა „ტრანევი“ ქ. ტფილისის დანარჩენ საავადმყოფო კასებთან შედარებით თავიანთ მონაწილეებს და მათი ოჯახების წევრებს უფრო სრულად და უფრო კარგათ აკმაყოფილებდა.

საავადმყოფო კასის საქმეების განვითარება.

როგორც ცნობილია 1912 წლის კანონით საავადმყოფო კასებს ორი ორგანო განაგებდა: 1) საერთო კრება და 2) კასის გამგეობა.

„საერთო კრება“-ს ფაქტიურად მუშების მიერ არჩეულ რწმუნებულების და წამოწყების პატრონის წარმომადგენლების კრება წარმოადგენდა.

რწმუნებულები ცალკე საამქროებში და წამოწყების განყოფილებებში ირჩეოდა. ყოველ 10—15 მუშაზე თითო რწმუნებული უნდა არჩეულიყო. ქ. ტფილისის საავადმყოფო კასების უმრავლესობაში რწმუნებულები კასის 10 მონაწილეს წარმოადგენდნენ. ვინაიდან რწმუნებულთა საერთო რიცხვი 100 კაცს არ უნდა აღმატებოდა, ამიტომ რუსეთის მსხვილ წამოწყებებში ერთი რწმუნებული კასის 50—100 მონაწილეს წარმოადგენდა.

რწმუნებულად შეიძლება არჩეულიყო ამა თუ იმ წამოწყების მუშა, ორივე სქესის პირთა შორის, წერა-კითხვის მცოდნე და არა უმცირეს 25 წლისა. რწმუნების ვადა 1—2 წლით იყო განსაზღვრული.

საერო კრებაზე მუშების წარმომადგენლები ხმების საერთო რიცხვის მხოლოდ 1/5-ით სარგებლობდნენ, ხმების დანარჩენი მწარმოებელთა წარმომადგენლებს ეკუთვნოდა.

თაემჯდომარეობის უფლება საერთო კრებაზე წამოწყების პატრონს ან და მის მიერ დანიშნულ პირს ეკუთვნოდა. ეს გარეგნობა მათ შესაძლებლობას აძლევდა მოეხდინათ ყოველგვარი გავლენა კრების გადაწყვეტილებაზე, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მუშების რწმუნებულები თავიანთ უფლებებში ვერ ერკვეოდნენ.

საერთო კრებას უნდა გადაეწყვიტა ყველა საყურადღებო საკითხები: დაზღვევის გადასახადების რაოდენობის დაწესება, დახმარების რაოდენობა და მისი გაცემის წესი, საექიმო დახმარებას საკითხები და სხვა.

კასის გამგეობა, რომელსაც ნაწილობრივ რწმუნებულთა კრება ირჩევდა, ნაწილობრივ კი წამოწყების პატრონი ნიშნავდა. საერთო კრების აღმასრულებელ ორგანოს წარმოადგენდა.

გამგეობა მოქმედებდა კასის წესდების ფარგლებში და ანხორციელებდა საერთო კრების ცალკე დადგენილებებს. იგი ანგაოიწს თავისი მოქმედების შესახებ საერთო კრებას აბარებდა.

ქ. ტფილისის საავადმყოფო კასის გამგეობის წევრთა რიცხვი 9 კაცს არ აღემატებოდა. მუშები გამგეობაში ერთი კაცით მეტი იყვნენ წარმოდგენილნი, ვიდრე მწარმოებლები.

მწარმოებლებს უფლება ჰქონდათ უარი ეთქვათ თავიანთ წარმომადგენლებზე როგორც საერთო კრებაზე. ისე კასის გამგეობაში. მაგრამ ამ უფლებით არც ერთს მხარეს არ უსარგებლია.

ზედამხედველი ორგანოები.

ზედამხედველობას საავადმყოფო კასებზე საფაბრიკო ინსპექციის მოხელეები და მუშების დაზღვევის საქმეთა ტფილისის საგუბერნიო საკრებულო ანხორციელებდა. შინაგან საქმეთა ორგანოები, როგორც დამცველი „კანონიერების და წესებისა წამოწყებულნი“ ზედამხედველობის ზოგიერთ ფუნქციებით იყვნენ აღჭურვილნი. მაგრამ უკანასკნელნი თავიანთ ზედამხედველობას ნაწილობრივად იწვევს საფაბრიკო ინსპექციის მოხელეების საშუალებით ანხორციელდნენ.

ტფილისის გუბერნიის საფაბრიკო ინსპექციის საქმეებში წინახულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალი „საიდუმლო“ მასალა, რომლებიც ამ ზედამხედველობის არსებობას ადასტურებენ.

საფაბრიკო ინსპექცია საავადმყოფო კასების წესდებებს ანტიკიცებდა: თვალყურს ადევნებდა, რომ მათში არ ყოფილიყო გადახრა ნორმალურ წესდებიდან; თვალყურს ადევნებდა საექიმო დახმარების საქმის სწორ დაყენებას და დაზღვევის გადასახადების დროზე

ნეპოსულას, საერთოდ დაზღვევის კანონის სისწორით შესრულებას აღედგინებდა თვალყურს. საფაბრიკო ინსპექტორს უფლება ჰქონდა საავადმყოფო კასის რევიზია მოეხდინა და კანონის დარღვევის ან დაბოროტ მოქმედების აღმოჩენის შემთხვევაში დამნაშავენი პასუხისმგებანი მიეცა და თანამდებობის პირნი დროებით სამსახურიდან მოეხსნა. მუშების დაზღვევის საქმეთა საგუბერნიო საკრებულო ამტკიცებდა რწმუნებულთა არჩევნებს, კასის გამგეობას და იხილავდა საჩივრებს საფაბრიკო ინსპექციის მოქმედებასა, წამოწყების პატრონსა. კასის გამგეობის წევრებსა და სხვაზე. ერთი სიტყვით მის ხელთ იყო „ხელმძღვანელობა დაზღვევის პოლიტიკისა“ გუბერნიის ფარგლებში.

ხსენებული საკრებულო 15 კაციისაგან შესდგებოდა. მათ რიცხვში იყვნენ: გუბერნატორი, მისი მოადგილე, პროკურორი, სახაზინო პალატის წარმომადგენელი, ჟანდარმთა სამმართველოს წარმომადგენელი, უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი, ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელი, მწარმოებელთა წარმომადგენლები და მუშების მხოლოდ ორი წარმომადგენელი, რომლებიც აუცილებლად ქ. ტფილისის ერთ-ერთ საავადმყოფო კასის მონაწილენი უნდა ყოფილიყვნენ. მწარმოებლებს კი შეეძლოთ თავიანთი წარმომადგენლები პირადი შეხედულებით წარეგზავნათ. საკრებულოს სხდომებზე თავმჯდომარეობდა ან გუბერნატორი ან და მისი მოადგილე.

ყოფილ რუსეთის იმპერიაში ზედამხედველობის უმაღლეს ორგანოს სოციალურ დაზღვევის დარგში შეადგენდა საბჭო მუშების დაზღვევის საქმეებისა. საბჭო დაარსებული იყო პეტერბურგში ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსთან. მისი თავმჯდომარე ხსენებულ უწყების მინისტრი იყო, ხოლო წევრებად სხვადასხვა მაღალი მოხელეები და მწარმოებელთა წარმომადგენლები იყვნენ. საბჭოს 26 წევრიდან მუშების წარმომადგენლებად მხოლოდ 5 კაცი იყო.

თავიანთი ინტერესების საუკეთესოდ დასაცავად მუშებს ყოველგვარი ზომები უნდა მიეღოთ იმისთვის, რომ გამგეობაში ისეთი მუშები გაეყვანათ, რომლებიც კასის მონაწილეებიც და ამავე დროს პოლიტიკური პარტიის აქტიური წევრებიც იქნებოდნენ.

ასე მოქმედებდნენ რუსეთის მუშები; ასევე ხდებოდა ქ. ტფილისის საავადმყოფო კასებში, განსაკუთრებით საავადმყოფო კასა „ტრაპიზაი“-ში, პოლიგრაფიულ წარმოების მუშებში და ენფიაჯიანციის, „სააქციონერო საზოგადოების“ თამბაქოს ფაბრიკის კასაში.

იმ კასებში, რომლებშიაც მუშები ახერხებდნენ ზემოდ ხსენებულ ნაკვარ წარმომადგენლების არჩევას, ისინი საექიმო დახმარებითა და ფულადი დახმარებითაც უკეთესად იყვნენ უზრუნველყოფილნი.

დ ა ნ ა ხ კ ვ ი ზემოდ თქმულიდან შემდეგი დანასკვნს გა-
მოტანა შეიძლება:

1. 1912 წ. 23 ივნისის დაზღვევის შესახები კანონის მოქმედე-
ბა ავადმყოფობის შემთხვევაში მუშების ძალიან შეზღუდულ წრეზე
ვრცელდებოდა.

2. საავადმყოფო კასების ფუნქციები განისაზღვრებოდა კასის
მონაწილეთათვის ფულადი დახმარების აღმოჩენით მათი წრომის
უუნარიანობის განმავლობაში და დახმარების ზოგიერთ დამატებითი
სახეების აღმოჩენით ოჯახების იმ წევრთათვის, რომლებიც კასის წო-
ნაწილეთა ნამდვილ კმაყოფაზე იმყოფებოდნენ.

3. საავადმყოფო კასის ბიუჯეტი უმთავრესად თვით კასის წო-
ნაწილეთა, ესე იგი მუშებისა და მოსამსახურეების გადასახადები-
საგან, მხოლოდ ნაწილობრივ წამოწყების პატრონთა დამატებით გა-
დასახადებისაგან შესდგებოდა.

4. საექიმო დახმარება ერთიანად მწარმოებელთა ხელნი იყო.
მწარმოებლები ყოველმხრივ ცდილობდნენ შეემცირებინათ და გაეუა-
რესებინათ ნორმები საექიმო დახმარებისა, რომელიც ისედაც ცუდათ
იყო დაყენებული.

5. საავადმყოფო კასის საქმეების გამგებლობაში მწარმოებელ-
თა წარმომადგენლებიც (დანიშნულნი) იღებდნენ მონაწილეობას: ფაქ-
ტიურად სწორედ ისინი განაგებდნენ საავადმყოფო კასებს.

საგუბერნიო დამზღვევი საკრებულო, რომლისთვისაც წევძლო
საქირო შემთხვევებში მიემართა აპელიაციით საავადმყოფო კასის
მუშათა ფრაქციას, უმთავრესად მეფის ხელისუფლების ვრცელ
უმაღლეს ჩინოვნიკებისაგან შესდგებოდა.

მუშების ორი წარმომადგენელი, რომლებიც დამზღვევ საკრე-
ბულოში შედიოდა, უძღურნი იყვნენ საავადმყოფო კასისათვის არ-
სებითი დახმარება აღმოეჩინათ.

დაჯღვავა უგედურ შემთხვევისაგან.

1912 წ. 23 ივნისის კანონის ნებოლე-
ბამდე მუშების უბედურ შემთხვევისაგან და-
ზღვევის შესახებ, რუსეთში მოქმედებდა 1903
წლის ივნისის 2-ს გამოცემული კანონი, რომლითაც საფაბრიკო-სა-
ქარხნო და სამთო-საქარხნო წამოწყებათა პატრონები ვალდებული
იყვნენ დასახიზრებული მუშები დაეჯილდოვებინათ. ყოველი ცალკე
წამოწყების პატრონი მის წამოწყებაში მომხდარ უბედურ შემთხვე-
ვებისათვის პირადად აგებდა ნიეთიერ პასუხისმგებლობას.

1912 წლის ივნისის 23-ის კანონი წინა კანონისაგან განსხვავ-
დებოდა მით, რომ იგი ნიეთიერ პასუხისმგებლობას უბედურ შემ-
თხვევებისათვის ნაცულოდ ცალკე მწარმოებლებისა აკისრებდა წაწო-
წყებათა იმ პატრონების ჯგუფს, რომლებიც კანონით განსაკუთრე-
ბულ დაზღვევის ამხანაგობებში იყვნენ გაერთიანებულნი.

ახალი დებულება მუშებისათვის თითქოს უფრო დიდსა და

უკეთეს გარანტიას ქმნიდა, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შეხედვით. უბედურ შემთხვევის გამო დაშაებულს, ისევე როგორც წინით, იმისათვის, რომ კუთვნილი პენსია მიეღო სასამართლოსათვის უნდა წიქვართა. აქ უკვე მუშას ცალკე მწარმოებლებთან კი აღარ უხდებოდა საქმის დაკერა, არამედ მათ გაერთიანებასთან, რომელმაც უფრო ბრკივად და უკეთესად იცოდა თავისი ინტერესების დაცვა. მუშების მდგომარეობას ის გარემოებაც აუარესებდა, რომ ფულადი დახმარების გაცემის გამო გაწეულ ხარჯების ნაწილი ახალი კანონით მათვე ედებოდა; სახელდობრ: (მე-13 მუხლის ძალით) საავადმყოფო კასები ვალდებული იყვნენ დღიდან დასახიჩრებისა 13 კვირის განმავლობაში კასის დაშავებულ მონაწილესათვის დახმარება თავიანთ სახსრებიდან ეძლიათ: 1903 წლის ივნისის 2-ის ძველი კანონის ძალით კი ამ ხარჯებს მწარმოებელი ეწეოდა.

დაზღვეულთა წამ და მოქმედება 1912 წლის 23 ივნისის კანონის რაოდენობა. ნონისა მუშების უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის შესახებ ვრცელდებოდა იმავე წამოწყებებზე, რომლებზედაც ავადმყოფობის შემთხვევაში. ამ მხრივ არავითარი განსხვავება არ იყო.

რაც შეეხება პენსიის რაოდენობას, კანონი შემდეგ ნორმებს აწესებდა.

1. შრომის უნარის სრულიად დაკარგვისას — დაშაებულის წლიური ხელფასის ორი მესამედი;

2. შრომის უნარის ნაწილობრივად დაკარგვისას — წლიური ხელფასის ორი მესამედის იმ ნაწილის რაოდენობით, რომელიც შრომის უნარის დაკარგვის დონეს შეეფერებოდა.

3. კეუაზე შეშლის, ხედვის სრულიად დაკარგვის, ორივე ხელის ან ფეხის დაკარგვის ან და სრული უმწეობის შემთხვევაში, როცა გარემეს ზრუნვა იყო საკირო, პენსია დაშაებულს სრული წლიური ხელფასის რაოდენობით ენიშნებოდა.

დაზღვეულის უბედური შემთხვევის გამო გარდაცვალების შემთხვევაში პენსია ეძლეოდა (27 მუხ.):

ა) ქვრივს — დაშაებულის წლიური ხელფასის ერთი მესამედის რაოდენობით მუდმივად ან და გათხოვებამდე; ბ) ორთავე სქესის ბავშვებს, კანონიერებს, დაკანონებულებს, ქორწინების გარეშე დაბადებულთ, ნაშვილებს და აგრეთვე აღზრდილებს ვიდრე 15 წლის ჰასაკს შიალწევდნენ, თითოეულს — ერთი მეექვსედი ნაწილის რაოდენობით თუ ვინცობაა ერთ-ერთი მშობელი ცოცხალი იყო და ერთი მეოთხედი — თუ სრულიად ობოლი იყო; გ) ნათესავებს პირდაპირი აღმავალი ხაზით ნუდმივად, თითოეულს ერთი მეექვსედის რაოდენობით და დ) ძმებს და დებს, სრულ ობლებს, ვიდრე 15 წელს შიალწევდნენ — თითოეულს — ერთი მეექვსედის რაოდენობით.

წინათვილილ პირთა პენსიების საერთო თანხა არ შეიძლებოდა დაშაებულის წლიური ხელფასის ორ მესამედს აღმატებოდა. თუ ეს

თანხა მეტი იყო, უპირატესობით პენსიის მიღებაში ა) და ბ) მუხლებში ჩამოთვლილი პირები სარგებლობდნენ.

აუ ვინცობაა ქვრივი გათხოვდებოდა დაზღვევის ამხანაგობა ვალდებული იყო მიეცა მისთვის ერთდროული დახმარება სამკურნალო-მრავლებულ წლიური პენსიის რაოდენობით.

დაშავებულის წლიური ხელფასის გამოანგარიშების დროს მხედველობაში იღებდნენ როგორც ფაქტიურ ხელფასს ფულებით, ისე ნატურიზა მიღებულ კმაყოფასაც (ბინა, კვება, ტანთსაცმელი და სხვა); ამასთანავე ბინის ღირებულება განისაზღვრებოდა ხელფასის ათიდან ოც პროცენტამდე, კვება და სხვა—მათი ნამდვილი ღირებულებით.

ასეთია საერთო ხაზებში 1912 წლის 23 ივნისის კანონის ძირითადი დებულებები უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის შესახებ. როგორც აუადმყოფობის, ისე დასახიჩრების შემთხვევაში მუშა არ იღებდა თავის სრულ ხელფასს.

კავკასიის საოლქო დაზღვევის ამხანაგობა.

როგორც უკვე აღნიშნული იყო უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის შესახებ არსებულ კანონის განსახორციელებლად მწარმოებელთა ცალკე ჯგუფები ერთიანდებოდნენ განსაკუთრებულ დაზღვევის საამხანაგოებში, რომლებიც მთლიანად ავებდნენ პასუხს იმ წამოწყებებში მომხდარ უბედურ შემთხვევებისათვის. რომელთა პატრონებიც ამხანაგობის მონაწილეებათ ითვლებოდნენ.

საქართველოს იმ წამოწყებათა პატრონები, რომლებიც უნდა დაზღვეულიყო, შათ შორის ქ. ტფილისისა, კავკასიის საოლქო დაზღვევის ამხანაგობაში შედიოდნენ მონაწილეებათ. ხსენებული ამხანაგობა ქ. ბაქოში იყო მოთავსებული.

აქ ამხანაგობაში შედიოდნენ მონაწილეებათ ის დასაზღვევი წამოწყებანი, რომლებიც, ბაქოს გუბერნიის, ყუბანის ოლქის, ელიზავეტოპოლის გუბერნიის, ყარსის ოლქის, ზაქათალის ოლქის, თერჯისა და დაღესტანის ოლქების, ტფილისის გუბერნიის, სუხუმის ოლქის. სტავროპოლის გუბერნიის, ერევანის გუბერნიის და შავი ზღვის სანაპირო ოლქის ფარგლებში იმყოფებოდნენ. კავკასიის საოლქო დამზღვევ ამხანაგობამ ფაქტიურად მხოლოდ 1916 წლის პირველ იანვრიდან დაიწყო არსებობა. მთელი ორ ნახევარი წელიწადი იგი „კავკასიაში მუშების დაზღვევის შესახები კანონის განსახორციელებლად“ წარმოებულ წინასწარ მუშაობას მოუწდა.

ტფილისის გუბერნიიდან 1916 წელს ხსენებულ დაზღვევის ამხანაგობის მონაწილეებად ირიცხებოდა 82 წამოწყება, 7152 დაზღვეულთა საერთო რიცხვით. *)

ცალკე ტფილისში, მის მაზრებთან ერთად, ახლანდელ საზღვრებში დაზღვეული იყო 67 წამოწყება 4.629 დაზღვეულთა საერთო რიცხვით. წარმოების დარგების მიხედვით ეს რიცხვი იყოფოდა:

*) იხ. კავკასიის საოლქო დამზღვევ ამხანაგობის ანგარიში 1916 წლისა გვ. 39.

განაწილება წამოწყებებისა წარმოების დარგის მიხედვით.

№ №	წ ა რ მ ო ე ბ ი ს დ ა რ გ ი	წამოწყებათა რიცხვი	დახვეწულთა რიცხვი ნაღში
1	თამბაქოს ქარხანა	6	937
2	პოლიგრაფიული წარმოება .	9	412
3	ადგილობრივი ტრანსპორტი (ტრამვაი)	1	930
4	აგურის ქარხანა	15	609
5	ტყავის, საპნის სახარში, ზეთის და სახდელი ქარხნები	6	685
6	ტყის სახერხი ქარხნები	5	106
7	მინის ქარხნები	1	83
8	ლუდის სახდელი ქარხნები	4	101
9	სამკერვალო ქარხნები	1	120
10	სპირტის გამომხდელი და არაყ- კონიაკის ქარხნები	1	53
11	ლითონის დამამუშავებელი ქარხნ. ქანდაკებისა და მარმარილოს წა- რმოება .	8	323
12	კონვერტის ფაბრიკები	1	21
13	ხის დამამუშავებელი წარმოება	2	41
14	კონფეტის წარმოება	1	51
15	ბამბის საწმენდი დაწესებულება .	1	21
16	ქალაქის სართავი და ბამბის ფაბრიკები	2	44
17	ხილელ წყლების ქარხნები	1	35
18	წყლის სადენი სადგური .	1	40
ს უ ლ		67	4639

მოყვანილ ციფრებიდან აშკარადა სჩანს, რომ უბედურ შემთხვევისაგან დაზღვეულ მუშების რიცხვი საავადმყოფო კასების მონაწილეთა რიცხვზე საგრძნობლად მეტია, თუმცა ორთავე კანონის მოქმედება ერთდამავე წამოწყებებზე ვრცელდებოდა. ამ მოვლენის მიზეზის ახსნა უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ წამოწყებათა პატრონები მუშების დასახიჩრების შემთხვევაში მაინც აგებდნენ ნივთიერ პასუხისმგებლობას სასამართლოს წინაშე, მაშინ, როცა მუშების დაავადყოფების შემთხვევაში ისინი ასეთ პასუხისმგებლობას არ აგებდნენ.

აღნიშნული გარემოება აიძულებდა მწარმოებელს მიეღო მონაწილეობა დამზღვევ ამხანაგობაში, საფაბრიკო ინსპექციის მხრივ რაიმე ზეგავლენის გარეშე.

დასაზღვევი გადასახადები.

უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევა კანონით წამოწყებათა ხარჯზე ხორციელდებოდა. როგორც ზემოდ უკვე აღნიშნული იყო, დაზღვეულები ნაწილობრივ მონაწილეობას იღებდნენ ხარჯებში, და ცამეტი კვირის განმავლობაში ფულად დახმარებას აძლევდნენ საავადმყოფო კასის იმ მონაწილეებს, რომლებსაც შრომის უნარი უბედური შემთხვევისა გამო ჰქონდათ დაკარგული.

დაზღვევის ტარიფის განაკვეთები ამა თუ იმ წარმოების საშიშროების დონეზე იყო დამოკიდებული.

წამოწყებები, რომლებიც დამზღვევ ამხანაგობაში შედიოდნენ, თექვსმეტ კლასად იყვნენ დაყოფილნი, საშიშროების 35 ხარისხის დაწესებით.

დაზღვევის ტარიფი წარმოების ამა თუ იმ დარგის მუშის საშუალო ხელფასის 0,24%-დან 5,28%-მდე ქანაობდა.

გარდა ამ ყოველწლიურ დასაზღვევ გადასახადებისა, წამოწყების პატრონი ვალდებული იყო დაზღვევის ამხანაგობაში, ყოველ დაზღვეულზე ერთდროულად ათ-ათი შაური შეეტანა.

პენსიის მიღების წესი.

—ის პირნი, რომლებიც უბედურ შემთხვევისა გამო დაზავდნენ და მტკიცე შრომის უუნარიანობა მიიღეს, მკურნალობის დამთავრების შემდეგ პენსიის დასანიშნავად, დამზღვევ ამხანაგობის გამგეობას მიმართავდნენ. ასეთებს წინასწარ ამოწმებდნენ ექიმები იმ მიზნით, რომ შრომის უნარის დაკარგვის პროცენტი გამოერკვიათ.

თუ ვინცობაა დამზღვევი ამხანაგობა უარს ეტყოდა პენსიის დანიშვნაზე, დაშავებულს კანონით უფლება ჰქონდა დლიდან პირველი გადაწყვეტილების ჩაბარებისა 2 თვის განმავლობაში, დადგენილება დამზღვევ ამხანაგობის გამგეობაში გაესაჩივრებია უმთავრესად ახალი უარით თავდებოდა.

ასეთ გასაჩივრებათა რიცხვი საგრძნობ პროცენტს შეადგენდა. მაგალითად: ხსენებულ დამზღვევ ამხანაგობისადმი წარდგენილ 1916 წლის განმავლობაში დაშავებულთა 1463 პრეტენზიიდან, დაკმაყოფილებული იქნა—1187, ესე იგი დაშავებულ საერთო რიცხვის 81,4% „დანარჩენმა 276-მა, ე. ი. 18,6%¹/₁₀-მა უარი მიიღეს.

პენსიის დანიშვნაზე უარის თქმის გამო პრეტენზიების წარმდგენთა საერთო რიცხვიდან 198 დაშავებულმა, ე. ი. 13,4%¹/₁₀-მა საწინააღმდეგო პასუხი შეიტანეს ამხანაგობაში; ამასთანავე ეს პასუხები უმთავრესად იმ დაშავებულთაგან შევიდა, რომლებიც დამზღვევ ამხანაგობის გამგეობის ბინადრობიდან ახლო სცხოვრობდნენ, სახელდობრ—ბაქოს რაიონში. *)

უმრავლეს შემთხვევაში, დაშავებულთა განცხადებები უშედეგოთ რჩებოდა და ისინი იძულებულნი ხდებოდნენ სასამართლოს დახმარებისათვის მიემართათ.

სხვადასხვა სასამართლო ინსტანციაში მუშების სარჩელის გამო დანიშნული საქმეების გარჩევა მთელი თვეობით, წლობით კიანურდებოდა და ბოლოს მუშების სასარგებლოდ მიიწეოდა არ წყდებოდა.

მაგალითად 1916 წლის 40 პრეტენზიიდან, რომლებიც სასამართლოში გადავიდა გასარჩევად, 8 სარჩელზე უარით უპასუხეს, 4-ზე საქმე მოსპეს, 1—სავსებით დააკმაყოფილეს, 2-რი ნაწილობრივად, დანარჩენი—27-კი 1917 წელშიაც წარმოებაში იყო. **)

ამ რიგად ყოველ ხუთ დასახიჩრებულ მუშაზე, ნაწილობრივად მხოლოდ 4-ს აკმაყოფილებდნენ; მეხუთე დაშავებულს უნდა მიემართა სასამართლოსთვის, რომელიც აგრეთვე მუშების სამართლიან მოთხოვნილებას დუმილით უპასუხებდა და ისევე შორს იდგა მათ ინტერესებიდან, როგორც ის ვაჭბატონები, რომლებიც დამზღვევ ამხანაგობის საქმეებს განაგებდნენ.

დამზღვევი ამხანაგობა, რომელიც არსებითად მწარმოებელთა ორგანიზაციას წარმოადგენდა, უფრო მეტს ამხანაგობის აპარატის შენახვაზე ხარჯავდა, ვიდრე შრომის ინვალიდების შენახვაზე. *)

*) კავკასიის დამზღვევ ამხანაგობის 1916 წლის ანგარიში გვ. 55-57.

**) კავკასიის დამზღვევ ამხანაგობის 1916 წლის ანგარიში გვ. მე-62.

დადასკვი. ამრიგად, 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე მოქმედებდა 1912 წლის 23 ივნისის ორი კანონი: მუშების დაზღვევის შესახებ ავადმყოფობის შემთხვევაში და უბედურ შემთხვევისაგან.

1. მუშების ავადმყოფობის შემთხვევაში დაზღვევისათვის გაწეულ ხარჯების ორი მესამედი აწვებოდა თვით საავადმყოფო კასების მონაწილე მუშებს; უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევა კი წამოწყებათა პატრონების ხარჯზე ხორციელდებოდა.

2. შრომის უნარის დაკარგვისას დაზღვევის ორთავე სახის მონაწილენი თავიანთ სრულ ხელფასს არ ღებულობდნენ.

3. საავადმყოფო კასების მმართველობაში წამოწყებათა პატრონები ნაწილობრივ მონაწილეობას ღებულობდნენ. უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევა კი საესებით მათ გამგებლობაში იყო.

4. უმაღლესი დამზღვევი ორგანოები—საგუბერნიო დამზღვევი საკრებულო და დაზღვევის საბჭო, მაღალ თანამდებობის ჩინოენიკებისა და მწარმოებლებისაგან შესდგებოდა; მუშების წარმომადგენელთა რიცხვი ამ დაწესებულებებში მეტად მცირე იყო იმისათვის, რომ მას არსებითი როლი ეთამაშნა.**)

*) 1916 წელს მისცა: შრომის ინვალიდებს	16.925—15
მათ ქვრივებს	1.703—14
ობლებს (ბავშვებს).	1.205—87
ნათესაეებს	764—68
ს უ ლ .	20.598—93

1. ხარჯები გამგეობის, სარევიზო კომისიის და მმართველობის შესანახად.	
ა) გამგეობის შესანახად	12.785—40
ბ) სარევიზო კომისიის შესანახად	1.357—
ვ) ხარჯები საკრებულოსთვის საერთოდ	1.464—35
2. მოსამსახურეების შენახვა	60.531—86
3. მისვლა-მოსვლა და მივლინებანი	2.880—89
4. ბინის ქირა	5.075—
5. გათბობა, განათება და სარემონტო	2.743—92
6. საკანცელიარო მასალები და ხარჯები	6.722—19
7. ფოსტა-ტელეგრაფის ხარჯები	2.551—09
8. სტამბის ხარჯები	5.883—05

სხვადასხვა ხარჯები.

ინსპექციის შენახვა	25.102—89
დახმარება მოსამსახურეებს	32.066—03
„ ჯარში გაწვეულთა ოჯახებს	705—
სხვადასხვა წერილობანი ხარჯები	1.325—63
სხვადასხვა სანწყო ხარჯები	5.156—41
ს უ ლ .	166.350—71

**) კავკასიის საოლქო დამზღვევი ამხანაგობა უშუალოდ ემორჩილებოდა დაზღვევის საბჭოს, რომელიც პეტროგრადში იმყოფებოდა.

თ ა ვ ი მ ე რ ა ე

სოციალური დაზღვევა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ.

თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციის შორის შრომის კანონმდებლობის და მათ შორის სოციალურ დაზღვევის დარგში ძირითადი ცვლილებები არ მომხდარა.

როგორც დროებითი მთავრობა, ისე იმ დროის მუშათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებშიც უმრავლესობას სოციალისტ-რევოლუციონერთა და სოც. დემოკრატთა პარტიების წარმომადგენლები შეადგენდნენ, წინარევოლუციონურ კანონების რეფორმითა და მათი ახალ პირობებთან შეგუებით კმაყოფილდებოდნენ.

მუშათა კლასის მემარცხენე ფლანგი კი ბოლშევიკების შეთავაზებით უფრო რადიკალურ მოთხოვნილებებს აყენებდა: სახელდობრ: სოციალურ დაზღვევის დარგში იგი ეგრედ წოდებულ „მუშათა პროგრამის“ განხორციელებას მოითხოვდა.

ჩვენ საქიროდ ვთვლით მოვიყვანოთ ამ თავში რამოდენიმე დოკუმენტი, რომლებიც გააშუქებენ იმდროინდელ საზოგადოებრივ და მუშათა ორგანიზაციების განწყობილებას სოციალურ დაზღვევის დარგში.

მუშათა და ჯარის მუშათა და ჯარის-კაცთა დეპუტატების
კაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელთა სრულიად რუსეთის თათბირმა სოციალური დაზღვევის
საგზო სოციალური შესახებ დროებით მთავრობას შემდეგი მოთხოვნებიანი წარუდგინა:
დაზღვევის შესახებ.*)

„აღიარებს რა სოციალურ რეფორმის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დაქირავებულ შრომის ყოველ სახეზე დაზღვევის გავრცელებას, (ავადმყოფობის შემთხვევაში და უბედურ შემთხვევისაგან), ჩვენი

*) პირველი მოწვევის.

დაზღვევის ძირითად რეორგანიზაციის საჭიროებას და ინვალიდობისა, მოხუცებულობისა და აგრეთვე უმუშევრობის შემთხვევებში დაზღვევას—თათბირი პირველ რიგში მოითხოვს, რათა დროებითმა მთავრობამ მომკმედ დაზღვევის კანონებში დეკრეტით ისეთი ცვლილებები შეიტანოს, რომლებიც დაუყოვნებლივ მოსკობს მომკმედ კანონების მწვავედ საგრძნობ ნაკლულოვანებებს.

ეს ცვლილებები შემდეგია:

1. საავადმყოფო კასებს უნდა მიენიქოს საერთო კასებში გაერთიანების უფლება წამოწყებათა პატრონების უნებართვითაც.

2. საავადმყოფო კასებს უნდა მიენიქოს უფლება აიღონ თავიანთ გამგებლობაში მუშათათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე წამოწყებათა პატრონების თანხმობის გარეშე და დამზღვევ საკრებულოთა უნებართვით.

3. საავადმყოფო კასების მმართველობის რეორგანიზაცია კასების ნონაწილეთა სრულ თვითმმართველობის საფუძველზე.

4. გავრცელება დაზღვევისა დაჭირავებულ შრომის ყველა სახეზე, რომელთა მიმართაც, მუშების დაზღვევის ახლანდელ ორგანიზაციის დროს, ტეხნიკურად ეს შესაძლებელი იქნება.

5. მუშების დაზღვევის გავრცელება რუსეთის ყველა ადგილებზე.

6. დასახიჩრებულებზე გაწეულ დახმარებით გამოწვეული ხარჯების გადატანა დამზღვევ ამხანაგობაზე—პირველი ცამეტი კვირის განმავლობაში უბედურ შემთხვევების შემდეგ.

7. რეორგანიზაცია დამზღვევ ამხანაგობისა, მუშებისა და მწარმოებლების თანასწორ წარმომადგენლობის საფუძველზე.

8. დამზღვევ საკრებულოების და საბჭოს დემოკრატიზაცია.

თათბირი აუცილებლად სთვლის სრულიად რუსეთის დაზღვევის ყრილობის მოწვევას სოციალური დაზღვევის საკანონმდებლობის გეგმის დასამუშავებლად“.*)

მუშებისა და ჯარისკაცების დეპუტატთა საბჭოების პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა შეეხო სოციალურ დაზღვევის საკითხს, მაგრამ მიღებულ რეზოლუციაში იგი თათბირის მოთხოვნის ნორს არ წასულა, გარდა იმისა, რომ ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი უფრო გარკვევით ჩამოაყალიბა.

რეზოლუციაში ნათქვამია:

*) „მუშების დაზღვევა და სოციალური პოლიტიკა“ 1917 წლ. № 2—3, ზვერდი 18.

„ადასტურებს რა რეზოლუციას სოციალური დაზღვევის შესახებ, რომელიც მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის თათბირზე იქნა მიღებული, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა დაკინებებით მოითხოვს, რათა შრომის სამინისტრომ სასწრაფოდ დაამუშავოს და დროებითამ მთავრობამ დაუყონებლივ გაატაროს ცხოვრებაში კანონ-პროექტები, რომლებიც ხსენებულ რეზოლუციაში გამოთქმულ სურვილებს ხორცს შეასხამენ. ყრილობა განსაკუთრებით მოითხოვს, რათა დაზღვევა დაქირავებულ შრომის ყოველ სახეზე გავრცელდეს.

ამასთანავე ყრილობა აღნიშნავს, რომ საავადმყოფო კასებს არ შეუძლიანთ არსებობა ძველი კანონების ჩარჩოებში, რომელიც ახალ თავისუფალ რუსეთის საზოგადოებრივ მუშაობის პირობებს გადაკრით ეწინააღმდეგება. ყრილობა აგრეთვე აღნიშნავს, რომ ახალ კანონების უქონლობა, რომლებსაც შეეძლოთ საავადმყოფო კასებისათვის საშუალება მიეცათ თავიანთი მოქმედება ჩვენს უფლებრივ საფუძველზე ფართოდ და თავისუფლად გაეშალათ, მეტისმეტად აბრკოლებენ მუშების ავადმყოფობის შემთხვევაში უზრუნველყოფის საქმის ნორმალურად განვითარებას.

საბჭოსა და მუშების დაზღვევის საქმეთა საკრებულოს დემოკრატიზაციისათვის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა საკიროდ სთვლის:

1. მათში არჩეულ ელემენტის საგრძობლად გაძლიერებას და ჩინოვნიკების რიცხვის რაც შეიძლება შემცირებას;
2. მუშების აბსოლუტურ სიკარბეს იმ საკითხების გადაკრის დროს, რომლებშიც წამოწყებათა პატრონების დაინტერესება კანონით მტკიცედ დაწესებულ ჩარჩოებით არის შემოზღუდული.
3. საშუალების მინიჭება მუშებისათვის, რათა მათ შეეძლოთ საბჭოსა და საკრებულოში ისეთ პირთა არჩევა, რომლებიც საავადმყოფო კასების მონაწილეებად არ ირიცხებიან.
4. ორგანიზაცია არჩევნებისა საბჭოში. არა პეტროგრადიდან, არამედ მთელ რუსეთიდან და საკრებულოზე დაქვემდებარებულ ყველა საავადმყოფო კასიდან.
5. გადაცემა საბჭოსა და საკრებულოს საქმის წარმოების ხელმძღვანელობისა საბჭოსა და საკრებულოს ბიუროზე, რომელშიც მუშებისა და წამოწყებათა პატრონების წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას*).

*) „მუშების დაზღვევა და სოციალური პოლიტიკა“ 1917 წ. № 2—3 გვ. 21.

როგორი უცოდველიც არ უნდა გვეჩვენოს ეს მოთხოვნილებები, მაშინდელ დროისათვის ისინი მაინც დიდ წინსვლას ნიშნავდა.

დროებითი კანონმდებლობის საფუძვლად სოციალურ დაზღვევის დარგში მიღებულ იქნა ზემოდ აღნიშნულ თათბირის და ივნისში შემდგარ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების პირველი სრულიად რუსეთის ყრილობის დადგენილებები.

ეს დადგენილებები წითელი ზოლივით იქნა გაყოლებული საავადმყოფო კასების შესახებ არსებულ კანონის რეფორმაში. ხსენებულ კანონის ნაცვლად 1917 წლის 25 ივლისის ახალი კანონი გამოქვეყნდა.

რა ცვლილებები შეიტანა ამ რეფორმამ?

1. ამ რეფორმით შეიძლებოდა დაზღვეულიყო ის წამოწყებანიც, რომლებშიც არა უმცირეს 5 მუშისა ირიცხებოდა. ამასთანავე შეიძლებოდა ის წამოწყებებიც დაზღვეულიყვნენ, რომელშიც მუშების ნაკლები რიცხვი ითვლებოდა, მხოლოდ ამისათვის დამზღვევ საკრებულოს დადგენილება იყო საჭირო.

2. საავადმყოფო კასებს უფლება მიეცათ გაერთიანებულიყვნენ, შეედგინათ საერთო საქალაქო, სარაიონო და სხვა კასები, წამოწყებათა ადმინისტრაციის დაუკითხავად; იმ წამოწყებებში კი, რომლებშიც მუშები ჯერ კიდევ არ იყვნენ დაზღვეულნი—უკანასკნელებს თვით შეეძლოთ გადაეწყვიტათ: დაეარსებინათ განსაკუთრებული კასა თუ საერთო საქალაქოს შეერთებოდნენ.

3. დასაზღვევი გადასახადი ნაცვლად წინანდელი $\frac{2}{3}$ -სა სანახევროდ უნდა ყოფილიყო შეტანილი: ესე იგი 50% დაზღვეულს შეჰქონდა, ხოლო 50%—დამქირავებელს.

4. დამზღვევ კასებს უფლება ენიჭებოდათ აეღოთ თავიანთ გამგებლობაში საექიმო დახმარება დაზღვეულთათვის და მათი ოჯახის წევრთათვის.

6. მშობიარობის შემთხვევაში დაზღვეულნი ნაცვლად წინანდელი ექვსი კვირისა—მუშაობისგან 8 კვირის განმავლობაში თავისუფლდებოდნენ.

ასეთია მთავარი ცვლილებები, რომლებიც დროებითმა მთავრობამ 1917 წ. 23 ივნისის კანონში შეიტანა.

აქ არ არის გატარებული პირველყოფლისა პრინციპი საყოველთაო დაზღვევისა, ვინაიდან დაზღვეულთა წრის გარეშე დატოვებულნი

არან: ა) სახაზინო წამოწყებათა და საერთო სარგებლობის რკინის გზების მუშები და მ.რ.სამსახურეები; ბ) დაწესებულებათა, ბანკების და სხვათა მოსამსახურეები; გ) სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა და წამოწყებათა მუშა-მოსამსახურეები; დ) სასოფლო-სამეურნეო მუშები; ე) ხელზე მოსამსახურენი; ე) საბინაო მშენებლობის მუშები; ზ) მუშები იმ წვრილ წამოწყებებისა, რომლებშიც მათი რიცხვი ხუთზე ნაკლები იყო.

გარდა ამისა არ არის გატარებული პრინციპი უფასო დაზღვევისა, ვინაიდან დაზღვეულები, თანახმად ხსენებულ დებულებისა, ხარჯებს სანახევროდ ფარავდნენ.

ახალი, რაც დასაზღვევ დაბეგვრის დარგში იყო შეტანილი ეს ისაა, რომ მუშები, რომლებიც შავი მუშის საშუალო ხელფასის 2/3-ზე ნაკლებს იღებდნენ, დასაზღვევ გადასახადის შეტანისაგან თავისუფლდებოდნენ.

**მუშათა მასშტის ვინაიდან დროებითი მთავრობის ხსენებული დე-
მოტოკონილიზ-ბულემა (1917 წლის 25 ივლისისა) საავადმყოფო
ბანი.** კასების შესახებ დამზღვევ და პროფესიონალურ
მუშაკებს შორის სხვადასხვა შეფასებას ჰპოულობ-
და, ამიტომ ჩვენ ზედმეტად არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ ორი დო-
კუმენტი, რომლებშიც მოცემულია ანარეკლი მუშათა განწყობილები-
სა ოქტომბრის რევოლუციის წინ და მას შემდეგ.

1917 წლის 5-10 ოქტომბერს, საავადმყოფო კასების მოსკოვის კავშირის თაოსნობით, მოსკოვში—მოსკოვის ოლქის საავადმყოფო კასების პირველი ყრილობა იქნა მოწვეული.

ყრილობა დაახლოვებით ნახევარ მილიონ დაზღვეულს წარმოადგენდა. ახალი კანონის შესახებ მან შემდეგი რეზოლუცია მიიღო:

„განიხილა რა ყოველმხრივ ახალი კანონი ავადმყოფობის შემთხვევაში დაზღვევის შესახებ,—ყრილობა აღნიშნავს, რომ შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებული და ზოგიერთი ცვლილებებით დროებითი მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულება მუშების უზრუნველყოფის შესახებ ავადმყოფობის შემთხვევაში, დაუკმაყოფილებლად სტოვებს ზოგიერთ ყველაზე უფრო არსებით მითითებას და მოთხოვნილებას, რომლებსაც მუშები 1917 წლის კანონის გამოცემიდან აყენებდნენ და რომლებიც დამზღვევ საკრებულოს და საბჭოს მუშათა ჯგუფების მრავალრიცხოვან ნაკაზებში იყენენ დადასტურებულინი.

1. დაზღვევა ავადმყოფობის შემთხვევაში დაქირავებულ შრომის უველა კატეგორიაზე არ არის გავრცელებული: სახაზინო წამოწყებათა მუშები, რკინისგზის მუშები და მოსამსახურეები, სავაქრო და კანტორის მოსამსახურეები, სასოფლო-სამეურნეო მუშები, ხელზე მოსამსახურენი და სხვანი ისევე, როგორც წინედ, კანონის გარეშე არიან დატოვებულნი.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საკითხი, დაზღვევის მშრომელთა მოყვანილ კატეგორიაზე გავრცელების შესახებ, განსაკუთრებით მწვავეა და აუცილებლად სთვლის მისი კანონმდებლობის გზით დაუყოვნებლივ გადაკრას.

2. წინააღმდეგ დამზღვევ მუშათა ორგანიზაციების აშკარად გამოთქმულ მოთხოვნებისა დაზღვევის ყოველგვარ ხარჯების მწარმოებლებზე გადატანის შესახებ, ხსენებულ ხარჯების საგრძნობი ნაწილი ისევე, როგორც წინედ მუშებს აწვება მხრებზე. მწარმოებელთა გადასახადების გადიდება 50 0/0-მდე და მათი მუშების გადასახადებთან გათანასწორობა მდგომარეობას ოდნავ აუშჯობესებს მაგრამ—, არსებითად, კანონის სრულიად უსწორო აღნაგობას უცვლელად სტოვებს. სდგას რა წინანდელ თვალთსაზრისზე ყრილობა კიდევ ერთხელ ადასტურებს მუშების ყოველგვარ დასაზღვევ გადასახადებისაგან განთავისუფლების აუცილებლობას.

3. ყრილობა საკიროდ სთვლის განსაკუთრებული ყურადღება საექიმო დახმარების ორგანიზაციის შესახებ არსებული კანონის მდგომარეობას მიექცეს. მიანიკა რა უფლება საავადმყოფო კასებს აელოთ თავიანთ ხელში საექიმო დახმარების ორგანიზაცია წამოწყებათა პატრონების თანხმობის გარეშე, კანონმა ამით არსებითად შეუზღუდა საავადმყოფო კასებს ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

— პირველ ყოვლისა კანონში დაწესებული ფარგლები, რომელშიაც საექიმო დახმარების ორგანიზაციისათვის წამოწყებათა პატრონებმა უნდა იხადონ (ხელფასის არა უმეტეს 2 0/0-ისა, მაგრამ არა უმცირეს 18 მანეთისა თითო კაცზე), მეტისმეტად ვიწროა და მრავალ შემთხვევაში, საავადმყოფო კასების მიერ თავიანთ მონაწილეთათვის საექიმო დახმარების სწორ ორგანიზაციას, სრულიად შეუძლებლად გახდის. თათბირი საერთოდ ყოვლად დაუშვებლად სთვლის, რომ კანონში მტკიცედ იქნეს განსაზღვრული საექიმო დახმარების ორგანიზაციისათვის საკირო გადასახადების მაქსიმუმი, რომელიც წამოწყებათა პატრონებმა უნდა გაიღონ.

ნეორე—თვით განსახლვრა წამოწყებათა პატრონებისს გადასახადებრსა საექიმო დახმარებისათვის, მონაწილეთა ხელფასის პროცენტულ ანარიცხების მიხედვით, არსებითად სრულიად უსწოროდ უნდა ჩაითვალოს. ასეთ სისტემის დროს რაოდენობა ხარჯებისა საექიმო დახმარებაზე, და, მაშასადამე თვით ღირსება აღმოჩენილ დახმარებისა, პირდაპირ ხელფასის სიდიდეზე იქნება დამოკიდებული, მაშინ როდესაც, ნამდვილად, მუშების დაავადემყოფება და ამასთან დაკავშირებით მათთვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საკიროება, სხვა თანასწორ პირობებში, სამუშაო ხელფასის სიდიდესთან არა პირდაპირ, არამედ უკუფარდულ მდგომარეობაში იმყოფება.

მესამე—დააწესა რა მწარმოებელთა ყოველთვიურ გადასახადების განსახლვრული რაოდენობა საექიმო დახმარებაზე, კანონმა სრულიად უყურადღებოდ დასტოვა საკითხი წამოწყებათა პატრონების ერთდროულ გადასახადის შესახებ, რაც საექიმო დახმარების საავადმყოფო კასების ხელში გადასვლის დროს აუცილებელ სამკურნალო დაწესებულების მოწყობისათვის არის საკირო; მაშინ როდესაც ასეთ ერთდროულ გადასახადების უქონლად, საავადმყოფო კასების მიერ საექიმო დახმარების ორგანიზაცია ყოვლად განუხორციელებელი ხდება და უკეთეს შემთხვევაში კი შორეულ მომავლისათვის უნდა გადაიდოს.

კანონის ამ ნაკლულოვანებათა ასაცილებლად, რომლებიც საავადმყოფო კასებისათვის საექიმო დახმარების საქმეში არსებით დაბრკოლებებს ქმნის, ყრილობა აუცილებლად სთვლის, რათა კანონის პროექტიდან ამოგდებულ იქნეს დადგენილება წამოწყებათა პატრონების იმ გადასახადების შეზღუდვის შესახებ, რომლებიც საავადმყოფო კასებმა საექიმო დახმარების ორგანიზაციისათვის უნდა გაიღონ და ამასთან ერთად შეტანილ იქნეს კანონში დადგენილება წამოწყებათა პატრონების ერთდროულ გადასახადის შესახებ, რომელიც უნდა გაიღონ სამკურნალო დაწესებულებათა მოსაწყობათ საექიმო დახმარების საავადმყოფო კასებისადმი გადაცემისას. როგორც თვიურ, ისე ერთდროულ გადასახადების რაოდენობას უნდა საზღვრავდეს დამზღვევი საბჭო და დამზღვევი საკრებულოები, რომლებიც ისე უნდა გადახალისდენ, რომ მათში მუშების წარმომადგენლები სკარბობდეს.

კანონის ამ ძირითად ნაკლულოვანებათა გარდა ყრილობა საკიროდ თვლის კიდევ შემდეგი შეცდომები აღნიშნოს:

4) კანონმა გაანთავისუფლა ყოველ გვარ გადასახადისაგან კასის ის მონაწილენი, რომლებიც მშვიერ სამუშაო ხელფასს, სახელ-

დობო შავი მუშის ხელფასის 2/3-ზე დაბლა იღებდნენ და იგი (გადასახადი) სავსებით მწარმოებლებზე გადაიტანა, მაგრამ ამასთანავე შესაძლოდ მიიჩნია დაეტოვებია მშრომელთა ამ კატეგორიებისათვის დახმარება ავთომყოფობის შემთხვევაში—მათი მშვიერი ხელფასის 2/3-ის რაოდენობით.

ამ არანორმალურ მოვლენის ასაცილებლად კანონში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ასეთ მცირე ჯამაგირის დროს დახმარება კასის მონაწილეს მისი სრული ხელფასის რაოდენობით ეძლეოდეს. ამასთანავე თათბირი აუცილებლად სთვლის, რომ კანონში კასის ყველა მონაწილეთათვის დაწესებული იქნეს დახმარების რაოდენობის მინიმუმი, მხოლოდ არა უმცირეს მშვიერი ხელფასისა.

5. მონაწილეთა სამუშაო ხელფასის უდიდესი რაოდენობა, საიდანაც უქერენ ხოლმე მონაწილეებს საავადმყოფო კასაში შესატანად. კანონში 10 მანეთით არის განსაზღვრული. ყრილობას ასეთი თანხა ფრიად და ფრიად მცირედ, და, საერთოდ დასაბეგრ ხელფასის რაოდენობის კანონით განსაზღვრა, სრულიად ზედმეტად მიიჩნია და ანიტომ იგი აუცილებლად სთვლის, რომ კანონის ტექსტიდან ასეთი განსაზღვრა ამოღებულ იქნეს და ამ საკითხის გადაჭრის უფლება საავადმყოფო კასების საერთო კრებებს მიენიჭოს.

6. კანონით დატოვებული ვადები, რომლის განმავლობაშიც უნდა ეძლეოდეს დახმარება ფეხმძიმეთ და მშობიარეთ სრულიად არ არის საკმარისი. ყრილობა აუცილებლად სთვლის, რომ მეცნიერების მოთხოვნილებებთან შეფარდებით, ეს ვადა გადიდებულ იქნეს 4 კვირემდე—მშობიარობის წინ და 8 კვირემდე მშობიარობის შემდეგ. ამასთანავე საავადმყოფო კასებს უფლება უნდა მიენიჭოს მისცენ დახმარება დედებს, რომლებიც ძუძუს აწოვებენ ამ 12 კვირის ზეითაც.

7. კანონმა საავადმყოფო კასების მმართველობა თვით მუშებს გადასცა, მაგრამ ამასთანავე დააწესა, რომ გამგეობის წევრები მხოლოდ რწმუნებულთა შორის ყოფილიყო არჩეული. ყრილობა ასეთ წესს საავადმყოფო კასებისათვის შემათერხებლად სთვლის და აუცილებლად აღიარებს, რომ კანონიდან ეს განსაზღვრა ამოღებულ იქნეს.

8. კანონი კასის მონაწილეს მისი წამოწყებიდან გამოსვლის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში კასის წევრობის უფლებას უტოვებს. როგორც მონაწილეთა, ისე საავადმყოფო კასების ინტერესების დასაცავად, რომლებიც ხშირად ასეთ პირობებში თავიანთ ყველაზე უფრო აქტიურ მუშაკებს კარგავენ, ყრილობა საპიროდ

სთვლის მიეცეს კასის ყველა მონაწილეს შესაძლებლობა იმისა, რომ წაიწიებოდნენ გამოსვლის შემდეგ დაიტოვოს კასის მონაწილის უფლება ნებაყოფლობითი დაზღვევის საფუძველზე.

9. საავადმყოფო კასების თვითმართველობის პრინციპს ყრილობა დარღვევულად სთვლის მით, რომ სარევიზიო კომისიაში წარმომადგენელი წამოწყებათა პატრონებიდანაც იქნა შეყვანილი და ამიტომ აუცილებლად აღიარებს, რომ ეს დადგენილება კანონის ტექსტიდან ამოღებული იქნეს.

ყველა აღნიშნული ნაკლულოვანება და შეცდომა უნდა გამოსწორდეს სასწრაფო წესით—დამატებითი კანონის გამოცემის გზით.

აღნიშნავს რა ახალი კანონის არსებით ნაკლულოვანებებს და მოუწოდებს რა საავადმყოფო კასებს მათ აღმოფხვრისაკენ.—ყრილობა აშასთან ერთად საკვიროდ სთვლის ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ყველა ამ ნაკლულოვანებისა, ხსენებული კანონი მუშათა კლასის მაინც დიდ მონაპოვარს შეადგენს, რომელიც მის წინაშე ფართო საორგანიზაციო პერსპექტივებსა შლის. ახალი კანონის საფუძველად მუშების სრული თვითმოქმედება არის მიღებული. საავადმყოფო კასები, რომლებიც დღემდე წამოწყებათა პატრონებისაგან სრულ დამოკიდებულებაში იყვნენ, ახლა, როგორც კასების შექმნის, ისე მათი გამგებლობის საქმეში, მუშების სრულ თვითმოქმედებაზე არიან აგებულნი. ნაცვლად საფაბრიკო კასებისა, მუშებს საერთო საქალაქო კასების შექმნის და უკანასკნელთა კავშირებში გაერთიანების სრული თავისუფლება აქვთ მინიჭებული. საექიმო დახმარების საქმის ორგანიზაცია საავადმყოფო კასების საქმედ ხდება. მიუხედავად იმისა, რომ წამოწყებათა პატრონების გადასახადთა შეზღუდვის გამო, ამ დახმარების ფარგლებიც შეიზღუდა, საავადმყოფო კასებს მაინც ფართო ასპარეზი ეშლებათ იმისათვის, რომ თავიანთი ძალღონე მუშათა მოსახლეობის მკურნალობისა და გაჯანსაღების საქმეში სავსებით გამოიყენონ.

ყრილობა მოუწოდებს საავადმყოფო კასებსა და დაზღვევის ყველა მუშაკებს ყოველგვარ ზომებით შეეცადონ ხსენებულ კანონის გასწორებას და შემდეგ გაფართოვებას და ამასთანავე წინადადებას აძლევს მათ სავსებით გამოიყენონ ის უზარმაზარი შესაძლებლობანი, რომლებიც მათ წინაშე სოციალურ დაზღვევის დარგში იშლება.*

*) „მუშების დაზღვევა და სოციალური პოლიტიკა“ 1917 წ. № 6—7 გვ. 21—23.

იმავე 1917 წლის დეკემბერში ტფილისში პროფესიონალურ კავშირთა პირველი საოლქო კონფერენცია შესდგა. კონფერენცია წარმოადგენდა პროფესიონალურ კავშირებში დარაზმულ 124.000 კაცს. (უმრავლესობას წარმოადგენდა ბაქო—80.000 კ.)

ხსენებულმა კონფერენციამ კანონმდებლობაში სოციალურ დაზღვევის შესახებ შემდეგი პროგრამა შეიმუშავა:

1) უბედურ შემთხვევისაგან დაზავებულთა დაზღვევა, 2) უზრუნველყოფა ავადმყოფობის შემთხვევაში, 3) დაზღვევა უმუშევრობისაგან, 4) ინვალიდებისა და მოხუცებულთა უზრუნველყოფა, 5) დედობის დაცვა, 6) ქვრივებისა და ობლების დაცვა, 7) დასახაჩრებულ სამხედრო პირთა უზრუნველყოფა.

აღნიშნული სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი სოციალურ დაზღვევის მთლიან სისტემას უნდა შეადგენდეს და ვრცელდებოდეს დაქირავებულ შრომის გამოუკლებლივ ყველა სახეზე; ამასთანავე ის დაწესებულებები, რომლებიც სოციალურ დაზღვევას განაგებენ საესებით მუშათა ხელში უნდა იყვნენ.

სოციალურ დაზღვევის განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები კი უნდა დაიფაროს იმ შეძლებულ კლასებზე გადასახადების გაწვდით, რომლებიც მშრომელების მიერ საუკუნოებით შექმნილ სინდიდირეს ფლობენ.

შემდეგ, კონფერენცია აღიარებს, რომ, სოციალური დაზღვევა, რუსეთში ფედერატიულ რესპუბლიკის დაწესების დროს, არ შეიძლება ადგილობრივ საკანონმდებლო დაწესებულებების მიერ იქნეს განხორციელებული; იგი ცენტრალურ ხელისუფლების კანონმდებლობის საგანს უნდა შეადგენდეს.

ვინაიდან სოციალურ დაზღვევის მთელი პროგრამის განხორციელებას შედარებით დიდი დრო დასჭირდება, ამიტომ კონფერენცია მოითხოვს, რომ მოქმედი დაზღვევის კანონები დაუყოვნებლივ გაფართოვებული და გაუმჯობესებული იქნეს. დაზღვევის კანონები დაქირავებულ შრომის ყველა სახეზე უნდა გავრცელდეს; დამზღვევ ამხანაგობებში უნდა შეყვანილ იქნენ მუშების წარმომადგენლები და სავადმყოფო კასების სახსრები მხოლოდ და მხოლოდ მწარმოებელთა მიერ შეტანილ გადასახადებიდან შესდგებოდეს *).

ორივე რეზოლუცია, რომლებიც მუშათა მასების მიერ იქნა მიღებული უშუალოდ, — ოქტომბრის რევოლუციამდე და მას შემდეგ, —

რევოლუციონურ რუსეთის სხვადასხვა ნაწილებში, დაზღვევის კანონმდებლობის ჩარჩოებს გაცილებით უფრო შორს წევდა, ვიდრე ეს დროებითი მთავრობის შრომის სამინისტროს მიერ იყო მიღებული.

მ უ შ ე ბ ი ს ღ ა - დროებითი მთავრობის დროს, 1912 წლის 23
ზ ღ ვ ე ვ ა უ ბ ე ლ უ რ იენისის კანონი მუშების უბედურ შემთხვევისაგან
შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი ს ა გ ა ნ დაზღვევის შესახებ—არ შეცვლილა; დროე-
 ბითმა მთავრობამ ვერ მოასწრო მისი შეცვლა.
 შრომის ინვალიდების მდგომარეობა ამის გამო დღითი დღე უარეს-
 დებოდა.

ომისა და რევოლუციის დროს ფასები პირველ საჭიროების საგნებზე საზღაპროდ გაიზარდა, მუშათა ცხოვრების დონე დღითი-დღე უარესდებოდა, მაგრამ შრომის ინვალიდების მდგომარეობა კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა, ვინაიდან დაზღვევი ამხანაგობა პენსიებს წინანდელი რაოდენობით არიგებდა.

კავკასიის საოლქო დაზღვევ ამხანაგობას, რომელმაც მოსპო მუშებზე პენსიების გაცემა ან და უკეთეს შემთხვევებში ასეთები შეამცირა და ამით მხოლოდ ერთი წლის—1916 წლის—განმავლობაში დაახლოებით 750.000 მან. დაზღვევის გადასახადების „ნაქარბის“ მომპირნეობა შესძლო, დასახიჩრებულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად თითოც კი არ გაუნძრევია.

პირიქით, პენსიები რიგდებოდა უწყსოთ, დიდის დავიანებით და ამით პენსიის მსყიდველობითი უნარი კიდევ უფრო ეცემოდა.

ყველაფერი ეს ერთად აღებული შრომის ინვალიდების, ქვრივებისა და ობლებისათვის აუტანელ მდგომარეობას ქმნიდა, მათ მათხოვრებათ აქცევდა.

თუ რამდენად მძიმე იყო შრომის ინვალიდების მდგომარეობა ეს შემდეგ სტრიქონებიდანაც სჩანს, რომლებიც მაშინდელ დროის პერიოდულ ბეჭდითი სიტყვის ორგანოდან მოგვყავს.

რევოლუციისა და ამხანაგების მიერ მივიწყებული.

ჩვეულებრივ მიღებულია ფიქრი, რომ რევოლუციამ პროლეტარიატის ყველა ფენები დააჯილდოვა თავისი სიკეთით. პროლეტარიატის მეგობრები და მტრები ფიქრობენ, თითქოს პროლეტარიატმა, ისარგებლა რა თავისი მოქალაქეობრივი უფლებებითა და კლასობრივ ბრძოლის თავისუფლებით, რევოლუციის ერთი წლის განმავლობაში ცხოვრების უკეთესი პირობები მოიპოვა. ალბად არაინ არ იცის, რომ არსებობს სამრეწველო პროლეტარიატის ერთი კატეგორია, რომლის

მდგომარეობაც უკანასკნელ წლის განმავლობაში არა თუ არ გაუმჯობესებულა, არამედ, პირიქით საგრძნობლად გაუარესდა. /

მაინც არიან პროლეტარები, რომელთა არსებობის შესახებ დღე-ღამე არა მარტო რევოლუციამ, არამედ ამხანაგებმაც. არიან პროლეტარები, რომლებიც განსაკუთრებული მზრუნველობის საგანი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ რომელთა ბედზედაც არაფერ არ ჰზრუნავს.

ვინ არიან ეს ბედით დამცირებულნი?

ეს არის—არმია **შრომის ინვალიდებისა**.

უკანასკნელი მათხოვარი, რომელიც ქუჩაზე მოწყალეობას თხოვლობს, უფრო უზრუნველყოფილია, ვიდრე ჩვენი შრომის ინვალიდები *)“.

ამრიგად, თებერვლის რევოლუციამ სოციალურ დაზღვევის დარგში ვერ შესძლო „მუშათა პროგრამის“ განხორციელება.

კოალიციონურ მთავრობას არ აღმოაჩნდა ფართო გაქანება მუშათა კანონმდებლობაში; საჭირო გაქანება არც შეიძლებოდა მას ჰქონოდა.

კაპიტალის წარმომადგენლები, რომლებიც მთავრობაში შედიოდნენ ამაში არ იყვნენ დაინტერესებულნი; პირიქით მათი ინტერესი მოითხოვდა, რაც შეიძლება უფრო შეევიწროებინათ მუშების მოთხოვნილება.

ამიტომ იყო, რომ დროებითი მთავრობის მთელი კანონმდებლობა წვრილმან რეფორმებს, მეფის ხელისუფლების მიერ დატოვებულ ნაყარ-ნუყარის შეკოწიწებას შეიცავდა.

*) იხ. „ბორბა“ 1918 წ. 17 მარტის თარიღით, № 31.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

სოციალური დაჯილდოება საქართველოში მინსკში მთავრობის დროს.

საერთო შენიშვნები.

ამიერ კავკასიის მთავრობისა და სემის მთელი კანონმდებლობა მუშათა საკითხის გარშემო სამ დეკრეტს შეიცავდა: 1) რვა საათის სამუშაო დღის შესახებ, 2) იმ საქმეების წარმოების შესახებ, რომლებიც კოლექტიურ ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიების გამო წარმოიშვებოდნენ, 3) მუშა-მოსამსახურეების მიღება-დათხოვნის შესახებ. 1

ეს სამი დეკრეტი გამოკვეყნებულ იქნა იმ მრავალრიცხოვან კონფლიქტების პრაქტიკულად გადაჭრის მიზნით, რომლებითაც ერთიანად ავსებული იყო როგორც შრომის კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები, ისე ცენტრალური და ადგილობრივი შემარეგბელი კამერები.

მრავალი კონფლიქტი სამუშაო დღის განუსაზღვრელობის ნიშნით იყო წარმოშობილი. მუშები დამოუკიდებლად ამცირებდნენ სამუშაო დროს, რაზედაც მწარმოებლები არ თანხმდებოდნენ და მუშებზე საჩივრით ან შრომის ორგანოებს ან და შემარეგბელ კამერებს მიმართავდნენ.

რვა საათის სამუშაო დღის შესახებ გამოკვეყნებულ დეკრეტის მიზანი იყო მოექცია განსაზღვრულ ჩარჩოებში სამუშაო დღის ნიშნით (ზედ მეტი სამუშაო საათების გამო) წარმოშობილი კონფლიქტები და დაესახა გზა მათ გადასაჭრელად.

მაგრამ დეკრეტი უფრო კონსერვატიული აღმოჩნდა, ვიდრე პროფორგანიზაციების პრაქტიკა, რომელმაც მრეწველობის ზოგიერთ დარგებში (სამთომადნო, თამბაქოს) ფაქტიურად რვა საათზე ნაკლები სამუშაო დღე დააწესა; ამიტომ შემდეგში საჭირო გახდა 1918 წლის 18 თებერვლის განმარტება შესახებ იმისა, რომ „დეკრეტი რვა საათის სამუშაო დღის შესახებ ნორმალურ სამუშაო დღის მაქსიმუმს აწესებს“. იმ წამოწყება-დაწესებულებებში, რომლებშიც

დეკრეტის გამოცემამდე სამუშაო დღის ხანგრძლივობა ნაკლები იყო, ვიდრე ეს დეკრეტით არის დაწესებული, ასეთი ძალაში რჩება და მისი გადიდება არ შეიძლება“.

ეს განმარტება შრომის ორგანოებისა და შემარიგებელ კამერების ამოცანას სამუშაო დროს ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტების გადაჭრის დროს ცოტაოდნავ ამსუბუქებდა, მაგრამ ამ ორგანოებს მინც ბევრი სამუშაო ჰქონდათ, ვინაიდან კონფლიქტების დიდი უმრავლესობა მუშების (მოსამსახურეების) დათხოვნის და მათთვის სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემის საკითხებზე მოდიოდა.

მრავალი წამოწყება—დაწესებულებანი იხურებოდა ან და მათი შემცირება ხდებოდა. იხურებოდა ის წარმოება-დაწესებულებანი, რომლებიც ომზე მუშაობდნენ ან და ომით იყვნენ წარმოშობილნი. იხურებოდა და მცირდებოდა წამოწყებანი აგრეთვე საკურო ნედლეულობის უქონლობის გამო.

უმრავი მუშები და მოსამსახურეები უმუშევრათ და უსახსროთ რჩებოდა. საკურო იყო მათი როგორმე უზრუნველყოფა.

უმუშევრების დაზღვევის შესახებ კანონის გამოცემას ამიერკავკასიის შრომის კომისარიატი შეუძლებლად სცნობდა იმის გამო, რომ სახელმწიფოს საკურო სახსრები არ გააჩნდა.

საკურო იყო სხვა გამოსავლის გამონახვა, სხვა გზის გამოძებნა იმისათვის, რომ უმუშევრებს ცალკე წამოწყებების და დაწესებულებების ხარჯზე აღმოჩენოდათ დახმარება.

ასეთი გზა უკვე გამონახული იყო ტფილისის შემარიგებელ კამერის მიერ, რომელმაც დათხოვნილთათვის ჯილდოს შემდეგი ნორმები დააწესა.

1) მუშა, რომელსაც ერთ წელზე მეტი ჰქონდა ნამუშევარი, პირველი სამი წლის მუშაობისათვის თვიური ხელფასის რაოდენობით, ხოლო ყოველ შემდეგი წლისათვის ნახევარი თვის ხელფასს იღებდა.

2) მუშა, რომელსაც ერთ წელზე ნაკლები ჰქონდა ნამუშევარი, ყოველ ნამსახურე თვისათვის იძლეოდა თვიურ ხელფასის ნახევარი, ნამსახურე დროსთან პროპორციულად, მაგრამ საერთოდ არა უმეტეს ორი კვირისა.

3) ანგარიშის გასწორება უკანასკნელად ფაქტიურად მიღებულ ხელფასის მიხედვით სწარმოებდა.

როგორც ზევით იყო ნათქვამი, ეს ნორმები დაწესებული იყო კერძო უფლებრივ წესით—ცენტრალურ შემარიგებელ კამერის მიერ—პროფკავშირებისა და მწარმოებლების ურთიერთ შეთანხმებით, საკურო იყო, რომ ამ ნორმებს მუდმივი და კანონიერი ხასიათი მისცემოდა, რაც 1918 წლის 14 იანვრის დეკრეტით (მუხ. 10) იქნა მიღწეული.

ლიკვიდაციის დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის
ტაშვის გაქვითვა- დაარსების შემდეგ დაწესებულებათა ლიკვიდა-
რება ციის ტემპი ისე გაძლიერდა, რომ მთავრობა
 იძულებული გახდა თავისი ერთ-ერთი პირველი
 დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებებში ლიკვიდაცია ქმნილ მოსამ-
 სახურეების სალიკვიდაციო ჯილდოს საკითხებისათვის მიეძღვნა.

ისე დიდი იყო დათხოვნილთა რიცხვი და ისე იყო შეზღუდუ-
 ლი ახლად წარმოშობილ სახელმწიფოს სახსრები, რომ შრომის სა-
 მინისტრო იძულებული გახდა დათხოვნილთათვის ხელზე გაცემული
 თანხები შემდეგნაირად შეემცირობია:

„დროებით ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის,
 ლიკვიდაცია ქმნილ დაწესებულებების (როგორც რუსეთის, ისე
 ამიერ-კავკასიის და საქართველოს) პირთ კუთვნილი თანხა შემდეგი
 წესით მიეცემათ:

ა) ამიერ კავკასიის საზღვრებიდან მომავალი მიიღებენ ნალ-
 დათ: ოჯახის პატრონი—1000 მანეთს, მარტოხელნი—500 მანეთს;
 დანარჩენი თანხა კი დანიშნულ ადგილზე გადიგზავნება ან და შესა-
 ფერი საკრედიტო მოწმობები მიეცემათ.

ბ) ამიერ კავკასიის საზღვრებში დარჩენილნი იღებენ ნალდათ:
 ოჯახიანები—500 მანეთს; მარტოხელნი 250 მანეთს, დანარჩენ თან-
 ხაზე კი საკრედიტო მოწმობები ეძლევათ“ *).

თავისთავად ცხადია „დანიშნულ ადგილზე“, არავითარი თანხა
 არ გადაგზავნილა და „ყოველ შემთხვევისათვის“ დათხოვნილნი სა-
 კრედიტო მოწმობებს ლეზულობდნენ.

მდგომარეობა არ შეცვლილა აგრეთვე კონფლიქტების გადა-
 კრის დარგშიც. როგორც თვით შრომის სამინისტროს, ისე შრომის
 საგუბერნიო კომისარიატის მოქმედების მთელი $\frac{1}{5}$, შრომისა და კა-
 პიტალს შორის წარმოშობილ კონფლიქტების გარჩევას უნდებოდა.

საავადმყოფო ახალ დაზღვევის კანონმდებლობაზე ლაპარაკი მა-
კასხვის მდგომ- შინ ზედმეტი იყო, ვინაიდან საერთოდ მთავრობას
მარეობა. და კერძოთ შრომის სამინისტროს ღონისძიებანი
 იქეთკენ იყო მიმართული, რომ როგორმე არსებუ-
 ლი მრეწველობა შეენარჩუნებია, წამოწყებათა შემციროების და მუშე-
 ბის დათხოვნის ტემპი შეენელებია.

*) ინსტრუქცია სალიკვიდაციო ჯილდოს შესახებ საქართველოს რესპუბლი-
 კის კანონის შესასრულებლად.

საქართველოს ასეთ ეკონომიურ კონფექტურის დროს, ფართო დაზღვევის კანონმდებლობაზე ფიქრი ძნელი იყო. ეკონომიურად ეს განუხორციელებელი იყო.

თვით საავადმყოფო კასები კი ისეთი სუსტნი იყვნენ, განცალკევებულ არსებობის გამო იმდენად უძლურნი იყვნენ, რომ იმ სარფითაც კი ვერ სარგებლობდნენ, რომელიც დროებითი მთავრობის 1917 წლის 25 ივლისის რეფორმებიდან გამომდინარეობდა.

ერთად-ერთი რაც გაკეთდა ეს იყო ის, რომ ყველა საავადმყოფო კასაში გამგეობები მწარმოებელთა მონაწილეობის გარეისად იქნენ არჩეული და მონაწილეთა გადასახადები საავადმყოფო კასებში დაყვანილ იქნა თანხამდე, როგორც თვით მწარმოებლებს შეჰქონდათ (სანახევროდ).

მაგრამ ზედმეტი გადასახადები სოციალურ დაზღვევისათვის მწარმოებლებს თავის დროზე არ შეჰქონდათ, თუმცა მუშებს გადასახადებს სამუშაო ხელფასის გაცემის დროს უქვერდნენ.

ასეთმა მდგომარეობამ ტფილისის გუბერნიის შრომის კომისარი აიძულა საავადმყოფო კასებისა, მილიციის უფროსისა და შრომის სამინისტროსათვის შემდეგი განცხადებით მიემართა:

„სხვა მიზეზთა შორის, რომლებიც ხელს უშლიან ტფილისის საავადმყოფო კასების განვითარებას, თვალსაჩინო ადგილი უკავია აგრეთვე იმ გარემოებას, რომ წამოწყებათა პატრონები თავიანთ მოვალეობას ხეპრულად ეპყრობიან.

წამოწყებათა პატრონების უმრავლესობის ავადმყოფობას დაზღვევის გადასახადების დროზე შემოუტანლობა შეადგენს. ისინი გადასახადებს სამუშაო ხელფასიდან უქვერენ მუშებს, მაგრამ საავადმყოფო კასებში კი არ შემოაქვთ. ამის გამო კასები ხშირად მძიმე (ნივთიერ) მდგომარეობაში ვარდებიან და მათ შესაძლებლობა ესპობათ შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი საკუთარ მონაწილეთა მიმართ.

საქიროა ენერგიული ზომები იქნეს მიღებული იმისთვის, რომ დებულების მე-68 მუხლი (იძულებითი აკრების შესახებ) მარტო კანონებს კი არ ამშვენებდეს, არამედ ცხოვრებაშიც ტარდებოდეს. პროლეტარიატი დაჟინებით მოითხოვს მიღებულ იქნეს შესაფერი ზომები წამოწყებათა იმ პატრონების შესახებ, რომლებსაც თავიანთი მოქალაქეობრივი უფლება დავიწყებული აქვთ“. *)

*) იხ. „ბორბა“ 6/VI—18 წ. № 86.

კახვანია საავადმყოფო-
ფო კასეზის ბაერ-
თიანთის სასარგებ-
ლოდ

ქ. ტფილისის საავადმყოფო კასეზისა-
თვის შექმნილ მდგომარეობიდან საუკეთე-
სო გამოსავალი იყო მათი ერთ ძლიერ (შე-
დარებით) საერთო საქალაქო საავადმყოფო
კასაში გაერთიანება.

წვირლ საავადმყოფო კასებიდან ერთი დიდი ძალოვან კასის
შექმნა ბოლოს მოუღებდა იმ ინერტობას, რომელიც მაშინდელ სა-
ავადმყოფო კასებში იყო გამეფებული, და წამოაყენებდა ახალ მუ-
შაკებს, საავადმყოფო კასების წინაშე უფრო ფართო ჰორიზონტს
გაშლიდა.

ასეთი მდგომარეობა ჯერ კიდევ საავადმყოფო კასების
პირველმა სრულიად რუსეთის თათბირმა აღნიშნა, რომელმაც საორ-
განიზაციო საკითხების გარშემო შემდეგი რეზოლუცია მიიღო.

„თათბირი ყველა ადგილობრივ დაზღვევის მუშაკების ყურა-
დლებას იქეთკენ მიაქცევს, რომ მიღებულ იქნეს ენერგიული ზომები
საერთო საქალაქო კასების შესაქმნელად და მათში წვირლ წამო-
წყებების ჩასაბმელად. ამ მიზნით ადგილებზე უნდა დაარსდეს სა-
ავადმყოფო კასებისა და პროფესიონალურ თათბირების წარმომად-
გენლებისაგან შემდგარი კომისიები, რომლებმაც მიზნად უნდა დაი-
სახონ იმ წამოწყებათა სრული სიების შემუშავება, რომლებიც კასებში
შევლენ, გააცნონ ხსენებულ წამოწყებების მუშებს—მუშების დაზღვე-
ვა და ისინი კასებში ჩააბან“ *).

ეს მუშაობა რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა დაწყებულიყო,
ვინაიდან ზოგიერთი საავადმყოფო კასა უკვე ინგრეოდა.

„ორთაქალის რაიონის ფაბრიკებისა და ქარხნების ლიკვიდა-
ციის შემდეგ საავადმყოფო კასა „ორთაქალა“ პროგრესიულად
იშლებოდა.

ჯერ კიდევ 1918 წლის პირველ იანვარს კასაში დაახლოებით
350 მონაწილემდე იყო. მაგრამ უკვე პირველ მარტისათვის მონაწი-
ლეთა რიცხვი 272-მდე შემცირდა, ამჟამად კი (ივნისში) კასა არა
უმეტეს 60 მონაწილესა ითვლის. თუ ჯერ კიდევ წინათ არ შეეძლო
კასას რაიმე დაზღვევის პოლიტიკა განეფიქარებინა, ახლა ეს მით
უმეტეს შეუძლებელია. შესწევითეს თავიანთი მოქმედება ისეთმა
ქარხნებმა, როგორიც იყვნენ კარლინის, თაიროვის და ტოლეს ზე-
თის სახდელი ქარხნები, ზლატოგორების ბამბის ქარხანა და სხვები.

*) იხ. „მუშების დაზღვევა და სოციალური პოლიტიკა“ 1917 წ. № 4 გვ. 27.

მუშებმა სალიკვიდაციო ჯილდო მიიღეს და გაიჟანტნენ, სა-
ავედმყოფო კასა კი „გატეხილ გობის წინ დარჩა“.

მაგრამ საერთო არეუ-დარევას ის გარემოებაც აძლიერებს,
რომ დაშლის სული იმ მუშებშიაც შეიპარა, რომლებიც დარჩნენ ფაბ-
რიკებში, მრეწველობის საერთო ნგრევის ამ უზარმაზარ უდაბნოს
ოაზისებში. ნგრევის ამ სულს მუშები იმ ზომამდე მიჰყავს, რომ
ისინი თავიანთსავე საავედმყოფო კასების ნაშთებს ბოლოს უღებენ.

ამხანაგობა ზარგარიანცისა და ვართაზარიანცის ტყავის ქარ-
ხნის მუშებმა უარი განაცხადეს შეეტანათ საავედმყოფო კასა „ორ-
თაქალა“-ში სავალდებულო გადასახადები, რომლებიც მათზე იანვ-
რის პირველიდან ირიცხებოდა.

კასის გამგეობამ როგორც იქნა მიაღწია იმას, რომ მუშებმა
გადასახადების ნახევარი შეიტანეს, სახელდობრ პირველ მაისამდე,
შემდეგში კი კატეგორიული უარი განაცხადეს*).

დაახლოებით ასეთივე სურათი იყო სხვა წვრილ საავედმყო-
ფო კასებში. საჭირო იყო რათაც არ უნდა დამჯდარიყო გადარჩე-
ნილიყვნენ კასები—მათი გაერთიანების საშუალებით.

კამპანია კასების გაერთიანების გარშემო ჯერ კიდევ 1918
წელს დაიწყო. მას შრომის საგუბერნიო კომისარიატი ხელმძღვა-
ნელობდა.

პირველი თათბირი. ამ საკითხის შესახებ მთელი რიგი თათბი-
რებისა შესდგა. თათბირი საავედმყოფო კასების გაერთიანების გარ-
შემო 1918 წელს 17 სექტემბერს შრომის საგუბერნიო კომისარიატ-
ში შესდგა. თათბირს ექვსი საავედმყოფო კასის წარმომადგენლები
დაესწრნენ.

თათბირმა დაადგინა შესდგომოდა გაფანტულ და მეტისმეტად
სუსტ საავედმყოფო კასების უფრო მსხვილ ორგანიზაციაში გაერ-
თიანებას.

გარდა ამისა თათბირმა დაადგინა: დარაზმულიყო როგორც
უფრო კეთილმოწყობილ ტრამვაის მოსამსახურეთა კასის გარშემო

1918 წლის 24 ოქტომბერს შრომის საგუბერნიო კომისარიატ-
ში შემდეგ კავშირების თავმჯდომარეებისა და მდივნების თათბირი
შესდგა: 1) მელითონეების, 2) მბეკდავების, 3) მეთამბაქოების, 4)
ელექტრიკების, 5) მეცყავეების, 6) სახელმწიფო და საზოგადოებ-
რივ დაწესებულებათა მოსამსახურეების, 7) მღებავების, 8) სამკურ-
ნალო დაწესებულებათა მოსამსახურეების, 9) კლუბებისა და რესტო-

*) იხ. „ბორბა“ 1918 წ. 21 ივნისის თარიღით, № 98.

რანების მოსამსახურეების, 10) შეაბანოვეების, 11) ხელზე მოსამსახურეების, 12) მზარეულების.

თათბირმა შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა:

„თათბირი აღნიშნავს ყველა არსებულ კასის საერთო საქალაქო კასაში გაერთიანების აუცილებლობას. თათბირი წინადადებას აძლევს შრომის კომისარს მისთვის მინიჭებულ უფლებების ფარგლებში აწარმოოს კასების გაერთიანება, თუ ვინცობაა კასების გამგეობებმა ეს არ მოისურვეს ან და ნელის ტემპით აწარმოეს.

ამასთანავე თათბირი ავალებს ყოველ თავის წევრს იმუშაოს ახალ კასების მოწყობისათვის“.

იმისათვის, რომ კასების გაერთიანების დროს არ შეღახულიყო იმ მუშების ინტერესები, რომლებიც უნდა დაზვეულიყვნენ, რეზოლუციის უკანასკნელი ნაწილი ახალი კასების შექმნას მოითხოვდა.

ხსენებული თათბირისა და აგრეთვე ცალკე კავშირებში მომხდარ მთელი რიგი თათბირებისა და კრებების შემდეგ საავადმყოფო კასების გაერთიანების საქმე მტკიცე ნიადაგზე დადგა.

სწორედ ამ დროიდან იწყება ფაქტიური მუშაობა საავადმყოფო კასების გაერთიანებისა და წვრილი წამოწყებების დაზღვევისათვის.

საორგანიზაციო მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ ცენტრალურ კასად, რომლის გარშემოც ყველა დანარჩენ კასებს შეეძლოთ გაერთიანებულიყვნენ ტრამვაის მუშების საავადმყოფო კასის „ტრამვაის“ არჩევა არ შეიძლებოდა, ვინაიდან საექიმო დახმარება მის მონაწილეებსა და მათი ოჯახების წევრთათვის ფაქტიურად კასის ხელში იყო მაშინ, როდესაც დანარჩენი კასები მხოლოდ ფულადი დახმარებას იძლეოდნენ და საექიმო დახმარებას ნაწილობრივ ოჯახის წევრებს უწყევდნენ; თვით კასის მონაწილეებს კი საექიმო დახმარებას წამოწყებათა პატრონები აძლევდნენ.

ძირითად საფუძვლად სხვა კასა ან და თანაგვარ კასების ჯგუფი უნდა ყოფილიყო მიღებული.

ასეთ კასას წარმოადგენდა ენფიანჯიანციის თამბაქოს ფაბრიკის საავადმყოფო კასა, რომელსაც იმავე წლის ნოემბერში გილზის მკეთებელ და წვრილ კოლოფების დამამზადებელ სახელოსნოების მუშების საავადმყოფო კასა შეუერთდა.

1918 წლის 27 ნოემბერს ქ. ტფილისის თამბაქოს ფაბრიკების ყველა მუშების საერთო კრება შესდგა.

ეს სოციალურ დაზღვევის საკითხის შესახებ კრებამ შემდეგი დადგენილება მიიღო:

„მოისმინა რა შრომის საგუბერნიო კომისარის მოხსენება სოციალური დაზღვევის სახეებისა და კერძოთ საავადმყოფო კასების შესახებ, საერთო კრება ერთხმად ადგენს გაერთიანოს თამბაქოს ფაბრიკების საავადმყოფო კასები 1919 წლის პირველ იანვრიდან ერთ კასაში და ამრიგად ტფილისის ყველა საავადმყოფო კასის ერთ საერთო საქალაქო კასაში გაერთიანებას ხელი შეუწყოს.*“

ამ დადგენილებით ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის ორგანიზაციას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა.

პირველ რიგში სწორედ ის კასები იქნენ გაერთიანებულნი, რომლებშიც ყველაზე უფრო სკარბობდნენ განზე გამწევი ძალები.

როგორც უკვე ზემოდ იყო ნათქვამი 1919 წლის 1 იანვარი უნდა ჩაითვალოს დღეთ, როცა ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის შენობას მტკიცე საძირკველი ჩაეყარა. ამ კასაში თამბაქოს და გილზების მკეთებელ ფაბრიკებისა და კოლოფების დამამზადებელ წვრილ სახელოსნოების მუშები შევიდნენ. მონაწილეების რიცხვი სულ 1228 კაცს უდრიდა.

მთელი 1919 წლის განმავლობაში დანარჩენ საავადმყოფო კასების გაერთიანებისა და წვრილ წამოწყებათა დაზღვევისათვის მუშაობა შეუჩერებლივ გრძელდებოდა.

პროფესიონალურ 1919 წლის აპრილში საკითხი სოციალურ კავშირთა საბჭომ დაზღვევისა და ერთ საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის ორგანიზაციის შესახებ ქ. მრთიანოზის შესახებ. ტფილისის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს პლენუმზე იდგა.

საბჭომ შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

„მოისმინა რა შრომის კომისარის მოხსენება მუშების ავადმყოფობის დროს დაზღვევის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ მუშების უზრუნველყოფობა ავადმყოფობისას და მათთვის საექიმო დახმარების აღმოჩენა შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქში არსებული ყველა კასა ერთ საერთო საქალაქო კასაში იქნება გაერთიანებული და კანონი მუშების უზრუნველყოფის შესახებ ავადმყოფობის შემთხვევაში ფართოდ იქნება ცხოვრებაში გატარებული—საბჭო კავშირის ყველა წევრებს მოუწოდებს:

*) იხ. „ბორბა“ № 232, 1918 წლის 30/XI-თარიღით.

1) აწარმოონ აქტიური პროპაგანდა მუშების შორის იმ მიზნით, რომ ტფილისში არსებული საავადმყოფო კასები რაც შეიძლება ჩქარა გაერთიანდნენ.

2) აცნობონ შრომის კომისარიატს იმ წამოწყებების შესახებ, რომლებშიაც არა უმცირეს 5 კაცისა მუშაობენ და რომლებიც არც ერთი საავადმყოფო კასის მონაწილეებათ არ ირიცხებიან.

დარჩენილ ხუთი კასის შორის:— „ტრამვაი“-ს „ტფილისის სტამბები“-ს, „ლითონი“-ს, „ადელხანოვი“-ს, და „ორთაქალა“-ს, შორის სერიოზული წინააღმდეგობა საავადმყოფო კასის „ტრამვა“-ის მხრიდან ისმოდა, მაგრამ ამის შესახებ უფრო ვრცლად ქვემოთ მოვილაპარაკებთ.

საავადმყოფო კასა „ტფილისის სტამბები“ საერთო საქალაქო კასის შექმნის მხურვალე მომხრე იყო, თვით ეწეოდა კასის ცენტრელიზაციის იდეის პროპაგანდას. ხსენებულ საავადმყოფო კასის სარევიზიო კომისია ჯერ კიდევ 1915 წელს აღნიშნავდა, რომ „საავადმყოფო კასა უნდა მიისწრაფოდეს სხვა ადგილობრივ საავადმყოფო კასებთან და პირველ ყოვლისა ქართულ საგამომცემლო ამხანაგობის სტამბასთან არსებულ კასასთან გაერთიანებისაკენ“.*)

იდეალს ამ მხრივ წარმოადგენს საერთო საქალაქო საავადმყოფო კასა, რომელიც ამა თუ იმ ქალაქის ყველა იმ მუშას აერთიანებს, რომლებიც არსებული კანონით უნდა დაზღვეულნი იქნენ**).

თებერვლის რევოლუციის შემდეგ ხსენებული საავადმყოფო კასა იყო ერთი პირველთაგანი, რომელიც საქმით ცდილობდა დაზღვევის ერთიანობის დაცვას. მან ტრამვაის მუშების საავადმყოფო კასის გამგეობას წინადადებით მიმართა (1918 წელს) შეერთებოდა მას, მაგრამ უკანასკნელმა ეს წინადადება უარყო და უარი დაასაბუთა მით, რომ კასა „ტრამვაის“ მონაწილეების საექიმო დახმარება თვით კასის ხელში იყო, მაშინ როდესაც სტამბების მუშების საექიმო დახმარება—წამოწყებათა პატრონების გამგებლობაში. ამასთანავე ერთ და იმავე კასის მონაწილეთათვის სხვა და სხვა პირობების შექმნა პრინციპიალურად დაუშვებელი იყო.

ამის წინააღმდეგ წასვლა არ შეიძლებოდა. ამიტომ „ტფილისის სტამბები“-ს კასის გამგეობა პირველ შეძლებისთანავე, სახელდობრ თამბაქოს ფაბრიკების საავადმყოფო კასების გაერთიანებისთანავე, დაუყოვნებლივ მათ შეუერთდა.

აღნიშნულ კასის ფინანსიური რესურსები მეტის მეტად შეზღუდული იყო. ეს ვარემოებაც ხელს უწყობდა უფრო ძლიერ ორგანიზაციაში შესვლას.

არც მელითონეების საერთო საავადმყოფო კასა „ლითონი“ იყო უკეთეს მდგომარეობაში.

*) 1915 წელს ყველა სტამბები არ ყოფილან გაერთიანებულნი საერთო საავადმყოფო კასაში.

**) „საავადმყოფო კასის „ტფილისის სტამბების“ ანგარიში 1913—15 წლ. გვ. 12.

გაერთიანების წინააღმდეგ იყო კიდევ ერთი საერთო სააგად-
მყოფო კასა „ორთაქალა“ და კასა „ადელხანოვისა“. ამ წინააღმდე-
გობას ისინი იმით ასაბუთებდნენ, რომ ხსენებული წამოწყებანი
ფრიად დაშორებულნი იყვნენ ცენტრს, ამიტომ მონაწილეთათვის
სამსახურის გაწევა ძნელი იყო.

იყო მთელი რიგი სხვა მიზეზებისა, მართალია უფრო წვრილ-
მანნი, რომლებიც კასების სწრაფ გაერთიანებას მაინც ხელს
უშლიდნენ.

სააგადმყოფო კასის „ორთაქალა“-სა და ადელხანოვის მუშების
შესახებ დადგენილ იქნა,—თუ ვინიცობა ისინი საერთო საქალაქო
სააგადმყოფო კასას შეუერთდებოდნენ,—ორთაქალას რაიონში მოეწყობა
პუნქტი, რომელიც დახმარებათა მიღებას გაადვილებდა.

ასეთი დადგენილებების შემდეგ მოწვეულ იქნა კასების მონა-
წილეთა საერთო კრებები (ცალკ-ცალკე), რომლებმაც გადაწყვიტეს
ტფილისის საერთო საქალაქო დამზღვევ კასას შეერთდებოდნენ.

იმ მიზნით, რომ კასების შორის საერთო ენა ყოფილიყო გა-
მონახული, სადავო საკითხები გადაეკრათ და სააგადმყოფო კასების
კონფერენციების პროგრამები ყოფილიყო შემუშავებული, შრომის სა-
გუბერნიო კომისარიატთან მოეწყობა მუდმივი კომისია, რომელშიაც
ყოველ სააგადმყოფო კასიდან ორ-ორი წარმომადგენელი შედიოდა.

ამ რიგად 1919 წლის განმავლობაში სააგადმყოფო კასების
გაერთიანების პროცესი თითქმის დასრულდა.

საერთო საქალაქო სააგადმყოფო კასის გარეშე მხოლოდ
ტრამვაის მუშებისა და მოსამსახურეების სააგადმყოფო კასა „ტრამ-
ვაი“ და მეტყავეთა კაფირის და „პურის საქმის“ მუშების ახლად
დაარსებული კასა დაიწყო.

როგორც ზემოთ უკვე აღნიშნული იყო კასა „ტრამვაი“ ქ-ტფი-
ლისში საერთო საქალაქო სააგადმყოფო კასის შექმნამდე ყველაზე
დიდი იყო.

კასის დაარსებიდანვე მისი მუშაკები ცდილობდნენ კასის მონა-
წილეთათვის საექიმო დახმარების გაწევის საქმის ხელმძღვანელობა
თავიანთ ხელში აეღოთ. კასის მოქმედების დასაწყისში, როჯა ტრამ-
ვაი ჯერ კიდევ ბელგიის ანონიმურ საზოგადოების გამგებლობაში
იყო, კასის გავლენა მონაწილეთა და მათი ოჯახის წევრთა საექიმო
დახმარებაზე სუსტი იყო, მაგრამ შემდეგში იგი თანდათან იზრდე-
ბოდა. და მას შემდეგ, რაც ტრამვაი ქალაქის ხელში გადავიდა
(1916 წ.) განსაკუთრებით კი თებერვლის რევოლუციის შემდეგ ეს
გავლენა საბოლოოდ განმტკიცდა.

ფორმალურად საექიმო დახმარება ყოველთვის ქალაქის გამგე-
ბლობაში იყო, რომელსაც მომკმედ კანონების მიხედვით კასაში კუ-
თენილი ზედმეტი გადასახადი შეჰქონდა. ფაქტიურად კი დაზღვე-
ულთა საექიმო დახმარების საქმეს სააგადმყოფო კასა აწარმოებდა.
საექიმო დახმარებაზე ამასთანავე გადასახადების განსაზღვრული რა-
ოდენობა არ არსებობდა: ფაქტიურად ხარჯებს ქალაქი ფარავდა.

ეს გარემოება, აღნიშნულ კასის მონაწილეებისათვის, დანარჩენ საავადმყოფო კასებთან შედარებით, პრივილეგიურ მდგომარეობას ქმნიდა.

ამიტომ, ყოველთვის, როცა კი სიტუვა „ტრამვაის“ კასის საერთო საქალაქო კასასთან გაერთიანების, ან და მისი გაერთიანების ცენტრალ შექმნის შესახებ ჩამოვარდებოდა, მისი ხელმძღვანელები ამის წინააღმდეგ მიდიოდნენ.

**სამართო საქალაქო
სავალდყოფო კასის
ზრდა.**

ამრიგად საავადმყოფო კასის „ტრამვაი“-ს საერთო საქალაქო კასასთან გაერთიანებაზე ფიქრი ზედმეტი იყო და უკანასკნელის ზრდა ცალკე წერილ საავადმყოფო კასების გაერთიანების და ახლად დაზღვეულ წამოწყებათა ხარჯზე მიმდინარეობდა.

მაგრამ ხსენებულ წიგნის დასაწყისშივე იყო მოხსენებული, რომ საქართველოში არ არსებობდა სამრეწველო წამოწყებები—მუშების დიდი რიცხვით, რაც იყო—აქედან ნაწილი იხურებოდა, ან და მცი-რდებოდა.

იყო წამოწყებები, რომლებიც იმ მიზნით, რომ მუშების დათ-ხოვნა არ მომხდარიყო, შემცირებულ სამუშაო კვირაზე იყვნენ გადა-ყვანილნი.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ 1920 წლის იანვარში, როცა საავადმყოფო კასების უმრავლესობა საერთო საქალაქო კასას შეუერთდა, მონაწილეთა საერთო რიცხვმა სულ დიდი დიდი 2400 კაცს მიაღწია.

კასის ზრდის მრუდი შემდეგნაირად მიიმართებოდა:

წლები	თ ვ ე ბ ი	წამოწყებების რიცხვი	მონაწილეთა საერთო რი- ცხვი	მაშაქაქები	% 0/-ში	ქალები	% 0/-ში
1920	იანვარი .	83	2400	—	—	—	—
	თებერვალი	120	2704	1699	62	1005	38
	მარტი	126	3181	2107	66	1074	34
"	ნოემბერი	226	4870	3716	76	1154	24

როგორც ამ ცხრილიდანა სჩანს 1920 წლის პირველ ნოემბრი-სთვის დასაზღვევად ავადმყოფობის შემთხვევაში მიზიდული იყო 225 წამოწყება, რომლებშიაც 4870 კაცი იყო გაერთიანებული, ესე იგი 1920 წ. პირველ იანვართან შედარებით წამოწყებათა რიცხვი 1720/-ითა, ხოლო მონაწილეების, რიცხვი 1030/-ით გაიზარდა.

ხოლო წარმოების მიხედვით აღნიშნული 226 წამოწყება 4870 მონაწილით შემდეგ ნაირად იყოფოდა:

წარმოების სახელწოდება	წამოწყებათა რიცხვი	მონაწილეთა რიცხვი	მამაკაცი	მ/ს ო/ს-ში	დედაკაცი	მ/ს ო/ს-ში
1. თამბაქოს, გილზების მრეწველობა და კოლოფების წარმოება	31	1355	457	34	898	66
2. პოლიგრაფიული წარმოება	37	562	536	95	26	5
3. სურსათის წარმოება .	63	785	760	97	25	3
4. ლითონის დამამუშავებელი მრეწველობა	12	316	315	100	1	—
5. ბოქკოიან ნიეთიერებათა დამამუშავება	10	184	99	54	85	46
6. ელექტრონის ენერჯის მოწოდება .	9	161	158	98	3	2
7. ტყავის წარმოება .	27	917	879	96	38	4
8. საპნის სახარში ქარხნები, სამრეცხაო დაწესებულებები	21	427	353	83	74	17
9. ხის დამამუშავება .	10	120	117	98	3	2
10. ქიმიური წარმოება	3	26	26	100	—	—
11. მადნეულობის დამამუშავება	3	17	16	100	1	—
ს უ ლ	226	4870	3716	—	1154	—

საშუალოდ ერთ წამოწყებაზე 21,5 მონაწილე მოდის, მაშინ როდესაც 1920 წლის პირველ იანვრისათვის 28,9 მონაწილე მოდიოდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ 1920 წლის განმავლობაში წვრილ წამოწყებათა დაზღვევა სწარმოებდა, ვინაიდან მსხვილი კერძო წამოწყებათა მუშები უკვე დაზღვეულნი იყვნენ.

ამრიგად მუშაობა საავადმყოფო კასების საერთო საქალაქო კასაში გაერთიანებისათვის 1920 წელს დასრულდა. განკერძოებულად მხოლოდ ერთი საავადმყოფო კასა „ტრამვაი“ დარჩა.

პროფკავშირების საავადმყოფო კასები.

საავადმყოფო კასების შესახებ არსებულ დებულების რეფორმასთან გაცნობის დროს, რომელიც დროებითაა მთავრობამ ჩაატარა, ჩვენ დაეინახეთ, რომ ავადმყოფობის შემთხვევაში დასაზღვევ ხარჯების ნახევარს თვით დაზღვეულნი იღებდნენ.

ეს გარემოება მუშების იმ ნაწილს, რომელიც ოპოზიციაში იყო და რომელსაც ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ, შესაძლებლობას აძლევდა არსებულ კანონის წინააღმდეგ გაელაშქრა და ყველა ხარჯების მწარმოებლებზე გადატანა მოეთხოვა. ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით ძლიერი იყო მეტყავეთა და „პურის საქმის“ მუშების პროფკავშირებში. (ხსენებულ კავშირების ხელმძღვანელები ბოლშევიკები იყვნენ).

ამ მოძრაობამ ბოლოს და ბოლოს ის შედეგი გამოიღო, რომ ხსენებულ პროფესიონალურ კავშირებთან თავისებური „საავადმყოფო კასები“ დაარსდნენ, რომლებიც მთლიანად და სავსებით კავშირების გამგეობების ხელში იყვნენ, თუმცა ამ კასების მუშაობას ცალკე მუშაკები აწარმოებდნენ. საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის ორგანიზაციის შემდეგ მიზანშეწონილების თვალსაზრისით წვრილი კასების საერთო დაზღვევის მოძრაობის გარეშე დატოვება შეუძლებელი იყო. მაგრამ გაერთიანება იმ რიგად უნდა განხორციელებულიყო, რომ ამით მუშები ნივთიერად არ დაზარალებულიყვნენ.

მაგრამ როგორ უნდა განხორციელებულიყო ეს? საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის პრეზიდენტმა „პურის საქმის“ მუშების (სურსათის კავშირი) საავადმყოფო კასის შემოერთების საკითხის შესახებ ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს კასა საერთო საქალაქო კასას სავსებით უნდა შეუერთდეს*).

* საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის გამგეობის სხდომის ოქმი—1920 წ. 10/V თარიღით.

ამ საკითხის შესახებ შრომის სამინისტრომ შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

„იღებს რა მხედველობაში, რომ: 1) „პურის საქმის“ მუშებს არ შეაქვთ კასაში გადასახადები, 2) კასის ფულადი სახსრები მხოლოდ და მხოლოდ ფურნების პატრონთა გადასახადებისაგან (სამუშაო ხელფასის 4 % რაოდენობით) შესდგება, 3) ფულადი სახსრები მხოლოდ და მხოლოდ საექიმო დახმარებაზე იხარჯება, — შრომის სამინისტრო აუცილებლად თვლის შემდეგ პირობების დაცვას:

1) „პურის საქმის“ მუშაკების საავადმყოფო კასის მონაწილეებსა და მათი ოჯახის წევრებს საექიმო დახმარება მხოლოდ და მხოლოდ ფურნების პატრონთა 4 % გადასახადების ხარჯზე უნდა გაეწიოს — საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის სახსრებიდან რაიმე დამატებისგ აულებლად.

2) პატრონებიდან შემოსულ თანხების და აგრეთვე ხარჯების გარშემო უნდა სდგებოდეს განსაკუთრებული ანგარიშები და განსაკუთრებული ანგარიშგება სწარმოებდეს.

3) საქმის წარმოებისათვის საჭირო ხარჯები 4 %-ის გადასახადებიდან უნდა იფარებოდეს.

4) „პურის საქმის“ მუშების საავადმყოფო კასის მონაწილეთა და მათი ოჯახების რეგისტრაცია ცალკე უნდა სწარმოებდეს; აგრეთვე ცალკე უნდა სწარმოებდეს მათი ავადმყოფობის, მკვდოვანობის და სხვათა შესახები ცნობების აღრიცხვა*).

„სურსათის“ პროფკავშირის წევრებმა ჯერ კიდევ 1920 წლის 25 იანვარს თავიანთ საერთო კრებაზე (დაახლოებით 800 კაცი დაესწრო) დაადგინეს:

„მოიხმინა რა შრომის კომისარის მოხსენება საერთო საქალაქო საავადმყოფო კასისა და მისი ამოცანების შესახებ, საერთო კრება ავალებს ახალ გამგეობას განახორციელოს ეს გაერთიანება კასასთან**).

მალე, ამ დადგენილების შემდეგ პურის საქმის მუშების საავადმყოფო კასა საერთო საქალაქო საავადმყოფო კასას შეუერთდა. პირველ ხანებში მონაწილეებისა და მათი დაავადყოფების ცალკე აღრიცხვა სწარმოებდა, მაგრამ, ვინაიდან ეს განსაზღვრულ ტენიკურ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ მალე სრული

*) იხ. „ბორბა“ № 106, 1920 წლის 13 X თარიღით.

**) იხ. „ბორბა“ № 22, 1920 წლის 30 I თარიღით.

გაერთიანება განხორციელდა, წამოწყებათა პატრონებს კი კასაში წინანდებურად 4 % შეჰქონდათ.

საკითხი მეტყავეთა საავადმყოფო კასის საერთო საქალაქო კასასთან გაერთიანების შესახებ დადებითად გადაწყვიტა შრომის საგუბერნიო კომისარმა*), რომელმაც 1920 წლის 26 ივლისს შემდეგი ცირკულიარი გამოსცა:

„ვინაიდან 26 ივლისიდან მეტყავეთა საავადმყოფო კასა ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასას შეეუერთე, წინადადებას ვიძლევი:

1. მეტყავეთა ყოფილ საავადმყოფო კასაზე დარჩენილი თანხები დაუყოვნებლივ, არა უგვიანეს ა/წ. აგვისტოს 5-სა შეტანილ იქნეს ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასაში (რუსთაველის პროსპექტი № 17).

2. ამიერიდან პროცენტული ანარიცხები საავადმყოფო კასის სასარგებლოდ შეტანილ იქნეს ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასაში მუშების ხელფასის დარიგების დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

3. წამოწყებათა პატრონები, რომლებსაც მეტყავეთა საავადმყოფო კასაში 5% შეჰქონდათ და ამასთანავე მუშებს არაფერს არ უქერდნენ—ვალდებულნი არიან შემდეგშია ც იმავე რაოდენობით შეიტანონ გადასახადები ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასაში**).

შრომის კომისარის ამ დადგენილებით მეტყავეებს საშუალება ეძლეოდათ საერთო საქალაქო საავადმყოფო კასას თავიანთი ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლად შეერთებოდნენ.

ეკვი არაა, ასეთი მდგომარეობა შინაგანი წინააღმდეგობით იყო აღსაყვ და სხვადასხვა პირობებს ჰქმნიდა არა მარტო საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის მონაწილეებისათვის, არამედ მეტყავეთა კავშირის წვერთათვისაც, ვინაიდან ტყავის იმ წამოწყებათა პატრონებს, რომელთა მუშებიც წინეთ მეტყავეთა კასაში არ შედიოდნენ, საერთო საქალაქო საავადმყოფო კასაში დაზღვევის გადასახადები 50%-ის რაოდენობით არ შეჰქონდათ. ასეთ შემთხვევაში შრომის დაცვის ორგანოები მოკლებულნი იყვნენ ფორმალურ უფლებებს მოეთხოვათ მწარმოებლებისაგან გადასახადები 5%-ის რაოდენ-

*) მეტყავეთა კავშირის წვერთა შორის ამ საკითხის გარშემო ერთსულგონება არ ყოფილა.

***) იხ. „ბორბა“, 1920 წლის 30/VII თარიღით, № 170.

ნობით და ამიტომ პროფესიონალური კავშირი იძულებული ხდებოდა ემოქმედნა: იგი ამ მიზნით ხანდახან გაფიცებს მიმართავდა.

საქმიანო დახმარება კასის მოწოდება.

როგორც ზემოდ დავინახეთ 1912 წლის დებულება, მუშების დაზღვევის შესახებ ავადმყოფობის შემთხვევაში, საავადმყოფო კასების მონაწილეთათვის საექიმო დახმარების გაწევას წამოწყებათა პატრონებს აკისრებდა. საავადმყოფო კასებს ამ ფუნქციების თავიანთ თავზე მიღება მხოლოდ მწარმოებლების თანხმობით შეეძლოთ.

ამ მხრივ 1917 წლის 25 ივლისის კანონმა მუშების მოთხოვნები დააკმაყოფილა. ამ დებულებით (მუხ. 48) საავადმყოფო კასას (კასებს) უფლება ეძლეოდათ „კასის მონაწილეთათვის საექიმო დახმარების წამოწყებათა პატრონების ხარჯზე გაწევა თავიანთ გამგებლობაში აელო“. კანონით დაზღვეულებს საექიმო დახმარებისათვის ეძლეოდათ „არა უმეტეს კასის მონაწილის სამუშაო ხელფასის 2%-ისა, მაგრამ არა უმცირეს 18 მანეთისა წელიწადში“. საექიმო დახმარებისთვის დაწესებული გადასახადი მცირე იყო და იგი საექიმო დახმარების ისეთ შეზღუდულ ნორმისათვის საჭირო ხარჯებსაც კი ვერ ფარავდა, როგორსაც წამოწყებათა პატრონები უწყევდნენ კასის მონაწილეებს.

მდგომარეობას განსაკუთრებით ისიც აუარესებდა, რომ ომისა და რევოლუციის დროს ფასები მედიკამენტებზე ყოველ დღე იზრდებოდა, ზევით იწევდა.

ომის დასამტკიცებლად, რომ 18 მანეთი არ იყო საკმარისი კასის ერთი მონაწილისათვის საექიმო დახმარების აღმოსაჩენად, ჩვენ საავადმყოფო კასის „ტრამეის“ ცნობების მოყვანით დავკმაყოფილდებით:

ხსენებულმა კასამ ერთი მონაწილის მკურნალობაზე (ამავე კასის ცნობებით) დახარჯა:

1914 წელში	18,7 მანეთი,
1915	25,6
1916 „	54,6 „

სავადმყოფო კასის „ტრამეის“-ს მონაწილეებისათვის (და მათი ოჯახის წევრთათვის) საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე საშუალოზედ მაღლა არ იყო დაყონებული, მიუხედავად ამისა ერთ მონაწილეზე დახარჯული იყო მისი ხელფასის 2%-ზე მეტი; სახელდობრ: 1915 წელს—2,9% და 1916 წელს—3,1%.

სათაბრიკო-საქარხნო წამოწყებათა პატრონებმა საექიმო დახმარებისათვის ჯერ კიდევ 1907 წელს დააწესეს მუშების ხელფასი-

დან 3,6% -მდე გადასახადი; 1908 წელს იგი 4,2% -მდე აყვანილი:

ბუნებრივია საექიმო დახმარებისათვის საჭირო გადასახადების გაუდიდებლად საავადმყოფო კასებს არ შეეძლოთ ამ საქმის თავიანთ გამგებლობაში აღება. მით უმეტეს თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საექიმო დახმარების საავადმყოფოს კასების ხელში გადასვლის უმთავრესი მიზანი—მისი (საექიმო დახმარების) გაუმჯობესება უნდა ყოფილიყო; კანონით დაწესებული გადასახადების ნორმა კი ამის საშუალებას არ იძლეოდა.

ამიტომ კასის მონაწილეთათვის საექიმო დახმარების გაწევის საქმე წინანდებურად წამოწყებათა პატრონების ხელში იყო დატოვებული.

სამედიცინო დახმარების ქ. ტფილისის თამბაქოს ფაბრიკების, სა-
კოლმედიცინო ორგანიზაციის პნის სახარშ და ზეთის სახდელ ქარხნების
ნიჰაცია. და აგრეთვე სხვ. წამოწყებათა პატრონებმა
შემდეგში შექარხნებისა და ფაბრიკანტე-
ბის საზოგადოებასთან კოლექტიურ საფუძველზე თავიანთ მუშა-მოსა-
მსახურეებისა, და აგრეთვე მათი ოჯახის წევრთათვის საექიმო და-
ხმარების აღმოჩენის საქმე მოაწყვეს.

საექიმო დახმარება შემდეგი სახეებისა იყო: 1) ამბულატორული დახმარება—არსებობდა ერთი ცენტრალური ამბულატორია, რომელშიაც სხვადასხვა სპეციალობის 7 ექიმი იყო და რომელიც კბილის საექიმო განყოფილებასაც შეიცავდა, 2) სახლში ექიმობა—ამ მიზნისათვის განსაზღვრულ რაიონებში ოთხი ექიმი იყო, 3) სტაციონალური დახმარების აღმოჩენა იმავე საერთო საფუძველზე სწარმოებდა, როგორც ქალაქის მთელ მოსახლეობისათვის, ესე იგი საავადმყოფო კასის იმ მონაწილეებსა ან და მათი ოჯახის წევრებს, რომლებიც საავადმყოფოში მკურნალობას საჭიროებდნენ, შექარხნებისა და ფაბრიკანტთა საზოგადოების ექიმები ქალაქის შესაფერ საავადმყოფო დაწესებულებებსა და მშობიარეთა თავშესაფარში აგზავნიდნენ. ამბულატორიისთან არსებობდა აფთიაქი, საიდანაც ავადმყოფები წამალს ღებულობდნენ. საკურორტო-სანატორიულ დახმარებას ავადმყოფებს არ უწევდნენ.

საერთოდ საექიმო დახმარება ვერ იყო დამაკმაყოფილებელი, თუმცა იგი გაცილებით უკეთ იყო დაყენებული ვიდრე წამოწყებათა იმ პატრონებთან, რომლებიც ზემოდსხენებულ გაერთიანებაში არ შედიოდნენ.

ეს უკანასკნელნი უმნიშვნელო საექიმო დახმარებას მხოლოდ თავიანთ მუშებსა და მოსამსახურეებს უწევდნენ; მათი ოჯახის წევრები კი წამოწყების პატრონის ხარჯზე არაერთარ დახმარებას არ ლებულობდენ.

ისე გამოდიოდა, რომ საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის მონაწილეთა ოჯახების წევრთა ნაწილი საექიმო დახმარებას ლებულობდა, ნაწილი კი—არა. თანახმად არსებული კანონებისა წამოწყებათა ყველა პატრონს ვერ აიძულებდით, რომ მათ საექიმო დახმარების კოლექტიურ ორგანიზაციაში მიეღოთ მონაწილეობა, მით უმეტეს არ შეიძლებოდა იმის მოთხოვნა, რომ მწარმოებლებს საექიმო დახმარება თავიანთ მუშების ოჯახთა წევრებისთვისაც აღმოეჩინათ.

საერთო-საქალაქო საავადმყოფო კასის წინაშე ასეთი საკითხი იყო წამოჭრილი: ან მთლიანად უნდა აეღო საექიმო დახმარება თავის ხელში და ამ შემთხვევაში შრომის ორგანოების საშუალებით ცდილიყო, რომ მწარმოებლებს გაედიდებიათ თავიანთი გადასახადების რაოდენობა ამ მიზნისათვის, ან და ნაწილობრივ მოეწყოთ საექიმო დახმარება კასის მონაწილეთა ოჯახების იმ წევრთათვის, რომლებიც ასეთს წამოწყებიდან არ ლებულობდნენ. ასეთ მონაწილეთა რიცხვი 1000 კაცამდე აღწევდა.

საერთო-საქალაქო საავადმყოფო კასის გამგეობა სწორედ ასე მოიქცა.

1920 წლის მაისიდან მან მოაწყო საექიმო დახმარების საქმე მონაწილეთა ზემოდ აღნიშნულ ჯგუფის ოჯახების წევრთათვის. რაც შეეხება საკითხს, თუ როგორ იყო დაყენებული საექიმო დახმარების საქმე, ამისათვის, როგორც ეს ზემოდ იყო აღნიშნული, საჭირო იყო საექიმო დახმარების გადასახადთა გადიდება. ამის შესახებ კიდევაც დაისვა საკითხი შრომის საგუბერნიო კომისარიატში, სადაც მის განსახილველად საგანგებო თათბირი შესდგა.

აი ამ თათბირის ანგარიში (იხ. „ბორბა“ 1920 წ. 31/VII თარიღით, № 171).

„1920 წ. 27/VII-ს შრომის კომისრის თავმჯდომარეობით შესდგა მექარხნეებისა, ფაბრიკანტთა და ტფილისის საერთო-საქალაქო საავადმყოფო კასის წარმომადგენელთა თათბირი კასის მონაწილე მუშებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმის—საერთო-საქალაქო საავადმყოფო კასის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

შრომის კომისარის მიერ წაკითხულ მოხსენებიდან გამოიკვია, რომ მექარხნებისა და ფაბრიკანტების საზოგადოება და აგრეთვე ტრამვაის მოსამსახურეთა საავადმყოფო კასა—კასის ყოველ მონაწილეზე თვეში მუშის ხელფასიდან 3,4%-ს ხარჯავენ. საერთო-საქალაქო საავადმყოფო კასის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მუშებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე ვერ არის კარგად დაყენებული და მოითხოვეს, რომ საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე ერთ რომელიმე ორგანიზაციის ხელში ყოფილიყო მოქცეული. სერთო-საქალაქო საავადმყოფო კასის წარმომადგენლები შესაძლებლად სთვლიან აიღონ თავიანთ ხელში მუშა-მოსამსახურეებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე მხოლოდ იმ პირობით, თუ მწარმოებლები ყოველ თავიანთ მუშაზე საშუალო სამუშაო ხელფასიდან საერთო-საქალაქო საავადმყოფო კასაში 4%-ის გადახდის ვალდებულებას აიღებენ.

მექარხნებისა და ფაბრიკანტების საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომლებიც შრომის კომისარის მიერ მოყვანილ ციფრებში გამოხატულ ცნობების წინააღმდეგ არ წასულან, განაცხადეს, რომ უკანასკნელ ორ თვეში მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ერთდროულ დახმარებათა მიცემის გამო, საშუალო სამუშაო ხელფასად არა 3000 მანეთი, არამედ 6000 მანეთი უნდა მივიღოთ და რომ ამგვარად ავადმყოფების მკურნალობაზე ისინი ხარჯავენ საშუალო ხელფასის არა 4%-ს, არამედ მხოლოდ 2%-ს. დასასრულ მათ დაუმატეს, რომ ისინი თანახმა არიან საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე გადასცენ საერთო-საქალაქო საავადმყოფო კასას იმ პირობით, რომ მწარმოებლებმა ყოველ მათთან დაკავებულ მუშაზე საშუალო სამუშაო ხელფასიდან 2% შეიტანონ.

ვინაიდან შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული საავადმყოფო კასის წარმომადგენლებმა მიმართეს შრომის კომისარს თხოვნით ეშუამდგომლა მას შრომის სამინისტროს წინაშე, რათა მუშების დაზღვევის შესახებ არსებულ კანონის შესაფერი მუხლები რაც შეიძლება დაჩქარებით ყოფილიყო შეცვლილი, რომ ამით მუშებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე შესაფერ სიმალეზე დამდგარიყო.

ასეთი იყო საექიმო დახმარების საქმის მდგომარეობა. საჭირო იყო კანონმდებლობითი გზით შეცვლილიყო დაზღვევის გადასახადთა არსებითი ნორმები და ამით დამზღვევ ორგანოებს ნამდვილი საშუალება მისცემოდათ იმისა, რომ დაზღვევის მედიცინა თავიანთ ხელში აეღოთ.

ახალ კანონების გამოცემა იგვიანებდა, რაც კიდევ უფრო აუარესებდა დაზღვეულების და განსაკუთრებით მშრომელთა იმ კატე-

გორიების მდგომარეობას, რომლებზედაც დაზღვევის კანონების მოქმედება არ ვრცელდებოდა.

აი რას სწერდა შრომის სამინისტროს 1920 წლის მეორე ნახევარის არგარიში შრომის ტფილისის საგუბერნიო კომისარი:

„დახმარებისათვის არა ერთხელ მოუმართავთ იმ წამოწყება-დაწესებულებების მუშებსა და ნოსამსახურეებს, რომლებზედაც დაზღვევის კანონების მოქმედება არ ვრცელდებოდა; შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენ გვიხდებოდა მათთვის დახმარება აღმოგვეჩინა; მაგრამ იყო შემთხვევები, როცა მწარმოებლები საექიმო დახმარების აღმოჩენაზე და დახმარებათა გაცემაზე გადაქრით უარს აცხადებდნენ; ასეთ შემთხვევაში იძულებული ვიყავით მათი საქმეები ან შემარიგებელ კამერაში ან და სასამართლოში გადაგვეგზავნა (როცა საქმე დასახიჩრებულებს ეხებოდა, თანახმად 684 მუხლისა).

იმისათვის, რომ ეს საკითხი რადიკალურად გადაიკრას, საჭიროა ძველი კანონების დაჩქარებით გადასინჯვა და გამოცემა ახლებისა, რომლებიც ახალ პირობებთანა და დროსთან იქნებიან შეფარდებულნი; წინააღმდეგ შემთხვევაში მშრომელთა მასები კანონის გარეშე—სრულად დაუცველად დარჩებიან“.

ამრიგად დაზღვეულთა საექიმო დახმარების დარგში,—დაუზღვეველ მუშებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია,—საქმე ძალიან ცუდით იყო.

**სანატორიულ-სა-
კურორტო დახ-
მარება.**

საავადმყოფო კასების მონაწილენი სანატორიულ დახმარებით არ სარგებლობდნენ, თუმცა საკითხი სანატორიუმის გახსნის შესახებ მრავალჯერ წამოიჭრა. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ საავადმყოფო კასა „ტრამვაი“, რომელმაც 1920 წელს კურორტებზე 110 კაცი გააგზავნა. ამავე კასამ 1920 წლის დასაწყისში შრომის სამინისტროს წინაშე აღძრა საკითხი დაზღვეულთა საჭიროებისათვის ორი სანატორიუმის გახსნის შესახებ: სუხუმსა და აბასთუმანში.

შრომის სამინისტროს აზრით სანატორიუმის გახსნა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ყველა საავადმყოფო კასა გაერთიანდებოდნენ. შრომის სამინისტრომ რესპუბლიკის ყველა საავადმყოფო კასას მიმართა და სთხოვა მათ ამ საკითხის შესახებ თავიანთი აზრი გამოეთქვათ.

ტფილისის საერთო-საქალაქო კასამ სანატორიუმის დასაზღვევ სახსრების ხარჯზე ორგანიზაციაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა.

ამ კასის აზრით სანატორიუმში უნდა შენახულიყო იმ წამოწყებათა პატრონების ხარჯზე, რომელთა გამგებლობაშიაც საექიმო დახმარება იყო. შრომის სამინისტროს, სანატორიუმის საავადმყოფო კასის ხარჯზე აგება შესაძლოთ მიაჩნდა და მას სახეში ჰქონდა ის გარემოებაც, რომ სანატორიუმებში კასის მონაწილეთა ოჯახების წევრებიც უნდა გაგზავნილიყვნენ. ამ საკითხის გარშემო საერთო საქალაქო საავადმყოფო კასასა და შრომის სამინისტროს შორის კამათი დაიწყო, რაც შემდეგში პრესაშიც იქნა გადატანილი.

უარყოფითმა პოზიციამ, რომელიც ამ საკითხში ყველაზე უფრო დიდმა საავადმყოფო კასამ დაიკავა, საქმის მოგვარებაზე თავისი გავლენა მოახდინა: სანატორიუმში არ გახსნილა და საავადმყოფო კასა „ტრამვაი“ იძულებული გახდა დამოუკიდებლად გაეგზავნა საკურორტო მკურნალობაზე თავისი მონაწილეები.

**ფულადი დახმარების რაოდენობა და სა-
ხეები.** ფულადი დახმარების სახეები და რაოდენობა, რომელიც როგორც საერთო საქალაქო საავადმყოფო კასაში, ისე საავადმყოფო კასა „ტრამვაი“-ში ეძლეოდათ კასის მონაწილეებსა და მათ ოჯახის წევრებს, არსებითად არ შეცვლილა.

დახმარება კასის მონაწილეებს წინანდებურად შრომის უნარის დროებით დაკარგვის განმავლობაში, მშობიარობაზე და დაკრძალვაზე ეძლეოდათ.

ძირითადი სახით—შრომის უნარის დროებით დაკარგვისას—დახმარებას დაზღვეულნი ღებულობდნენ არა სრული ხელფასის ანგარიშით, არამედ მხოლოდ მის სამ მეოთხედს.

კასების რწმუნებულთა და გამგებების კრებებზე არა ერთხელ დასმულა საკითხი იმის შესახებ, რომ დაზღვეულებს შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს სრული ხელფასი მიეცემოდათ. მაგრამ ამ საკითხში ერთსულოვნება არ არსებობდა.

ხელფასის სრული ანაზღაურების მომხრენი იმ პრინციპიდან გამოდიოდნენ, რომ შრომის უნარის დაკარგვის დროს დაზღვეულის საცხოვრებელი ღონის დაცემა არ შეიძლება.

მოწინააღმდეგეთა აზრით ხელფასის სრული ანაზღაურება თავის მხრივ გადასახადების რაოდენობის და აგრეთვე ავადმყოფობის სიმულიაციის ზრდას გამოიწვევდა.

ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასამ და საავადმყოფო კასამ „ტრამვაი“-მ ამ მდგომარეობიდან სხვაგვარი გამოსავალი ჰპოვეს. ისინი დახმარების რაოდენობას შრომის უნარის დროებით

დაკარგვისას, როგორც საერთო წესი კასის მონაწილის ხელფასის 75⁰/₁₀₀-ით საზღვრავდნენ, მაგრამ ამასთანავე ამ დახმარებას აღიდებდნენ ხელფასის 1½ რაოდენამდე კასის იმ მონაწილეთათვის, რომლებსაც ხანგრძლივი ავადმყოფობა ჰქონდათ გადატანილნი და რომლებიც გაძლიერებულ კვებას საჭიროებდნენ.

ამგვარად, კასის მონაწილეთა ნაწილისათვის საცხოვრებელი დონე არა თუ არ დაკლებულა, პირიქით, ორმოცდაათი პროცენტით კიდევ გაუმჯობესდა.

ავადმყოფების თუ რა პროცენტი ლებულობდა დახმარებას მობატებული ნორმებით, ამის თქმა ძნელია, ვინაიდან ამის შესახებ სწორი ცნობები არ არსებობს, მაგრამ აქ საყურადღებოა ალინიშნოს ტენდენციები, რომლებიც მაშინ საავადმყოფო კასებში არსებობდნენ.

საავადმყოფო კასის მონაწილე-მშობიარე ქალები 1920 წლის ნახევრიდან სრულ სამუშაო ხელფასს ლებულობდნენ.

დაჯიჯივის ჩვენ უკვე აღენიშნეთ ზემოდ. რომ დროებითი **გადასახადების** მთავრობის მიერ 1917 წელს 25 ივლისს გამო-
რაოდენობა. ცემულ კანონის მიხედვით კასის მონაწილეებს საავადმყოფო კასაში იმდენივე უნდა შეეტანათ, რამდენიც წამოწყებათა პატრონებს.

ასეთი ღებულება არსებობდა საქართველოს ყველა საავადმყოფო კასაში.

დაზღვეულთა გადასახადების და მეპატრონეთა დამატებით გადასახადების რაოდენობა 1919 წლამდე კასის მონაწილის ხელფასის 4⁰/₁₀₀-ს უდრიდა. 1919 წლის დასაწყისში ტფილისში გადამდები სნეულებანი გაჩნდა. დაზღვეულთა შორის ავადმყოფობის შემთხვევები გახშირდა, რის გამოც წამოიქრა საკითხი საავადმყოფო კასების სახსრების გადიდების შესახებ, ვინაიდან მათი ფინანსიური მდგომარეობა ყოველ დღე უარესდებოდა.

ორში ერთი: ან არსებული ნორმები უნდა შემცირებულიყო, ან და დასაზღვევ გადასახადების რაოდენობა გადიდებულიყო.

ქ. ტფილისის საავადმყოფო კასების კონფერენციამ, რომელიც 1919 წლის 23 მაისს შესდგა, დაადგინა დაზღვეულთა გადასახადების და მეპატრონეთა დამატებით გადასახადების რაოდენობა ნახევარ პროცენტით გაედიდებია.

ამრიგად დასაზღვევ გადასახადების რაოდენობა 1919 წლის აპრილიდან საერთო საქალაქო საავადმყოფო კასაში 5⁰/₁₀₀-მდე იქნა აყვანილი, ხოლო დანარჩენ საავადმყოფო კასებში ერთი პროცენტით იქნა გადიდებული.

მაგრამ ვერც ამ გადიდებას იხსნა მდგომარეობა. კასის შემოსავალი გასავალს ძლიერ-ძლივობით ფარავდა. შემდეგში კი, 1920 წელს, ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასას არა ერთხელ მიუმართავს შრომის სამინისტროსათვის თხოვნით დახმარებისა ან და სესხის მოცემის შესახებ.

**ტფილისის საერთო
საქალაქო საავად-
მყოფო კასის მო-
ნაწილეთა წილი 1921
წლის პირველ იანვრ-
ისათვის.**

საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის ზრდის შესახებ მოყვანილ ციფრებიდან ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ხსენებულ კასის ცნობების მიხედვით 1920 წლის პირველ იანვრისათვის მისი მონაწილეთა საერთო რიცხვი 4870 კაცამდე აღწევდა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ წერილ წამოწყებათა (რომლებშიაც 3 მუშაზე მეტი ირიცხებოდა) დაზღვევა 1920 წლის შემდეგაც გრძელდებოდა, გამოვა, რომ ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის მონაწილეთა საერთო რიცხვი 1921 წლის პირველ იანვრისათვის დაახლოვებით 5000 კაცს უდრიდა.

სწორი სტატისტიკური ცნობები დაზღვეულთა შემადგენლობის შესახებ მხოლოდ 1920 წლის 4289 დაზღვეულის მიმართ მოიპოვება.

დანარჩენ წლების დაზღვეულთა შესახებ სწორი მასალები არ მოიპოვება, ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ 1920 წლის ცნობებით ვსარგებლობთ.

მონაწილეთა შემადგენლობა სქესის მიხედვით.

წელი	მამაკაცი	% ⁰ / ₀ -ში	დედაკაცი	% ⁰ / ₀ -ში	სულ
1920	2934	68,4	1355	31,6	4289

ქალები სკარბობდნენ მეთამბაქოეთა (1360 მუშიდან 953, ესე იგი 68,6% ქალი იყო) და ფეიქართა შორის (358-დან 203, ესე იგი 56,4%). დანარჩენ წარმოებებში ქალების პროცენტი 2,6%-დან 16,9%-მდე ჰქანაობდა.

მონაწილეთა განაწილება კავშირების მიხედვით.

№ № რიგზე	კავშირების სახელწოდება	აბსოლუტური რიცხვი	% %-ში
1	მეთამბაქოეთა	1360	31,7
2	მელითონეთა	518	12,1
3	მეტყავეთა	505	11,8
4	მბექდაეთა	445	10,4
5	კომ. მეურნ. მუშაკთა	401	9,3
6	ფეიქართა	358	8,4
7	ქიმ.აკოსთა	319	7,4
8	სურსათ-გემოვნების	236	5,5
9	ხის დამამუშავებელთა	121	2,8
10	აღმშენებელთა	17	0,4
11	ნემსის მუშაკთა	9	0,2
ს უ ლ		4289	100%

როგორც ზემოდ უკვე ავლნიშნეთ საერთო საქალაქო სავაღ-
მყოფო კასის ძირითად კადრს თამბაქოს ფაბრიკების მუშები შეა-
დგენდენ (მონაწილეთა საერთო რიცხვის 31,7%), შემდეგ მოდიოდნენ
მელითონენი—(12,1%), მეტყავენი—(11,8%), მბექდაენი—(10,4%)
უმნიშვნელო პროცენტს შეადგენდნენ აღმშენებელთა და ნემსის მუშა-
კთა კავშირების წევრები.

**მკვლევანობა ტფი-
ლისის საერთო საქა-
ლაქო სავაღმყოფო
კასის მონაწილეთა
შორის.**

ტფილისის საერთო საქალაქო სავაღ-
მყოფო კასის ანგარიშების ცნობების მი-
ხედვით სულ კასის მონაწილეთა შორის
აღრიცხული იყო 35 სიკვდილის შემთხვე-
ვა, აქედან 30 მამაკაცისა და 5 ქალისა. ამ
რიგად ყოველ 1000 მონაწილეზე სიკვდი-

ლის 8 შემთხვევა მოდიოდა.

**ტფილისის საერთო
საქალაქო საავად-
მყოფო კასის მოწა-
წილე ქალების მო-
ზიარობანი.**

1920 წლის განმავლობაში კასის მონაწილე ქალებს შორის აღნიშნული იყო მზობიარობის 77 შემთხვევა, რაც კასის მონაწილე ქალების საერთო რიცხვის 5,7%-ს შეადგენს.

**ტფილისის საერთო
საქალაქო საავად-
მყოფო კასის მუ-
შაობა.**

ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის მუშაობამ განსაკუთრებულ ინტენსივობას მას შემდეგ მიაღწია, რაც მას საერთო საავადმყოფო კასები „ტფილისის სტამბები“ და „ლითონი“ შეუერთდნენ.

კასის ძირითადი კადრი—მეთამბაქოენი, თავიანთი კულტურული ჩამორჩენილობის გამო, მცირეოდენი რიცხვის გამოკლებით, განსაკუთრებული სიძაბუნით განირჩეოდნენ. მათთვის უცხო იყო ფართო საორგანიზაციო ამოცანები და პერსპექტივები და დაზღვევის ყოველგვარ საკითხთან თავიანთი სამრეკლოს თვალსაზრისით მიდიოდნენ.

ამის გამო მბეჭდავთა საავადმყოფო კასამ საერთო საქალაქო საავადმყოფო კასასთან გაერთიანება. დიდი გაკირვებით მოახერხა.

მას შემდეგ, რაც საერთო საქალაქო კასას მუშების უფრო კულტურული ფენები შეუერთდნენ, მისმა მუშაობამ თანდათან შეიცვალა სახე, იგი საგრძნობლად გამოცხოველდა; განვითარდა მისი კულტურულ-განმანათლებელი ფუნქციები, გაცემულ ვულადი დახმარების რაოდენობა გაიზარდა, კასის მონაწილეთა და მათი ოჯახების წევრთა ნაწილისათვის საერთო დახმარების აღმოჩენის საქმე კარგად მოეწყო. ერთი სიტყვით ამიერიდან საერთო საქალაქო საავადმყოფო კასა ცხოველმყოფელ მუშათა ორგანიზაციად გადიქცა, რომელსაც შესაფერი ინიციატივა არ აკლდა.

ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასა ფორმალურად ტფილისის ფარგლებში მოქცეულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, ფაქტიურად კი იგი მთელ რესპუბლიკაში ხელმძღვანელობდა დაზღვევას მოძრაობას, მას ტონს აძლევდა და იგი წინ მიჰყავდა.

**საავადმყოფო კასე-
ბის საქმიანობის გა-
ზიარება.**

საავადმყოფო კასების სტრუქტურის შეცვლის შესახებ ჩვენ უკვე აღნიშნეთ მეორე თავში. ეს ცვლილება იმაში მდგომარეობდა, რომ კასის საქმიანობის გამგებლობის ყოველგვარი ფუნქციები დროებითი მთავრობის რეფორმის შემდეგ კასების თვით მონაწილეთა ხელში გადავიდა.

მწარმოებლები კასების ხელმძღვანელობიდან ჩამოშორებულ იქნენ; მათი წარმომადგენლები არ გაჰყავდათ არც კასების გამგეობაში და არც რწმუნებულთა კრებებზე. მათ კანონით მინიჭებული უფლება ჰქონდათ ყოლოდათ თავიანთი წარმომადგენელი სარევიზიო კომისიაში, მაგრამ ფაქტიურად ამ უფლებით ისინი არ სარგებლობდნენ.

კასებს განაგებდნენ: 1) რწმუნებულთა საერთო კრება და 2) კასების გამგეობები. რწმუნებულების არჩევა ხდებოდა წამოწყებებში, იმ ვარაუდით, რომ ყოველ 10—15 მონაწილეზე ერთი წარმომადგენელი მოსულიყო. გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრების რიცხვს ყოველთვის რწმუნებულთა საერთო კრება საზღვრავდა. რწმუნებულებსა და გამგეობის წევრებს ერთი წლით ირჩევდნენ.

საავადმყოფო კასებს არ ჰქონდათ თავიანთი ახალი წესდება. შრომის კომისარიატს არ უნდოდა დაემტკიცებინა წესდება მუშების დაზღვევის შესახებ ახალი კანონის გამოცემამდე. ეს გარემოება, ისე როგორც ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის გამგეობის ზოგიერთი დადგენილებები, რომლებიც არსებულ დაზღვევის კანონებს ეწინააღმდეგებოდნენ, ხანდახან ერთის მხრივ შრომის სამინისტროსა და კომისარიატის და მეორეს მხრივ საავადმყოფო კასის გამგეობის შორის უთანხმოებას იწვევდა.

ზედამხედველობის ინსტანციები.

საქართველოში, თბერვლის რევოლუციის შემდეგ დამზღვევი საკრებულო ახალ საფუძველზე აღარ მოწყობილა. დამზღვევ საბჭოსა და საკრებულოს ფუნქციებს ფაქტიურად შრომის სამინისტრო ასრულებდა, რომელიც რესპუბლიკის დაზღვევის საერთო პოლიტიკას მიმართავდა.

საერთო ზედამხედველობა იმაზე, რომ არსებული დაზღვევის კანონი ცხოვრებაში გატარებულიყო, შრომის საფუბერნიო კომისარებს ეკუთვნოდა. უკანასკნელთ უფლება ჰქონდათ მოეხდინათ კასების საქმეების რევიზია, მიეცათ პასუხისმგებაში თანამდებობის პირნი ან და დაეთხოვათ ისინი სამსახურიდან დაზღვევის კანონების დარღვევისათვის; შრომის კომისარებს აგრეთვე უფლება ჰქონდათ აეკრიბათ მწარმოებლებისაგან დაზღვევის გადასახადები და დაეზღვიათ წამოწყებები, რომლებზედაც კანონი ვრცელდებოდა.

დაზღვევა მუშაობის ამ წიგნის მეორე თავში ჩვენ აღ-
უბედურ შემთხვევები- ვნიშნეთ, რომ დროებითი მთავრობის
საგან. დასაზღვევთა დროს, 1912 წლის კანონი მუშების უბედურ
წრე. შემთხვევისაგან დაზღვევის შესახებ არ
 შეცვლილა.

მთავრობის დროს შეცვლილა.

ეს კანონი, ფორმალურად, შემდეგშია განაგრძობდა არსებობას
 ვიდრე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდებოდა.

მაგრამ ფაქტიურად, ცხოვრების დაქინებული მოთხოვნით, იგი
 ნაწილობრივად მაინც შეიცვალა. ცვლილება კანონის მოქმედების
 სფეროს შეეხო. პრაქტიკაზე შეუძლებელი იყო იმის დაშვება, რომ
 მოქმედება კანონისა მუშების ავადმყოფობის შემთხვევაში დაზღვევის
 შესახებ, უფრო მცირე რიცხოვან მუშებთან (5) წამოწყებებზე გა-
 ვრცელებულიყო, ვიდრე კანონი მუშების უბედურ შემთხვევისაგან
 დაზღვევის შესახებ (20—30 მუშაზე). ამ ორ კანონს შორის განსაზ-
 ლვრული შეფარდება უნდა ყოფილიყო, ისე როგორც ეს თებერვლის
 რევოლუციამდე არსებობდა.

ამიტომ კანონი უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის შესახებ
 „დე-ფაქტო“-თ გავრცელებულ იქნა იმ საფაბრიკო-საქარხნო წამო-
 წყებებზედაც, რომელთა მუშები დაზღვეული იყვნენ ავადმყოფობის
 შემთხვევაში, ესე იგი იმ წამოწყებებზე, რომლებშიც 5 და მეტი
 მუშები იყვნენ დაკავებულნი (ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი წამოწყე-
 ბებიც კი იყვნენ დაზღვეულნი, რომლებშიც 3 მუშა ირიცხებოდა)
 და რომლებშიც უბედური შემთხვევები შეიძლებოდა მომხდარიყო.

დანარჩენის მხრივ 1912 წლის კანონის ნივთიერი და უფლე-
 ბრივი მხარე უცვლელად რჩებოდა.

ამგვარად მუშების, უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის საქმეში
 პრაქტიკასა და კანონს შორის სწორი შეფარდება არ ყოფილა; დაზ-
 ლვევის კანონმდებლობა საგრძნობლად ჩამორჩა პრაქტიკას.

დაზღვევულთა
რიცხვი.

უბედურ შემთხვევისაგან დაზღვეულ მუშების
 რიცხვი ტფილისის გუბერნიაში, შრომის კომი-
 სარიატის ცნობების მიხედვით 1920 წელს
 8335 კაცს უდრიდა; პენსიონერების რიცხვი კი მთელს რესპუბლი-
 კაში 150 კაცს არ აღემატებოდა.

დაზღვევის საშვების მმართველობა.

როგორც ზემოდ უკვე აღნიშნული იყო სააქადემყოფო კასები მხოლოდ იმ საქმეებს განაგებდნენ, რომლებიც შეეხებოდა ფულადი დახმარების გაცემას ავადმყოფობის შემთხვევაში. უბედურ შემთხვევებისაგან დაზღვევა მათ კომპეტენციაში არ შედიოდა.

ამ სახის დაზღვევის განხორციელების საქმე, კავკასიის დამზღვევ ამხანაგობის დაშლის შემდეგ, საგანგებო კომისიის გაჩეხბლობაში გადავიდა. ეს კომისია შრომის სამინისტროსთან არსებობდა. იგი პარიტეტულ საფუძველზე იყო შემდგარი: ორი წარმომადგენელი პროფორგანიზაციებისა იყო, ორი—მწარმოებლების და ერთიც შრომის სამინისტროსი. უკანასკნელი კომისიის თავმჯდომარედ ითვლებოდა.

ხსენებული კომისია თავის მუშაობაში შრომის სამინისტროს შემდეგი დებულებით ხელმძღვანელობდა:

დროებითი დებულება კომისიის შესახებ, რომელიც მუშების უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის საქმეს განაგებს.

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ სამრეწველო წამოწყებებში მყოფ მუშების უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის საქმის დროებითი გამგებლობისათვის, ვიდრე დებულება მუშების უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის შესახებ გადასინჯული იქნებოდეს (440—491 მუხ. წესდებისა მრეწველობის შესახებ), სდგება კომისია, რომელსაც ევალება მუშების უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის საქმეების ხელმძღვანელობა.

2. ხსენებული კომისიის შემადგენლობაში შედიან: მრეწველობის ერთი წარმომადგენელი, რომელსაც ტფილისის რაიონის მექარხნებისა და ფაბრიკანტების საზოგადოება და შავი ქვის მრეწველობის ყრილობის საბჭო ნიშნავს, ერობებისა და ქალაქების წამოწყებათა ერთი წარმომადგენელი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის ერობათა და ქალაქების კავშირების შეთანხმებით ინიშნება, მუშათა პროფესიონალურ კავშირების ორი წარმომადგენელი, რომლებიც მრეწველობაში იქნებიან დაკავებულნი და ერთი შრომის სამინისტროს წარმომადგენელი. შრომის სამინისტროს წარმომადგენელი კომისიის თავმჯდომარედ ითვლება.

3. თავის მოქმედებაში კომისია ხელმძღვანელობს დებულებით მუშების დაზღვევის შესახებ. (440—491 მუხ. წესდებისა მრეწველობის შესახებ). იგი აგრეთვე ხელმძღვანელობს კავკასიის საოლქო დამზღვევ ამხანაგობის წესდებით და აქედან გამომდინარე წესებითა და ინსტრუქციებით, რამდენათაც პირველთა და მეორეთა მოქმედე-

ბა არ არის დროებით შეჩერებული მთავრობის დადგენილებით.

4. კომისიას ვეალება:

ა) მუშების უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის გარშემო ყოველგვარ მიმდინარე საქმეების წაყვანა;

ბ) იმ წამოწყებათა სიების შედგენა, რომლებიც დაზღვევის შესახებ არსებულ დებულების თანახმად, დაზღვევის ორგანიზაციის მონაწილეებზე ითვლებიან;

გ) დამუშავება საფუძვლებისა მონაწილეთა დასაზღვევ გადასახადების რაოდენობის გამოსაანგარიშებლად;

დ) შედგენა ბიუჯეტის წინასწარ ხარჯთ-ალრიცხვისა და მიმდევრო ფულადი და ფაქტიური ანგარიშისა კომისიის მოქმედების პერიოდისათვის.

ე) საქმის წარმოების, ანგარიშის წარმოების და ანგარიშების წესების შემუშავება, მეთვალყურეობა წიგნების წაყვანასა და დაცვაზე, თანხებზე და დოკუმენტებზე.

ვ) დანიშვნა და დათხოვნა მოსამსახურეებისა, დანიშვნა რწმუნებულებისა სასამართლო საქმეების წასაყვანად, დანიშვნა განსაკუთრებულ პირთა იმის გამოსაკვლევეად, თუ რა პირობებში მოხდა უბედური შემთხვევა. დაწესება კომისიისა უბედურ შემთხვევების შედეგთა გამოსარკვევეად;

ზ) გამგებლობა ბინისა და კაპიტალისა და ქონების დაცვა, ხარჯვა თანხებისა წინასწარ ხარჯთ-ალრიცხვის მიხედვით;

ი) მონაწილეებზე ჯარიმის დადება და მოხსნა იმ უფლებათა ფარგლებში, რომელიც დაზღვევის შესახებ არსებულ დებულებით და ამხანაგობის წესდებით არის გათვალისწინებული;

კ) ყოველწლიურ დაზღვევის გადასახადთა შეტანის ვადების დაწესება და აგრეთვე ერთდროულ დაზღვევის გადასახადის შეტანის წესისა და ვადის დაწესება;

ლ) შესრულება სხვა მოვალეობათა, რომლებიც წესდებაში განსაკუთრებით არის ნაჩვენები ანდა წესდებიდან და დებულებიდან გამომდინარეობენ;

მ) გაძოცემა სავალდებულო დადგენილებებისა მონაწილეთათვის იმ ცნობების მიწოდების შესახებ, რომლებიც დაზღვევის გადასახადების განსაზღვრისათვის არის საჭირო.

5. დაზღვევის დროებითი დებულებიდან, გადასინჯულ დებულებისა და წესდების საფუძველზე გადასაყვინად წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის სახით, კომისიას ვეალება:

ა) გადასინჯვა დებულების და წესდებისა იმრიგად, რომ იგინი სახელმწიფოებრივ თანამედროვე წყობილებასა და საქართველოს

მრეწველობის შესახებ არსებულ დებულებასთან იქნეს შეფარდებული. შემუშავება წესდებას და დებულებისა და აგრეთვე რწმუნებულთა არჩევის და კანონის მოქმედებაში მოყვანის შესახებ არსებულ წესების დამატებათა და ცვლილებების პროექტისა.

ბ) რწმუნებულთა ყრილობის მომზადება და მათი საერთო კრების მოწვევა, საარჩევნო სიების შედგენა, არჩევნების გარშემო საქმის წარმოება და დაზღვევის საქმის გამგებლობის საერთო კრებისათვის გადაცემა.

გ) შეკრება და დამუშავება სტატისტიკურ ცნობებისა უბედურ შემთხვევების და საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მრეწველობის ყველა დარგისა და შრომის შესახებ. ეს ცნობები უნდა გამოყენებულ იქნეს როგორც მასალა შრომის დაზღვევის საერთო რეფორმის დროს.

დ) გადაცემა რწმუნებულთა საერთო კრების მიერ არჩეულ გამგეობისათვის ყველა იმ საქმეებისა, წიგნებისა და საბუთებისა, რომლებიც მუშების დაზღვევას შეეხება და აგრეთვე გადაცემა ფულადი ანგარიშისა და თანხებისა.

ე) კომისიის მოქმედება, ზემოდ ჩამოთვლილ მოვალეობათა შესასრულებლად, შრომის სამინისტროსთან მკიდრო თანამშრომლობით უნდა მიმდინარეობდეს.

6. რამდენათაც კომისიის მოქმედება ახალი დებულების პროექტის შემუშავებას, ძველის გადასინჯვას და პრინციპიალური ხასიათის საკითხის გადაჭრას შეეხება, ამ კომისიის მოქმედების შედეგი ისე უნდა იქნეს მიღებული, როგორც მცოდნე პირების მოსაზრებანი.

7. სხვა დარგებში, რომლებიც მონაწილეთა და დაზღვეულ პირთა უფლებებს შეეხება ან და წესდებით რწმუნებულთა საერთო კრების გამგებლობაში იმყოფება, და აგრეთვე თანხების შენახვის მხრივ, კომისია შრომის სამინისტროს წინასწარი დასტურით მოქმედებს.

8. ა—ე მუხლებში აღნიშნულ მოქმედების დარგში კომისია დამოუკიდებლად მუშაობს, იგი დებულებისა და წესდების დადგენილებებით სარგებლობს, და როგორც პატრონი ზნეობრივად პასუხისმგებელია თავის მოვალეობათა წარმატებით შესრულებაში.

9. კომისია ეოთ და იმავე დროს საერთო ხელმძღვანელი და აღმასრულებელი ორგანოცაა და როგორც აღმასრულებელ ორგანოს თავის გამგებლობაში მთელი დაქვემდებარებული პერსონალი ჰყავს, რომელიც ხსენებულ კომისიის დირექტივების მიხედვით მოქმედებს და მის დადგენილებებს ასრულებს.

10. კომისიის დადგენილებების შესრულება ისე უნდა იყოს დაუყენებელი, როგორც საჯარო სამეურნეო ორგანიზაციებში და იგი უნდა ტარდებოდეს კომისიის მიერ დანიშნულ პირის საშუალებით, რომელიც მთელ საქმეს განაგებს, და აგრეთვე მის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ რაზოდენიმე თანამშრომელით, რომლებიც მათზე დაკისრებულ განსაზღვრულ მოვალეობებს ასრულებენ.

11. საერთო ხელმძღვანელობა მთელი საქმისა და განსაზღვრულ მოვალეობათა შესრულება შეიძლება კომისიის ცალკე პირებსა ან და კომისიის მიერ გარედან მოწვეულ იმ პირთ დაეკისროს, რომლებიც მისი აზრით საქმის წასაყვანად უფრო გამოსადეგნი იქნებიან.

12. გამგე თუ ვინცობა იგი კომისიის წევრი არ არის, კომისიის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით ესწრება.

13. გამგე, ან და ამა თუ იმ განყოფილების გამგე, პირველის მინდობილობით წარადგენენ კომისიაში დასამტკიცებლად ვრცლად დამუშავებულ მოხსენებებს ამა თუ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც საქმის ამა თუ იმ დარგს შეეხებიან. ამას გარდა ისინი კომისიაში ადგენენ პერიოდულ ანგარიშებს საქმეების მოძრაობის შესახებ.

14. კომისიას მთლიანად, და კერძოდ მის ცალკე წევრებს უფლება აქვთ ფაქტიურად გაეცნონ საქმეების მიმდინარეობას და კომისიის მინდობილობით შეამოწმონ საქმის წარმოება და ანგარიშგება.

15. აღმასრულებელ პერსონალსა და კომისიის წევრებს მუშაობისათვის შეიძლება შესაფერისი ხელფასი მიეცეს.

16. მოქმედების ვრცელ პროგრამას ამა წესების მე-4 და მე-5 მუხლში ჩამოთვლილ ყოველ მოვალეობის გარშემო, როგორც მაგალითად: საქმის წარმოების, ანგარიშგების და ანგარიშის წარმოების, თანხების ხარჯვის, თანხების, საქმეების, წიგნების და მასალების დაცვის შესახებ კომისია იმუშავებს“.

კომისია, რომელიც უბედურ შემთხვევებისაგან დაზღვევის საქმეებს განაგებდა, პენსიებს იმ დასახიჩრებულებსა და მათი ოჯახის იმ წევრებს აძლევდა, რომლებიც ასეთს წინეთ კავკასიის დამზღვევ ამხანაგობისაგან ღებულობდნენ და უნიშნავდა ახლებს, რომლებიც უბედურ შემთხვევისაგან იყვნენ დაშავებულნი და დაზღვეულნი. რაც შეეხება იმ პენსიონერების მდგომარეობას, რომლებიც თანახმად 1903 წლის 2 ივნისის კანონისა ცალკე, მწარმოებლებისაგან იღებდნენ პენსიებს, ამ მხრივ არავითარი ცვლილება არ მომხდარა: მწარმოებლები და მათი გაერთიანებანი, ისევე როგორც წინედ, პენსიებს

იმ მუშებსა და მათი ოჯახის წევრებს აძლევდნენ, რომლებიც მათ წამოწყებებში იყვნენ დაშავებულნი.

ასეთ პენსიონერთა რიცხვი რამოდენიმე ას კაცს აღწევდა. დაშავებულთა მეტი რიცხვი შავი ქვისა და ქვანახშირის მრეწველობაზე მოდიოდა.

კანონის მუხლავის შეცვლა.

არსებითი ცვლილებები კანონში მუშების ავადმყოფობის შემთხვევაში და უბედურ შემთხვევისაგან დაზღვევის შესახებ, როგორც ეს ჩვენ ზემოდ დავინახეთ, მენშევიკების მთავრობის დროს არ მომხდარა. შეიცვალა კანონის მხოლოდ ის მუხლები, რომლებიც დახმარებათა (ავადმყოფობის დროს) და პენსიების (დასახიჩრების დროს) რაოდენობას აწესებდა:--დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი დახმარებათა და პენსიების მექანიკურად მომატების შესახებ სამუშაო ხელფასის მომატების დროს.

პენსიის გამოანგარიშების დროს სახეში ამა თუ იმ პროფესიის მუშების საშუალო ხელფასი იყო მიღებული. ასეთი მდგომარეობა ერთგვარად პენსიის რეალურ დონის შენახვას ხელს უწყობდა.

შედარებით მეტი ცვლილებები კანონში თვით ცხოვრებას შეჰქონდა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან ფაქტიურად წერილ წამოწყებებზედაც იყო გავრცელებული. ცვლილებები სახელმწიფო წამოწყებათა დაზღვევის მხრივაც მოხდა. წართაღია კანონის მოქმედება მათზე არ გავრცელებულა და მუშების დაშავების შემთხვევაში პენსიები მათ 1903 წლის 2 ივლისის კანონის მიხედვით უნდა მიცემოდათ, მაგრამ სინამდვილეში არსებულ კანონმდებლობიდან ამ მხრივაც იყო გადახვევები. ზოგიერთი წამოწყებანი, რომლებიც სახელმწიფოს ეკუთვნოდნენ და რომლებზედაც დაზღვევის კანონის მოქმედება არ ვრცელდებოდა (საავტომობილო სახელოსნოები, ადელხანოვის ყოფილი წამოწყებანი) დაზღვეულ იქნენ და დასაზღვევ გადასახადებს ისინი საერთო საფუძველზე იხდიდნენ.

საავადმყოფო კახა- ვის კონსერვაცია.

1920 წელს, განსაკუთრებით კი მეორე ნახევარში, საქართველოს მუშათა მოძრაობას საერთო გაცხოველება დაეტყო. ეს მოვლენა უმთავრესად ეკონომიურ ფაქტორებით აიხსნებოდა. მშრომელ მასების საცხოვრებელ პირობების თანდათანობითმა გაუარესებამ ეს მასები ერთმანეთს დაუახლოვა და ისინი უფრო აქტიური გახადა.

ეს აქტივობა სოციალურ დაზღვევის დარგშიდაც მოსჩანდა.

საკითხი არსებულ დაზღვევის კანონმდებლობის გადასინჯვის და ახალ, უფრო სრულყოფილ კანონების გამოცემის შესახებ, 1920 წელში, საერთო კრებებსა და გაზეთებში უფრო ხშირად და ხშირად ისმებოდა.

ამ მოძრაობას ფაქტიურად ტფილისის საერთო საქალაქო სა-
ავადმყოფო კასის გამგეობა ხელმძღვანელობდა.

სწორედ ხსენებულ კასას ეკუთვნის ინიციატივა 1920 წლის დასასრულს საქართველოს საავადმყოფო კასების პირველ კონფერენციის მოწვევისა.

ამ კონფერენციამ შემდეგი რეზოლუციები მიიღო:

ადგილებიდან მოხსენებების გარშემო.

მოისმინა რა მოხსენებები ადგილებიდან კონფერენცია ადგენს, რომ:

1) დაზღვევის მუშაობის ნორმალურ განვითარებას არა მარტო კანონების უარყოფითი მხარეები უშლიდა ხელს, არამედ ისიც, რომ მუშებმა არ იცოდნენ ამ კანონების სწორად გამოყენება.

2) კასები სხვადასხვაგვარ წესდებების საფუძველზე და ცალკე-
ცალკე მოქმე ჯებდნენ.

3) არა ყველა პროფესიონალურმა კავშირმა გამოიჩინა საკმარისი აქტივობა საავადმყოფო კასების ორგანიზაციის საქმეში.

კონფერენცია საჭიროდ სთვლის რათა:

1) ყველა ადგილობრივი კასები საერთო საქალაქოს შეუერთდნენ.

2) ნორმალური წესდება იქნეს შემუშავებული.

3) პროფესიონალურ კავშირთა საბჭოებმა უფრო აქტიური დახმარება აღმოუჩინონ მუშებს დაზღვევის მუშაობაში.

ავადმყოფობის შემთხვევაში დაზღვევის შესახებ წაკითხულ მოხსენების გამო.

მოისმინა რა მოხსენება მუშების ავადმყოფობის შემთხვევაში დაზღვევის და საავადმყოფო კასების უახლოეს ამოცანების შესახებ, კონფერენციამ დაადგინა:

1) მუშების ავადმყოფობის შემთხვევის გამო დაზღვევის შესახებ არსებულ კანონმდებლობაში რეფორმა უნდა ჩატარდეს.

2) ეს რეფორმა რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა განხორციელდეს.

3) რეფორმა ქმნილი კანონი შემდეგ ძირითად პრინციპებს უნდა დაეყრდნოს: ა) საავადმყოფო კასების მონაწილეთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე მთლიანად კასების ხელში გადადის და იგი დამქირავებელთა ხარჯზე სწარმოებს. ბ) პრინციპი დაზღვევის ვალდებულობისა საგსებით უნდა იქნეს დაცული; გ) კანონი უნდა გავრცელდეს ყველა იმ დაქირავებულ პირზე, რომლებზედაც კი ვრცელდება კანონი შრომის ხელშეკრულების შესახებ; დ) მუშებს საავადმყოფო კასებში უნდა შეჰქონდეთ სამუშაო ხელფასის არა უმეტეს 1⁰/₆-ისა; ე) დახმარების რაოდენობა ავადმყოფობის დროს სამუშაო ხელფასის 1-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ინვალიდობის, მოხუცებულობის, უმუშევრობის, ქვრივობის, ობლობის და დედობის შემთხვევაში დაზღვევის შესახებ წაკითხულ მოხსენების გამო.

მოისმინა რა მოხსენება მუშების ინვალიდობის, მოხუცებულობის, უმუშევრობის, ქვრივობის, ობლობის და დედობის შემთხვევებში დაზღვევის შესახებ, — კონფერენციამ დაადგინა მიანდოს საავადმყოფო კასების ცენტრს შეიმუშაოს შრომის სამინისტროსთან ერთად კანონპროექტი სოციალურ დაზღვევის ამ სახეების შესახებ; ამასთანავე სასწრაფო წესით უნდა დამუშავდეს და შეტანილ იქნეს დამფუძნებელ კრებაში კანონ-პროექტი იმ ინვალიდების უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც საავადმყოფო კასების ბიუჯეტს მძიმე ტვირთად აწევს. ამ კანონის გამოცემამდე ინვალიდებმა საავადმყოფო კასიდან დახმარება უნდა მიიღონ იმ ვადის განმავლობაში, რომელიც ორჯერ მაინც აღემატება კასების შესახებ კანონით დაწესებულ ვადას.

დედობის დაზღვევის შესახებ შესაფერ კანონის გამოცემამდე, რასაც ამჟამად ნაწილობრივად საავადმყოფო კასები ანხორციელებენ, კასების მონაწილე ქალებმა საავადმყოფო დახმარება უნდა მიიღონ მშობიარობამდე ოთხი კვირის და მშობიარობის შემდეგ ექვსი კვირის განმავლობაში; ამავე ხნის განმავლობაში მათ უნდა აღეკრძალოს წამოწყებებში მუშაობა.

საავადმყოფო კასების კავშირის შესახებ წაკითხულ მოხსენების გამო.

მოისმინა რა მოხსენება საავადმყოფო კასების კავშირის შესახებ, კონფერენციამ დაადგინა: ერთგვარი მოქმედებისა და დაზღვე-

ვის საქმის ხელმძღვანელობის განხორციელების მიზნით, საჭიროა რათა საავადმყოფო კასების კავშირი შეიქმნეს. ამისათვის კონფერენცია ირჩევს 5 კაცისაგან შემდგარ საორგანიზაციო ბიუროს. კავშირის ამოკანაა: 1) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა საავადმყოფო კასებს და მოაწყოს ახლები, 2) მოაწყოს სახელმწიფოებრივ ფარგლებში საექიმო დახმარება: -სტაციონალური, ამბულატორული და სანატორიულ-საკურორტო და აგრეთვე შექმნას მედიკამენტების საერთო საწყობი; 3) ორგანიზაცია საექიმო სანიტარული და ჰიგიენური ზედამხედველობისა წამოწყებებში; 4) კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა (ეურნალები, გაზეთები და სხვა), 5) იურიდიულ რჩევის მოწყობა; 6) ერთსახოვანი საქმის წარმოება და ანგარიშის წარმოების შექმნა (საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე სწარმოებს); 7) დამუშავება კანონ-პროექტებისა დაზღვევის და სანიტარიის საკითხების გარშემო; 8) წარმომადგენლობა აღმასრულებელ და კანონმდებლობითი ხელისუფლების წინაშე საკუთარ ორგანოს საშუალებით.

დამზღვევ საკრებულოებისა და საბჭოს გაუქმების გამო, ზედამხედველობა, ვიდრე ზედამხედველობის საგანგებო ორგანო შეიქმნებოდეს, შრომის სამინისტროს უნდა გადაეცეს.

დაზღვევის კონფერენციის დადგენილებათა განხორციელებას საქართველოში სოციალურ დაზღვევის განვითარების საქმეში ახალი საფეხურის როლი უნდა ეთამაშნა.

დ ა ნ ა ს კ ვ ი.

საქართველოს სოციალურ დაზღვევის მოძრაობის ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩვენ ვხე-

დავთ, რომ:

1) მენშევიკურ მთავრობის დროს, 1912 და 1917 წლებში სოციალურ დაზღვევის შესახებ გამოცემულ კანონებს, არსებითი ცვლილებები არ განუცდიათ.

2) დაზღვევის არსებულ ორი სახით დაზღვეულთა საერთო რიცხვი 1920 წლის ნოემბერში მთელ რესპუბლიკაში დაახლოებით 10.000 კაცს უდრიდა. თუ მივიღებთ, რომ 1920 წლის ნოემბერში (შრომის სამინისტროს ცნობების მიხედვით) სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეების (42.674 კაცი), საზოგადოებრივ (20.140 კაცი) და კერძო წამოწყებათა (15.386 კაცი) მუშების რიცხვი მთელ საქართველოში 78.200 კაცს უდრიდა, დაეინახავთ, რომ წამოწყება-დაწესებულებებში დაკავებულ მუშა-მოსამსახურეების საერთო რიცხვთან შედარებით მხოლოდ 12,8% იყო დაზღვეული.

3) სოციალური დაზღვევის პრაქტიკა დაზღვევის კანონმდებლობას უფრო წინ უსწრობდა.

თ ა ვ ი ბ ე რ თ ხ ე

სოციალური დაზღვევა საბჭოთა საქართველოში

ნაწილი პირველი

წინასწარი შენიშვნა- ოქტომბრის რევოლუციის რამოდენიმე
ნაბი დღის შემდეგ, სახელდობრ 1917 წლის ოქტო-
მბრის 30-ს სრულად რუსეთის ცენტრა-
ლურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი, რომლის
მიხედვითაც:

1) დაქირავებულ შრომის ყველა პირი აუცილებლად უნდა და-
ზღვეულიყო: ავადმყოფობის, დასახიჩრების, საერთო ინვალიდობის,
დედობის, მოხუცებულობის და უმუშევრობის შემთხვევებში.

2) შრომის უნარის დაკარგვის და უმუშევრობის ყველა შემთხვევაში
ჩამოთვლილ შემთხვევაში დაზღვეულებს უნდა მიეღოთ ანაზღაურება
არა უმცირეს ფაქტიურ ხელფასისა;

3) სოციალური დაზღვევით გამოწვეული ყოველგვარი ხარჯები
დეკრეტით დაქირავებულებს უნდა დაეფარათ.

4) დამზღვევ ორგანოების გამგებლობა სავსებით თვით და-
ზღვეულთა ხელში გადადიოდა.

ამ დეკრეტის გამოცემით საბჭოთა ხელისუფლებამ მიზნად დაი-
სახა განხორციელება სოციალურ დაზღვევის დაზღვევის მთელი „მუ-
შათა პროგრამა“. დეკრეტი კიდევ შორს მიდიოდა: იგი შეიცავდა
სოციალურ უზრუნველყოფის მომენტებსაც, ვინაიდან დაქირავებულ
შრომის ყველა პირის დაზღვევის გარდა იგი წინადადებდა იძლეოდა
„ქალაქის და სოფლის ღარიბი მოსახლეობა“-ც დაზღვეულიყო.

1917 წლის ოქტომბრის 30-ის დეკრეტი განსაზღვრავდა სო-
ციალურ დაზღვევის საერთო ხაზებს, ქმნიდა საფუძველს, რომელ-
ზედაც თანდათანობით სოციალური დაზღვევის ძლიერი შენობა
უნდა აგებულიყო.

1917 წლის დეკემბრის 22-ს გამოიცა დეკრეტი სოციალურ
დაზღვევის ძირითადი სახის—ავადმყოფობის შემთხვევაში და დაზღ-
ვების დამატებითი სახეების—შესახებ.

ეს დეკრეტი სოციალური დაზღვევის მომავალ ინსტიტუტს კიდევ უფრო სწორად განსაზღვრავდა.

თანახმად ამ დეკრეტისა:

ა) დაქირავებული შრომის ყველა პირის დაზღვევა სავალდებულო იყო; ხელოსნები და გლეხები კი შეიძლებოდა ნებაყოფლობითი საფუძვლებზე დაზღვეულიყვნენ;

ბ) საავადმყოფო კასები აუცილებლად უნდა გაერთიანებულიყვნენ;

გ) დაზღვეულთა და მათი ოჯახების წევრთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის; საქმე აუცილებლად კასების გამგებლობაში უნდა ყოფილიყო;

დ) შრომის უნარის დაკარგვის განმავლობაში დაზღვეულს სრული სამუშაო ხელფასი უნდა მისცემოდა;

ე) დაზღვეულს დახმარება უნდა მისცემოდა დაავადმყოფების პირველ დღიდანვე ვიდრე არ განიკურნებოდა; დედობის შემთხვევაში კი—16 კვირის განმავლობაში; მშობიარობამდე 8 კვირის და მშობიარობის შემდეგ კიდევ 8 კვირის განმავლობაში;

ვ) მწარმოებლები ვალდებული იყვნენ შეეტანათ საავადმყოფო კასაში დასაზღვევი გადასახადები—დაზღვეულს ხელფასის 100%-ის რაოდენობით. სადღეღვატო კრებებს უფლება ჰქონდათ გაედიდებიათ დასაზღვევი გადასახადები იმ შემთხვევაში, თუ ვინცობაა 100% ყველა ხარჯებს ვერ დაფარავდა.

ეს დეკრეტი საავადმყოფო კასების მომავალ მოქმედებისათვის ფართო შესაძლებლობას შლიდა. პეტროგრადსა და მოსკოვში წარმოიშვენ საერთო საქალაქო საავადმყოფო კასები, რომლებმაც დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმე თავიანთ გამგებლობაში აიღეს და რომლებმაც დიდ შედეგებს მიაღწიეს.

საგრძნობი ცვლილებები იქნა აგრეთვე შეტანილი ზედამხედველობის ორგანოების სტრუქტურაში: მუშების წარმომადგენელთა რიცხვი ამ ორგანოებში საგრძნობლად გადიდდა.

ეგრედ წოდებულ „სამხედრო კომუნიზმის“ დროს, როცა მთელი მრეწველობა გასახელმწიფოებული და კერძო ვაჭრობა აკრძალული იყო და როცა ქვეყანაში საერთო შრომის ბეგარა იქნა შემოღებული—სოციალურ დაზღვევის ინსტიტუტს თავისი ადგილი სოციალურ უზრუნველყოფისათვის უნდა დაეთმო.

სოციალური უზრუნველყოფა სოციალურ დაზღვევისაგან განირჩეოდა მით, რომ იგი საყოველთაო იყო: სახელმწიფო ვალდებული იყო ეზრუნა იმისათვის, რომ მთელ მშრომელ მოსახლეობისათვის,

რომელიც რაიმე მიზეზისა გამო (ავადმყოფობის, ინვალიდობის და სხვა) დროებით ან სრულიად დაჰკარგავდა შრომის უნარს, ფულით, ექიმობით ან და სურსათით მიეცა დახმარება.

ამ მიზნით 1918 წლის დეკემბრის 31-ს გამოიცა დეკრეტი ყველა იმ პირთა სოციალურ უზრუნველყოფის შესახებ, რომელთა არსებობის წყაროს საკუთარი შრომა შეადგენდა და რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციას არ ეწეოდნენ.

პირველ ხანებში სოციალურ დახმარების მოწესრიგების ფუნქციები განაწილებული იყო შრომის სახალხო კომისარიატის და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის და მათ ადგილობრივ ორგანოებს შორის.

შემდეგში დაარსდა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი (ადგილობრივ განყოფილებებით), რომელსაც სოციალურ უზრუნველყოფის დარგში შრომის სახალხო კომისარიატიდან ყოველგვარი ფუნქცია გადაეცა.

ამრიგად საქართველოს გასაბჭოების დროს, ესე იგი 1921 წლის დასაწყისში, რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში დამზღვევი ორგანოები უკვე აღარ არსებობდნენ: მათ ფუნქციებს სოციალურ უზრუნველყოფის და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ორგანოები ასრულებდნენ.

საქართველოში კი, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, საავადმყოფო კასები არსებობდნენ.

ძირითადი დაზღვევის დეპარტამენტი 1921 წლის აპრილის 2-ს საქართველოს რევოლუციონურმა კომიტეტმა სოციალურ დაზღვევის შესახებ გამოსცა დეკრეტი № 12.

თანახმად ამ დეკრეტისა:

1) დაქირავებულ შრომის ყველა პირი—მათი მუშაობის ხანგრძლივობის, ზასიათის და ადგილის დამოუკიდებლად,—აუცილებლად უნდა დაზღვეულიყო;

2) შემოღებულ იქნა დაზღვევის შემდეგი სახეები: ავადმყოფობის, დასახიჩრების, ინვალიდობის, მოხუცებულობის, გარდაცვალების (ქვრივობის და ობლობის), დედობის და უმუშევრობის შემთხვევებში;

3) სოციალურ დაზღვევით გამოწვეული ყოველგვარი ხარჯები დამქირავებლებზე იქნა გადატანილი;

4) ხელოსნებსა და შინამრეწველებს, რომლებიც დაქირავებულ შრომას არ იყენებდნენ, ნებაყოფლობითი საფუძვლებზე დაზღვევის უფლება ეძლეოდათ;

5) სოციალურ დაზღვევის ცალკე სახეების შესახებ დებულება-თა გამოკრემა და აგრეთვე გადაქრა საკითხებისა, დაზღვევის განმახორციელებელ ორგანოების შესახებ, დეკრეტით შრომის სახალხო კომისარიატს ევალებოდა *).

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ეს დეკრეტი სოციალური დაზღვევის დარგში ოქტომბრის რევოლუციის ძირითად ღონისძიებებს ხორცს ასხამდა.

**შრომის სახალხო
კომისარიატის დად-
განილება**

1921 წლის აპრილში, № 12 დეკრეტის გამოცემის შემდეგ, ს. ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატმა სოციალურ დაზღვევის დარგში ორი დადგენილება გამოსცა. ამ დადგენილების თანახმად:

1) დაქირავებულ შრომის ყველა პირი, რომლებიც 1921 წლის აპრილის 15-დან პროფკავშირების წევრებად ითვლებოდნენ, შესაფერ საავადმყოფო კასებზე იქნენ მიწერილნი;

2) საგანგებო დებულების გამოცემამდე კასის ყველა მონაწილეს საექიმო და ფულადი დახმარება არსებულ ნორმების ფარგლებში უნდა აღმოჩენოდათ;

3) კასის მონაწილეთა და მათი ოჯახების წევრთათვის საავადმყოფო კასებს საექიმო დახმარება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით უნდა აღმოეჩინათ.

4) დაზღვევის ანარიცხების რაოდენობა 10%^{1/10}-ით განისაზღვრებოდა.

5) დამქირავებლები ვალდებული იყვნენ დასაზღვევი ანარიცხები შრომის სახალხო კომისარიატის სალაროში შეეტანათ.

6) საავადმყოფო კასებს მათთვის საჭირო თანხები, საგანგებო ხარჯთ-აღრიცხვით, შრომის სახალხო კომისარიატიდან უნდა მიეღოთ.

7) დედობის შემთხვევაში კასების მონაწილე ქალები სამუშაოდან 16 კვირის განმავლობაში თავისუფლდებოდნენ: მშობიარობამდე 8 კვირის და მშობიარობის შემდეგ კიდევ 8 კვირის განმავლობაში. ამასთანავე მათ ენახებოდათ ფაქტიური სამუშაო ხელფასი. **) თანახმად ხსენებულ დადგენილებისა (1921 წ. აპრილის 15-ის) ქ. ტფილისის პროფკავშირთა წევრები აგრეთვე ტფილისის საერთო-საქალაქო საავადმყოფო კასის მონაწილეებათაც გადაიქცნენ, ესე იგი დაზღვე-

*) „პრავდა გრუზიი“ 1921 წ. № 29.

**) „პრავდა გრუზიი“ 1921 წ. აპრილის 15-ის თარიღით, № 37.

ულნი აღმოჩნდნენ. ვინაიდან მაშინ ყოველი მუშა და მოსამსახურე კავშირში შექანიკურად ირიცხებოდა, ამიტომ პროფკავშირთა წევრებად დაქირავებული შრომის ყველა პირი ითვლებოდა.

დადგენილებამ დაზღვეულთა და მათი ოჯახების წევრთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის დარგში გარკვეულობა შეიტანა: საექიმო დახმარება ფაქტიურად სააეადმყოფო კასების გამგებლობაში გადავიდა.

მაგრამ დადგენილება ამცირებდა კასის საბიუჯეტო უფლებებს, ვინაიდან დასაზღვევი გადასახადები უშუალოდ კასაში კი აღარ შედიოდა, არამედ შრომის სახალხო კომისარიატში.

დედობის და- როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, შრომის სა-
ღვევა ხალხო კომისარიატის მიერ აპრილში გამოცემულ დადგენილებით, მუშა ქალები დედობის შემთხვევაში სამუშაოდან 16 კვირის განმავლობაში თავისუფლდებოდნენ.

შრომის სახალხო კომისარიატმა 1921 წლის ივლისის 1-ს გამოსცა ახალი დადგენილება, რომლის მიხედვითაც 16 კვირის შევბულება მხოლოდ იმ პირთათვის იქნა დატოვებული, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწეოდნენ.

გონებრივ შრომის წარმომადგენლები ამ დადგენილებით 12 კვირით თავისუფლდებოდნენ: 6 კვირით მშობიარობამდე და 6 კვირით მას შემდეგ.

ამავე დადგენილებით ბავშვის საკვებად დახმარების ახალი სახე იქნა დაწესებული. ეს დახმარება ამა თუ იმ ადგილის დაბალ სატარიფო განაკვეთის რაოდენობას უდრიდა.

დახმარება ბავშვის საკვებად კასის მონაწილე ქალებს— მშობიარობაზე დახმარების გაცემის შეწყვეტიდან— ეძლეოდათ მანამ, ვიდრე ბავშვს 9 თვე არ შეუსრულდებოდა, ესე იგი 7 და 7½ თვის განმავლობაში *).

შემდეგში გადიდებულ იქნა შრომის ინვალიდებისა, ქვრივებისა და ობლების პენსიების რაოდენობა.

მაგრამ მიუხედავად საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ასეთი ფართო დაზღვევის კანონმდებლობისა, ტფილისის დამზღვევ კასამ თავისი მოქმედების გაშლა, როგორც ჩვენ ამას ქვემოთ დავინახავთ, მხოლოდ 1922 წლის აგვისტოდან დაიწყო.

*) იხ. „პრავდა გრუზიი“ 1921 წლის ივლისის 3-ის თარიღით, № 100.

ეს მოქმედება განმტკიცდა და ორგანიზაციულად მხოლოდ ვას შემდეგ ჩამოყალიბდა, როცა ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭომ სოციალურ დაზღვევის დარგში შესაფერი კანონები გამოსცა.

ამიტომ 1922 წლის აგვისტო, როცა ეს კანონები იქნა გამოცემული, ჩვენი დაზღვევის მოძრაობის ისტორიაში ღირსშესანიშნავ მომენტად უნდა ჩაითვალოს.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საქართველოს საზღვრების კანონები. 1922 წლის აგვისტოს 23-ს ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების საკავშირო საბჭომ სოციალურ დაზღვევის შემდეგი ოთხი დეკრეტი გამოსცა:

1. სოციალურ დაზღვევის ძირითად პრინციპების შესახებ;
2. შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო უზრუნველყოფისა და დახმარების დამატებითი სახეების შესახებ;
3. ინვალიდობის გამო და მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში მშრომელთა ოჯახების წევრთა უზრუნველყოფის შესახებ;
4. უმუშევრობის გამო უზრუნველყოფის შესახებ.

ხსენებულ კანონების არსებითი მხარე შემდეგში მდგომარეობდა:

1. დაქირავებულ შრომის პირნი უნდა დაზღვეულ ყოფილიყვნენ შრომის უნარის დროებით თუ მუდმივად დაკარგვის ყველა შემთხვევაში.

2. შრომის უნარის დროებით დაკარგვისას დაზღვეულებს უნდა მიეღოთ სრული ფაქტიური სამუშაო ხელფასი მანამ, ვიდრე არ გამოკეთდებოდნენ.

3. დედობის შემთხვევაში შეებულების ვადა განისაზღვრებოდა: ფიზიკურ შრომის პირთათვის—16 კვირით და გონებრივ შრომის წარმომადგენელთათვის—12 კვირით.

4. კარანტინის შემთხვევაში დაზღვეულს ენახებოდა, კარანტინის მთელი ხნის განმავლობაში, ფაქტიური ხელფასი.

5. საავადმყოფოებსა, სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში მოთავსებული მარტოხელნი საკუთარ სამუშაო ხელფასის მხოლოდ ნახევარს ღებულობდნენ.

6. კასის მონაწილე ქალების ან და მონაწილეთა ცოლების მშობიარობაზე ერთ დროული დახმარება იყო დაწესებული. დახმარება ამა თუ იმ ადგილის თვიური საშუალო ხელფასის რაოდენობას უდრიდა.

7. ბავშვის საკვებად დახმარება ეძლეოდათ დაბადებიდან 9 თვის განმავლობაში. დახმარება ამა თუ იმ ადგილის თვიურ სამუშაო ხელფასის 1/4-ს უდრიდა.

8. შრომის ინვალიდები შრომის უნარის დაკარგვის ხარისხის და მიხედვით ხუთ ჯგუფად იყოფოდნენ და მოთავსებულნი უნდა ყოფილიყვნენ ინვალიდების სახლებში, ან მიეცათ მათთვის შესაფერი სამუშაო ან და მიეღოთ პენსია ამა თუ იმ ადგილის თვიური სამუშაო ხელფასის $\frac{2}{3}$ -დან $\frac{1}{2}$ -მდე რაოდენობით.

9. დაზღვეულთა ქვრივებსა და ობლებს (16 წლამდე) ეძლეოდათ პენსია—ამა თუ იმ ადგილის თვიურ სამუშაო ხელფასის $\frac{1}{2}$ -დან $\frac{2}{3}$ -მდე რაოდენობით.

10. უმუშევრები ორ კატეგორიით იყოფოდნენ:

ა) კვალიფიციურ და ბ) არაკვალიფიციურებზე. მეორე კატეგორიისათვის საჭირო იყო სამი წლის სტაჟი. უმუშევრების დახმარება ამა თუ იმ ადგილის თვიური საშუალო ხელფასის $\frac{1}{3}$ -დან $\frac{1}{2}$ -მდე რაოდენობით განისაზღვრებოდა. დახმარება 15 კვირის განმავლობაში ეძლეოდათ. ამას გარდა უმუშევრები კომუნალურ ხარჯების დასაფარავად განსაზღვრულ თანხას ლებულობდნენ.

11. დასაზღვევ გადასახადების რაოდენობა უნდა განსაზღვრულიყო იმის და მიხედვით თუ როგორი იყო ამა თუ იმ წარმოების საშიშროებისა და მავნებლობის დონე.

12. ძირითადი დეკრეტით განზრახული იყო ცალკე რესპუბლიკებში დამზღვევ საბჭოების შექმნა. მათ ფუნქციებში შედიოდა ზედამხედველობა იმ ორგანოებზე, რომლებიც სოციალურ უზრუნველყოფას ანხორციელებდნენ; მათვე უნდა განეგოთ დასაზღვევი ფონდები.

ეს კანონები, როგორც უკვე ზემოდ იყო აღნიშნული, სოციალურ დაზღვევის საქართველოში განვითარების განმტკიცების საქმეში დიდ ფაქტორებს წარმოადგენდნენ. მაგრამ ამასთანავე მათში არ იყო გარკვეულობა. მართლაც გამოურკვეველი იყო თუ რას აწესებდა ეს კანონები: სოციალურ დაზღვევას თუ სოციალურ უზრუნველყოფას?

ძირითადი კანონი სოციალურ დაზღვევას ეხებოდა გარკვევით, შემდეგი კანონები კი, რომლებიც დაზღვევის ცალკე სახეების შესახებ იყვნენ გამოცემულნი, სოციალურ უზრუნველყოფაზე ლაპარაკობდნენ და რუსეთის სოც.-ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მიერ 1918 წლის დეკემბრის 31-ს სოციალურ უზრუნველყოფის შესახებ გამოცემულ დეკრეტის ნათელ კვალს შეიცავდნენ.

ეს გაურკვეველობა საბჭოთა საქართველოში სოციალური დაზღვევის სწორ განვითარებას ხელს უშლიდა.

ახლა ჩვენ ამ გაურკვეველობის მიზეზების გადმოცემაზე გადავდივართ.

**საორგანიზაციო
სტრუქტურის
საკითხები.**

როგორც უკვე ზემოდ იყო აღნიშნული რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში 1918 წლის დეკემბრის 31-ს გამოცემულ დეკრეტით სოციალურ დაზღვევის ინსტიტუტი სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოებმა შესცვალეს. საქართველოში კი, მისი გასაბჭოების დროს, საავადმყოფო კასები, მართალია შეზღუდული ფუნქციებით, მაგრამ მაინც არსებობდნენ.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე წამოიჭრა საკითხი: წარმოადგენს თუ არა საჭიროებას ამ კასების შემდეგშიც შენარჩუნება, თუ ისევე, როგორც რუსეთის საბ. ფედ. სოც. რესპუბლიკაში მათი ფუნქციები შრომის სახალხო კომისარიატის და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ორგანოებს შორის უნდა განაწილდეს?

ამ საკითხის გარშემო ორი თვალსაზრისი შემუშავდა.

პროფკავშირების საბჭო და საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატი, რომლებიც ადგილობრივ პირობებსა და ტრადიციებს ანგარიშს უწყევდნენ, სოციალური დაზღვევის ორგანოების შემდეგშიც არსებობას, ოდნავი შეცვლილი ორგანიზაციული სტრუქტურით, საჭიროდ სთვლიდნენ; ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები კი მდსანშრომის მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან ერთად განსაკუთრებულ დამზღვევ ორგანოების არსებობას ზედმეტად სთვლიდნენ და მოითხოვდნენ, რომ მათი ფუნქციები ხსენებულ სახალხო კომისარიატებს შორის განაწილებულიყო.

ეს კამათი საორგანიზაციო საკითხების გარშემო რამოდენიმე თვის განმავლობაში გაგრძელდა და განსახილველად მუშების ფაროო მასების კრებებზე იქნა გადატანილი.

ყველა სხდომებსა და კრებებზე, სადაც კი საავადმყოფო კასების ყოფნა არ ყოფნის საკითხის განხილვა სწარმოებდა, ტფილისის საერთო-საქალაქო საავადმყოფო კასის გამგეობა კასის უფლებებს მტკიცედ და გარკვევით იცავდა.

კასის გამგეობა შრომის სახალხო კომისარიატს მხოლოდ ერთ საკითხში ეთანხმებოდა, სახელდობრ იმაში, რომ საავადმყოფო კასების რწმუნებულთა ფუნქციები შრომის დაცვის კომისიის წევრებზე ყოფილიყო მიწოდებული, და, რომ საავადმყოფო კასების გამგეობანი შემდეგში შრომის დაცვის კომისიების საერთო-საქალაქო კონფერენციებზე ყოფილიყვნენ არჩეულნი. იმ ადგილებსა და სამრეწველო რაიონ-

ნებში კი, სადაც დაზღვეულთა საერთო კრების მოწვევა ტეხნიკურად შესაძლებელი იქნებოდა, კასის გამგეობა უშუალოდ ასეთ კრებაზე უნდა აჩეულიყო.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატმა 1921 წელს, ივნისში, სწორედ ასეთი ხასიათის საგანგებო დადგენილება გამოსცა. *)

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება თავის პირველსავე დეკრეტში (№ 12) საკიროდ სთვლიდა სოციალურ დაზღვევის ინსტიტუტის არსებობას და მას სოციალურ დაზღვევისა და სოციალურ უზრუნველყოფის შორის განსაზღვრული მიჯნა გაჰყავდა. ამ მიზნით მან იმავე დღეს, ესე იგი 1921 წლის აპრილის 2-ს, როცა სოციალური დაზღვევის შესახებ № 12 დეკრეტი გამოიცა, სოციალური უზრუნველყოფის შესახებაც საგანგებო დეკრეტი გამოაქვეყნა. **) მაგრამ მიუხედავად ამისა სოციალურ დაზღვევის შესახებ გამოცემულ ძირითად დეკრეტში, მაინც არ იყო ნაჩვენები ის ორგანოები, რომლებსაც სოციალური დაზღვევა უნდა განეხორციელებინათ.

დეკრეტი უფლებას ანიჭებდა შრომის სახალხო კომისარიატს, თვითვე განესაზღვრა ის ორგანოები, რომლებსაც სოციალურ დაზღვევის ცალკე სახეები უნდა განეხორციელებინათ.

დაზღვევა ავადმყოფობის შემთხვევაში, დახმარების დამატებითი სახეების გაცემა და დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების ორგანოების მოწყობა, როგორც ეს ზემოდ იყო აღნიშნული, შრომის სახალხო კომისარიატმა დროებით საავადმყოფო კასებს დაავალა.

მაგრამ უკანასკნელი გადაწყვეტილება დამზღვევ ორგანოების სტრუქტურისა და ხასიათის შესახებ კიდევ არ არსებობდა.

ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ო ს
პ რ ო უ ჯ ა ვ შ ი რ თ ა სა ბ-
ჯ ო ს პ ლ ე ნ უ მ ი ს ო-
ც ი ა ლ უ რ ი დ ა ზ ლ ვ ა ვ ი ს
შ ე ს ა ხ ე ბ .

1921 წლის მაისის 16-ს სოციალური დაზღვევის საკითხის შესახებ ს. პ. კ. საბჭოს ტფილისის პლენუმმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა:

1) „ს. ს. ს. რესპუბლიკაში საყოველთაო, სავალდებულო და უფასო დაზღვევის შემოღების შემდეგ დამზღვევ კასების მთელი მუშაობა იმ მხრივ უნდა მიიმართოს, რომ დაზღვევის კანონები სავსებით გამოყენებულ იქნეს და ეს საქმე რაციონალურ ნიადაგზე დადგეს.

*) იხ. „კომუნისტი“ 1921 წლის 8/VII თარიღით, № 103.

**) იხ. „კომუნისტი“ 1921 წლის 7/IV თარიღით, № 25. საქარ. რევკომის დეკრეტი № 11.

2) მუშათა კლასის სოციალურ დაზღვევის ყველა სახე, იმ კლასისა, რომელიც სოციალურ რისკს ეწევა, ერთიან საქალაქო საავადმყოფო კასის ხელში უნდა მოთავსდეს და სრულიად ჩამოშორდეს საზოგადოების დანარჩენი ფენების დაზღვევას.

3) მუშათა მასებისა და დამზღვევე კასების შორის ორგანიზაციულ კავშირის შექმნის, დამზღვევე აპარატში ბიუროკრატიზმის აცილების და მის მოქმედებაზე ნამდვილ კონტროლის დაწესების მიზნით,—დაზღვევის მთელი საქმე თვით დაზღვეულთა ხელში უნდა იყოს და იგი თვითმართველობის ფართო საფუძველზე მოეწყოს.

4) დამზღვევი კასა, რომელსაც კასის მონაწილეთა მიერ არჩეული გამგეობა განაგებს, დროებით შრომის სახალხო კომისარიატის ხელში იმყოფება, რაც იმით აიხსნება, რომ ხსენებული კომისარიატი მუშათა მასებთან უფრო ახლო მდგომი მთავრობის ორგანოა.

5) კასის გამგეობა ანხორციელებს კანონს დაზღვევის შესახებ და თავის მოქმედების სფეროში იგი შრომის სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემულ დადგენილებებითა და დებულებებით სარგებლობს.

საექიმო დახმარების აღმოჩენის და კასის მონაწილეთა მკურნალობის დარგში საჭიროა შემდეგი ღონისძიებათა გატარება.

6) ყველა სამრეწველო რაიონსა და ადგილში კასის მონაწილეთა და მათი ოჯახის წევრთათვის საგანგებო ამბულატორიები უნდა გაიხსნას.

7) საავადმყოფოებსა და ლაზარეთებში კასის მონაწილეთათვის შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით საწოლების საჭირო რიცხვი უნდა გამოიყოს.

8) დამზღვევე კასების მონაწილეები უნდა სარგებლობდნენ სანატორიებითა და კურორტებით; პირველ რიგში უნდა სარგებლობდნენ ის პირნი, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან.

9) დამზღვევე კასებს უნდა მიენიჭოს იმის უფლება და საშუალება, რომ ფულადი დახმარება თანდათანობით ნატურით შესცვალონ *).

ამრიგად პლენუმი გარკვევით მოითხოვდა სოციალურ უზრუნველყოფის ორგანოებისაგან დამოუკიდებელ საერთო-საქალაქო დამზღვევე კასების შექმნას, რომლებიც თვითმართველობის საფუძვლებზე იმოქმედებდნენ და დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების

*) იხ. ს. პ. კ. ს. პლენუმის ოქმი 1921 წ. მაისის 16-ის თარიღით.

აღმოჩენის საქმეს განაგებდნენ. პლენუმი კასებს შრომის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მხოლოდ „დროებით“ სტოვებდნენ (დადგენილების მე-4 მუხლი).

სიტყვა „დროებით“ ნათლად გვიჩვენებს, რომ დამზღვევ კასების მომავალ არსებობის ბედი გაურკვეველი იყო.

ეს გარემოება კიდევ უფრო გარკვევით გამოძეადა შემდეგში შრომის დაცვის კომისიებისა და ფაბქარხადგილკომების საერთო-საქალაქო კონფერენციაზე.

კონფერენცია 1921 წლის ივნისის 24-ს შესდგა.

კონფერენციამ მოისმინა ტფილისის საერთო-საქალაქო საავადმყოფო კასის გამგეობის ანგარიში თავის მოქმედების შესახებ, რის შემდეგაც ცხარე კამათი გაიმართა. კამათის დროს გამოიჩინა, რომ ნაწილი საავადმყოფო კასის შემდეგი არსებობის მომხრე, ნაწილი კი წინააღმდეგი იყო. კამათის შემდეგ კონფერენციამ შემდეგი რეზოლუცია მიიღო.

„შრომის დაცვის კომისიებისა და ფაბქარხადგილკომების ტფილისის საერთო-საქალაქო კონფერენციამ მოისმინა რა საავადმყოფო კასის გამგეობის მოხსენება და აღიარებს რა, რომ ძველმა გამგეობამ დამაკმაყოფილებლად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, დაადგინა:—მიანდოს ახალ გამგეობას განავითაროს დაწყებული მუშაობა სოციალურ უზრუნველყოფის მშრომელებზე გავრცელების დარგში; მიიღოს მონაწილეობა შრომის სახალხო კომისარიატთან შესაფერ კომისიის დაარსებაში, რომელმაც საავადმყოფო კასების ფუნქციები უნდა გადასცეს საბჭოთა რესპუბლიკის შესაფერ სახალხო კომისარიატებს, როგორც მაგალითად სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს, რომელიც დახმარებათა სისტემას განაგებს და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს, რომელიც საეკიმო დახმარებას ხელმძღვანელობს. ამასთანავე საავადმყოფო კასისა და სოციალურ უზრუნველყოფის საბჭოს რეორგანიზაციაში აუცილებლად უნდა იქნეს დაცული დემოკრატიული ცენტრალიზმი, რაც ხსენებულ კომისარიატებში მუშური სულის შეტანას ხელს შეუწყობს და გააძლიერებს მუდმივ პროლეტარულ გავლენას მათ მოქმედებაზე. ეს გარემოება კი ხსენებულ კომისარიატებს მუშათა მასებთან უფრო და უფრო დაუახლოვებს და თავის მხრივ მათ მუშაობაში ამ მასების ფართო ფენებს ჩააბამს. ამ მიზნით პირველ რიგში წინადადება მიეცეს პროფსაბჭოს პრეზიდენტსა და მედსანშრომის მუშათა კავშირს შეიყვანონ თავიანთი წარმომადგენლები ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარ-

რიატის შესაფერ კოლეგიებში,—როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. ამით აცილებული იქნება ის პარალელიზმი და უთანხმოებანი რომელიც ამ ეამად ხსენებულ უწყებაში არის შემჩნეული*).

ამ დადგენილებით ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის ბედი საბოლოოდ წყდებოდა, მისი შემდეგი არსებობის საკითხი ირკვეოდა.

ნამდვილად კი სულ სხვა რამ მოხდა. კასის ახალმა ხელმძღვანელებმა არა თუ არ გაჰყვეს კასის ფუნქციები ორ პრეტენდენტ-სახალხო კომისარიატის შორის, არამედ კიდევ უფრო გაათართოვეს როგორც კასის მოქმედების სფერო, ისე მისი პუნქტები.

1921 წლის აგვისტოდან ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასამ „ტფილისის ცენტრალური დამზღვევი კასი“-ს სახელწოდება მიიღო.

იგი ფაქტიურად რესპუბლიკანურ კასად გადაიქცა, ვინაიდან მან დაიწყო ადგილებზე (სადაც არ იყო) ახალ კასების დაარსება, უკვე არსებულ კასების მუშაობის გამოცხოველება და საერთოდ რესპუბლიკის სოც. დაზღვევის პოლიტიკის ხელმძღვანელობა და წარმართვა.

ამ პერიოდში დაზღვევის გადასახადები გადიდდა და დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმის ორგანიზაცია საგრძნობლად გათართოვდა. სამი ამბულატორიის მაგივრად რვა წარმოიშვა; ამასთანავე ერთ მათგანს ცენტრალურს—ყველა სპეციალობის ექიმი ჰყავდა. არსებობდა ხუთი აფთიაქი, საიდანაც დაზღვეულები დამზღვევი კასის ექიმების რეცეპტებით საჭირო მედიკამენტებს ყოველთვიურად ლეზულობდნენ. ხსენებული ექიმების რიცხვი ამ დროისათვის უკვე 37 კაცამდე გაიზარდა. ქალაქის საავადმყოფოებში დაზღვეულთა საჭიროებისათვის გამოყოფილი იყო საგანგებო საწოლები. ერთი სიტყვით, კასის ახალი ხელმძღვანელები ს. პ. კ. ს. ტფილისის პლენუმის ზემოდ აღნიშნულ დადგენილებას (1921 წ. მაისის 16-ის) თანდათან ატარებდნენ ცხოვრებაში.

კასების ხელმძღვანელები პრაქტიკაზე დარწმუნდნენ, რომ დამზღვევი კასების არსებობა აუცილებელი იყო; ამიტომ საქართველოს პროფსაბჰოსთან შეთანხმებით მათ გადასწყვიტეს არ მოეყვანათ სისრულეში რეზოლუცია, რომელიც კასების გაუქმებას ეხებოდა, მით უმეტეს, რომ პოლიტიკურ ჰორიზონტზე უკვე მოსჩანდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის აჩრდილი, რამაც თანდათანობით კონკრეტული მოხაზულობა მიიღო.

*) „რაბოჩი ტრუდ“ 1921 წლ. 10|VIII თარიღით, № 16.

**გარდაგავალი მღ-
მენტი.**

ახალი ეკონომიური პოლიტიკა ნიშნავდა კერძო კაპიტალისა და ვაჭრობის დაშვებას, სამეურნეო წამოწყებების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას, საყოველთაო შრომის ბეგარის სისტემის გაუქმებას და დაქირავებულ შრომის გამოყენების ახალი პირობების შექმნას.

ეს ახალი შრომის პირობები თავის მხრივ სოციალურ უზრუნველყოფის სისტემის შეცვლას მოითხოვდა.

ამიტომ 1921 წლის შემოდგომაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის პროფკავშირებმა საკითხი სოციალური დაზღვევის შემოღების შესახებ ისევ წამოაყენეს.

სრ. რუს. პროფ. კავ. ცენ. საბჭოს გაფართოებულმა პლენუმმა 1921 წლის ოქტომბრის 25-ს ამ საკითხის შესახებ შემდეგი დადგენილება მიიღო:

„ერთის მხრივ სახელმწიფო რესურსების შეზღუდულობა და მეორეს მხრივ ის გარემოება, რომ ხელფასისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში მუშები რაც შეიძლება სავსებით უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი—გადაჭრით გვიკარნახებენ, რათა დაუყოვნებლივ იქნეს შემოღებული დაზღვევა სახელმწიფო წამოწყება დაწესებულებების და კერძო მფლობელთა ხარჯზე; ეს საკიროა იმისათვის, რომ ავადმყოფობის, ინვალიდობის, უმუშევრობის და სხვათა შემთხვევებში მუშა-მოსამსახურეების, და აგრეთვე მათი ოჯახების უზრუნველყოფით გაწეული ხარჯები დაფარულ იქნეს. ასეთი დაზღვევა კავშირებისა და მათი ორგანიზაციების რაც შეიძლება ფართო და უშუალო მონაწილეობის პრინციპებზე უნდა აიგოს.“

1921 წლის ნოემბრის 15-ს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ გამოცემულ იქნა დეკრეტი სოციალური დაზღვევის შესახებ.

ამ დეკრეტით სოციალურ დაზღვევის ყველა ძირითადი სახე იქნა შემოღებული. იმისათვის, რომ ეს სახეები განხორციელებულიყო, არსდებოდა დამზღვევი კასები, რომლებსაც მუშები ირჩევდნენ. ეს კასები სოციალურ უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის ორგანოების გამგებლობაში უნდა ყოფილიყვნენ; საექიმო დახმარება კი დაზღვეულებს, ისევე, როგორც წინედ, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ორგანოებს უნდა აღმოეჩინათ.

1921 წლის ნოემბრის დასასრულს შრომის დაცვის გარშემო მესამე კონფერენცია შესდგა, რომელმაც ხსენებულ ორი სახალხო კომისარიატის მიერ სოციალურ დაზღვევის განხორციელების შესახებ შესაფერისი დადგენილება მიიღო.

ამ დადგენილებამ საბჭოთა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატსა და სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს საბაზი მისცა ისევე წამოეყენებიათ თავიანთი უფლებები დამზღვევ კასების ფუნქციებზე.

1921 წლის დეკემბრის 20-ს ეს საკითხი გაირჩა ს. პ. კ. საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, რომელმაც შემდეგი დადგენილება მიიღო:

„მიღებულ იქნეს შრომის დაცვის მეორე კონფერენციის რეზოლუცია. იხისათვის, რომ სოციალური დაზღვევის ახალი ფორმები პრაქტიკულად გატარდეს ცხოვრებაში შესაფერისი ინსტრუქციები უნდა დამუშავდეს. ამ მიზნით დაარსებულ იქნეს კომისია.“

წინადადება მიეცეს ხსენებულ კომისიას ინსტრუქციის დამუშავების დროს საფუძვლად სემაშკოსა და მილიუტინის რეზოლუციები მიიღოს“ *).

ამავე დღეს, ესე იგი 1921 წლის დეკემბრის 20-ს, ტფილისში საბჭოთა საქართველოს ყველა დამზღვევ კასის კონფერენცია შესდგა.

კონფერენციამ დაადგინა გაეუქმებია დამზღვევი კასები და მათი ფუნქციები სოციალური უზრუნველყოფის და ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთა ორგანოებისათვის გადაეცა.

კონფერენციამ ვრცლად შეიმუშავა აღნიშნულ სახალხო კომისარიატთა შორის ფუნქციების განაწილების პირობები.

ამ დადგენილებამ საერთოდ საქართველოს და კერძოდ ტფილისის დამზღვევ კასის ცხოვრებაში სერიოზული კრიზისი შექმნა.

ტფილისის დამზღვევ კასის ხელმძღვანელები კასის ლიკვიდაციას განგებ ავგვიანებდნენ.

ამასობაში კი საქართველოს პროფკავშირთა მეორე ყრილობა იქნა მოწვეული.

საქართველოს პროფკავშირთა მეორე ყრილობა სოციალურ დაზღვევის შესახებ.

სოციალური დაზღვევის საკითხის შესახებ საქართველოს პროფკავშირთა მეორე ყრილობამ შემდეგი დადგენილება მიიღო:

„1. დაქირავებულ შრომის პირთა დაზღვევის ძირითად მომენტად ცოცხალ სამუშაო ძალის შენარჩუნება უნდა ჩაითვალოს. ამისათვის საჭიროა დაზღვეულთა ნორმალური საცხოვრებელი დონე იქნეს დაცული. ამ მი-

*) იხ. ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის სხდომის ოქმი 1921 წ. დეკემბრის 20-ს თარიღით.

ზნის მიღწევა შეიძლება დახმარებათა და პენსიების გაღებით და მათი სანიტარულ-საექიმო დახმარების უზრუნველყოფით.

2. დაქირავებელთა (სახელმწიფო, კოოპერატივი, კერძო პირი და სხვა) საგანგებო ფონდი უნდა დაწესდეს იმისდამხედვით, თუ როგორ მავნებელია წამოწყება. ავადმყოფობის და შრომის უნარის დაკარგვის ყველა შემთხვევაში დასაზღვევ გადასახადების რაოდენობას ურთიერთ შეთანხმებით ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი, შრომის სახალხო კომისარიატი, და ს. პ. კ. საბჭო იმუშავებენ და მასშემდეგ ს. ს. ს. რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ამტკიცებს.

3. დასაზღვევი ფონდი მთლიანად შრომის სახალხო კომისარიატის სოციალურ დაზღვევის განყოფილებას უნდა გადაეცეს. გამონაკლისს უნდა შეადგენდეს ავადმყოფობის შემთხვევაში გაღებულ ანაზღაურების ნაწილი, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს გადაეცემა და მთლიანად მუშებისა და მოსამსახურეების მკურნალობას მოხმარდება. ამ თანხის სხვა რაიზე საკურობებაზე დახარჯვა შეუძლებელია.

4. დაქირავებულ შრომის პირთა სოციალურ დაზღვევის ყველა სახე ერთიან დამზღვევ ორგანოს ხელში უნდა იქნეს მოთავსებული.

5. სოციალურ დაზღვევის ინსტიტუტი არჩევითი საფუძვლებზე უნდა აიგოს.

6. საპროფესიონალური წესით მოეწყოს ადგილებზე სოციალურ დაზღვევის ორგანოები; იქ კი სადაც უკვე არსებობდნენ—მათი მოქმედება გაუმჯობესდეს.

7. მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზონები იმისათვის, რომ მუშები სანიტარულ-საექიმო დახმარებით იქნენ უზრუნველყოფილნი. ამისათვის სოციალურ დაზღვევის განყოფილებები უნდა შეუთანხმდნენ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს და ამ შეთანხმების საფუძვლებზე მიიღონ სანიტარულ-საექიმო ღონისძიებანი, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებისათვის უზრუნველყოფენ:

ა) სასწრაფო საექიმო დახმარებას;

ბ) მუშათა რაიონებში ისეთ ამბულატორიების გახსნას (დამხმარე დაწესებულებებით), რომლებიც კვალიფიციურ საექიმო დახმარებით იქნებიან უზრუნველყოფილნი;

გ) ყველა საავადმყოფოში დაზღვეულთათვის საწოლების განსაზღვრულ რიცხვს;

დ) საავადმყოფოებს რესპუბლიკის მსხვილ ცენტრებში;

ვ) მსხვილ სამრეწველო წამოწყებებთან აფთიაქების გახსნას, საკიროების შემთხვევაში კი ამ წამოწყებების საექიმო პერსონალით უზრუნველყოფას;

ზ) შეძლების დაგეარად დაზღვეულების სანიტარულ მკურნალობით უზრუნველყოფას.

8. პროფილაქტიკამ (გამაფრთხილებელმა ზომამ) როგორც ყველაზე უფრო რადიკალურმა და ავადმყოფობასთან ბრძოლის ყველაზე უკრო ეკონომიურმა საშუალებამ სანიტარულ საექიმო საქმეში პირველი ადგილი უნდა დაიკავოს.

9. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ქლექთან, ციებ-ცხელებასთან და სიფილისთან ბრძოლას. ეს საკიროა იმიტომ, რომ აღნიშნული ავადმყოფობანი დიდ სოციალურ უბედურებას წარმოადგენენ.

10. იმის გამოსარკვევად თუ რამდენად საზიანოა წარმოება მუშებისათვის, უნდა მოხდეს ამ წარმოების მუშა-მოსამსახურეების საექიმო შემოწმება.

11. სოციალურ დაზღვევის ორგანოებმა უნდა დაისახონ მიზნად დაუახლოვდნენ მასებს და ჩააბან ისინი დამზღვევ მუშაობაში—ლექციების და მოხსენებების მოწყობით და ისეთ ბროშურების და წიგნების გამოცემით, რომლებიც სოციალურ დაზღვევის, სანიტარიის, ჰიგიენის და სხვათა საკითხებს გააშუქებენ.

12. იმისათვის, რომ შრომის დაცვის და სოციალურ დაზღვევის ორგანოების მუშაობა სავსებით შეთანხმებული გზით წარიმართოს, დამზღვევ ორგანოების წარმომადგენელი შრომის ორგანოების კოლეგიაში უნდა შევიდეს*. *)

ყრილობის ეს დადგენილება სოციალური დაზღვევის შესახებ საუკეთესო დამამტკიცებელია იმ ხაზის სისწორისა, რომელიც აიღეს მაშინ საბჭოთა საქართველოს პროფმოდრაობის ხელმძღვანელებმა სოციალურ დაზღვევის დარგში.

ამ დადგენილებით უქმდებოდა ზემოდ აღნიშნული გადაწყვეტილება დამზღვევ კასების ლიკვიდაციის შესახებ.

რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკის პროფკავშირებს, რომლებიც „სამხედრო კომუნისმი“-ს პერიოდის ტრადიციების მიხედვით განაგრძობდენ მოქმედებას, სოციალური დაზღვევის ორგანოების ორგანიზაციული აღნაგობა სხვაგვარად ჰქონდათ წარმოდგენილი.

*) იხ. სტენოგრაფიული ანგარიში გვ. 164—165. გამოცემა პირველი.

ზრ. რუს. პროფ. კავშ. ცენ. საბჭოს მეოცენ. საგზოს მორაბ კლენევის დადგენილება სოციალურ დაზღვევის შესახებ.

სრ. რუს. პროფ. კავშ. ცენ. საბჭოს მეოცენ პლენუმმა *) სოციალურ დაზღვევის საკითხების შესახებ შემდეგი დადგენილება მიიღო: „მუშების ნამდვილი უზრუნველყოფა შრომის უნარისა და სამუშაო ხელფასის დაკარგვის დროს მხოლოდ იმ პირობით

შეიძლება სავსებით განხორციელდეს, თუ მუშების სოციალური დაზღვევა მთელ კავშირის კავშირებში გაერთიანებულ მუშათა მასების აქტიურ მონაწილეობით იქნება გატარებული.

სრ. რუს. პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭომ ადგილობრივ კავშირების გაერთიანებებთან ერთად ფაქტიურად უნდა განახორციელოს სოციალური დაზღვევისა და მუშების საექიმო დახმარების საერთო ხელმძღვანელობა. დაზღვევის ორგანიზაციული ხელმძღვანელობა ჭტეხნიკა მისი განხორციელებისა უნდა დაეკისროს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, როგორც ძირითად სახელმწიფო აპარატს, რომელიც სოციალურ უზრუნველყოფას განაგებს. ამასთანავე მუშაობის შესაფერისი მხარეები საბჭოთა ხელისუფლების სხვა შესაფერისმა ორგანოებმა უნდა შეასრულონ (ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატმა საექიმო დახმარების საქმე უნდა მოაწიოს, შრომის სახალხო კომისარიატმა უმუშევრობასთან ბრძოლა და სხვ.)“.

ამრიგად სრ. რუს. პროფ. კავშ. ცენ. საბჭოს მეორე პლენუმმა, გადასცა რა სოციალურ დაზღვევის ხელმძღვანელობა პროფკავშირებს, იმის შესაძლებლობაც აღიარა, რომ დაზღვევის ორგანოები სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, ხოლო საექიმო დახმარების საქმე ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში ყოფილიყო.

სრ. რუს. პროფ. კავშ. ცენ. საბჭოს დადგენილება საბჭოთა საქართველოს სოციალურ დაზღვევის ორგანოების პრაქტიკას ეწინააღმდეგებოდა.

დამზღვევ ორგანოების—შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების გამგებლობიდან სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემა სოციალურ დაზღვევის საქმეს ჩვენში უთუოდ უკან დასწევდა.

პრინციპიალურ მოსაზრებათა გარდა, რომელნიც იმის სასარგებლოდ ლაღადებდნენ, რომ დამზღვევი კასები შრომის სახალხო კო-

*) 1922 წლის 16—19 თებერვალს შესდგა.

ენისაოიატის გამგებლობაში დარჩენილიყუნენ,—ვინაიდან ხსენებული კომისარიატი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც შრომის დაცვის შესახებ კანონმდებლობას ანხორციელებს,—მათი სოციალურ უზრუნველყოფას სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემა იმიტომაც არ შეიძლებოდა, რომ უკანასკნელის აპარატი ადგილებზე ჯერ კიდევ არ იყო მოწესრიგებული.

სწორედ ეს მოვენტი გაითვალისწინა პროფკავშირთა ამიერკავკასიის პირველმა ყრილობამ.

**პროფ. კავშირთა
ამიერ-კავკასიის პირ-
ველი ყრილობის და-
დგენილება სოციალ-
ური დაჯდამის შე-
სახებ.**

აღნიშნულ ყრილობის რეზოლუციაში სოციალურ დაზღვევის შესახებ ნათქვამია: „პრინციპიალურად უფრო სწორი იქნებოდა სოციალურ დაზღვევის მთელი ორგანიზაციული ხელმძღვანელობა და ტენიკა მისი განხორციელებისა სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს რომ დაკისრე-

ბოდა. მაგრამ იღებს რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სოციალური დაზღვევის ორგანოები ამიერ-კავკასიაში სუსტნი არიან, მუშათა ორგანიზაციებს მოწყვეტილნი არიან და რომ ზოგიერთ რესპუბლიკაში მუშების დაზღვევას შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები ანხორციელებენ,—ყრილობა სოციალურ დაზღვევის საქმის შრომის სახალხო კომისარიატსა და მის ადგილობრივ განყოფილებებთან დარჩენას შესაძლებლად სცნობს.

იმ მიზნით, რომ დაქირავებულ შრომის მუშაკების სოციალური დაზღვევა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკაში ფაქტიურად იქნეს გატარებული და ისინი ნამდვილად უზრუნველყოფილნი იქნენ ამ საქმის შრომის სახალხო კომისარიატთან დატოვებით—დასაზღვევ გადასახადების აკრება სავსებით ხსენებულ კომისარიატის ხელში უნდა მოექცეს; ამასთანავე დასაზღვევ გადასახადთა შესაფერისი ნაწილი უნდა გადაეცეს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს მუშებისათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმის მოსაწყობად.

განსაკუთრებულ საფაბრიკო-საქარხნო მედიცინის ორგანიზაცია უნდა უარყოფილ იქნეს და საექიმო დახმარების საქმის მოწყობა ხელშეკრულების საფუძვლებზე უნდა დაევალოს მსხვილ სამეურნეო ორგანოებს, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით და მისი კონტროლის ქვეშ იმოქმედებენ.

იმ მიზნით, რომ მუშების მკურნალობის საქმე მართლაც ფართოდ იქნეს დაყენებული და იგი ორგანიზაციულად დაუახლოვდეს

შუშებს, პროფკავშირთა საბჭოებს მართებთ შესაფერ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატებთან ერთად შეიმუშავონ კონკრეტული გეგმა ამ საკითხის გარშემო.*)

როგორც ამ რეზოლუციიდანა სჩანს, კამათი: შრომის სახალხო კომისარიატი თუ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი, ყრილობამ პირველის სასარგებლოდ გადასწყვიტა. საექიმო დახმარების ორგანოების სტრუქტურის საკითხის შესახებ კი, რეზოლუციიაში ის აზრი იყო გატარებული, რომ მისი გადასწყვეტა ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით უნდა მომხდარიყო, რაც ფაქტიურად კიდევაც იქნა მიღწეული ტფილისში: ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატთან შეიქმნა საგანგებო სამკურნალო ქვეგანყოფილება, რომელსაც დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმის მოწყობა დაევალა. †

ეკვი არაა, პროფკავშირთა ამიერ-კავკასიის პირველი ყრილობის დადგენილებამ საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატის პოზიცია სოციალურ დაზღვევის დარგში საგრძნობლად განამტკიცა და ტფილისის ცენტრალურ დამზღვევ კასის განვითარებისათვის უფრო ნორმალური პირობები შექმნა; მაგრამ ყრილობის დადგენილებაში არ იყო სწორად გარკვეული თვით კასების ფუნქციები და სტრუქტურა.

ამ მხრივ არც რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში იყო უკეთესად საქმე.

იქაც ეძიებდნენ და იხილავდნენ სოციალურ დაზღვევის ორგანიზაციის სტრუქტურის საუკეთესო ფორმებს; იქაც უნდოდათ გამოეწახათ სოციალურ დაზღვევის ორგანოებისა და პროფესიონალურ კავშირებს შორის ურთიერთობის საუკეთესო ფორმები.

ასეთი გაურკვეველობა და სოციალური დაზღვევის პროფმობრაობისაგან მოწყვეტილობა რუსეთის პროფკავშირთა მეხუთე ყრილობამდე გრძელდებოდა.

მეხუთე ყრილობამ, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, საორგანიზაციო საკითხებში არსებულ გაურკვეველობას ბოლო მოუღო, სოციალურ დაზღვევას სწორი მიმართულება მისცა, გაარკვია მისი ადგილი პროფესიონალურ მოძრაობაში და ხაზი გაუსვა შრომის დაცვის და სოციალურ დაზღვევის ორგანოების ინტერესთა ერთიანობას.

*) იხ. პროფ. კავშირთა ამიერ-კავკასიის პირველი ყრილობის ანგარიში 1922 წლის 9 მარტის თარიღით, გვ. 202—203.

პრუჟკავშირთა სრულიად რუსეთის მახუთა პრილოზის დაღანილვაჲში.

ყრილობის რეზოლუციაში სოციალურ დაზღვევის შესახებ, სხვათა შორის შემდეგი დებულებები არის აღნიშნული: „რამდენადაც სოციალური დაზღვევა და შრომის დაცვა ერთ და იმავე საქმის ორ გა-

ნუწყებტელ, ერთმანეთთან დაკავშირებულ მხარეს შეადგენენ,—იმდენად დაზღვევის მუშაობა შრომის დაცვის ორგანოების (შრომის ინსპექციები, ტეხნიკური და სანიტარული) მოქმედებასთან მკიდრო კავშირით უნდა მიმდინარეობდეს. ამ პრაქტიკულ მოსაზრებათა მიხედვით და აგრეთვე იმ მიზნით, რომ პროფესიონალური კავშირების რეალური გავლენა მთელ დაზღვევის პოლიტიკასა და მოქმედებაზე ნაშდევილად უზრუნველყოფილი იქნეს და კერძოთ დამზღვევ ორგანიზაციების ხელმძღვანელობა და მათზე კონტროლის გაერთიანება განხორციელდეს,—სოციალური დაზღვევა შრომის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში უნდა მოთავსდეს.

სოციალურ დაზღვევის გამტარებელ ორგანოებს წამოწყებებში არჩეული დამზღვევი კასები წარმოადგენენ. დამზღვევ კასებს მხოლოდ პროფკავშირები აწყობენ და მათი არჩევა საერთო ან და საგანგებოდ ამისათვის მოწვეულ პროფკავშირთა კონფერენციებზე ხდება. დამზღვევი კასები, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებს წარმოადგენენ, შრომის სახალხო კომისარიატის უშუალო ხელმძღვანელობისა და დირექტივების მიხედვით მუშაობენ. მთელ პასუხისმგებლობას სოციალურ დაზღვევის საქმეში შრომის სახალხო კომისარიატი იღებს.

დამზღვევ კასების მიერ საექიმო დახმარების დამოუკიდებელი ორგანიზაცია მიზანს ვერ მიაღწევს, მუშაობაში საზიანო პარალელებს შეიტანს, სახსრების უეკონომიო ხარჯვას გამოიწვევს, და საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში გვემის მთლიანობას აუცილებლად დაარღვევს. მხოლოდ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის ორგანოებს შეუძლიანთ დაზღვეულთა უზრუნველყოფა, და კვალიფიციურ სამკურნალო დაწესებულებების არსებულ ქსელის მღშებთან დაახლოვება. ამის მიღწევა ხსენებულ ორგანოებს შეუძლიანთ იმიტომ, რომ მათ გათვალისწინებული აქვთ დაზღვევის გადასახადები, როგორც დამატება ყველა იმ სახსრებისა, რომელიც მათ განკარგულებაში იმყოფება“.*)

*) იხ. სრ. რუსეთის კავშირების ყრილობებისა და კონფერენციების გზის მაჩვენებელი გვ. 521—522—523.

საბჭოთა დაზღვევის კანონმდებლობის შემდეგი განვითარება ამ დადგენილების საფუძველზე წავიდა.

შემდეგში დაზღვევის კანონმდებლობის უველა ძირითადი დებულება შევიდა შრომის შესახებ კანონთა კოდექსში (მუხ. მუხ. 175—192), რომელიც 1922 წ. ოქტომბრის 30 თარიღით რუს. სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მიერ იქნა დამტკიცებული.

დაზღვევის ორგანიზაციის არსებული სტრუქტურა. ამჟამად დამზღვევ კასების ორგანიზაციული სტრუქტურა შემდეგში მდგომარეობს:

კასას განაგებს განგეობა და მუშაობს სარევიზიო კომისიის უშუალო კონტროლის ქვეშ. განგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა ერთი წლის ვადით საფაბრიკო და საქარხნო კომიტეტებისა და ადგილკომების საერთო საქალაქო (სარაიონო) კონფერენციებზე ხდება.

კასის გამგეობა სარაიონო კონფერენციებსა და მსხვილ წამოწყებათა მუშების საერთო კრებებზე ანგარიშს თავის მუშაობის შესახებ პერიოდულად ადგენს.

გამგეობა ხელმძღვანელობს კასის მუშაობას, აძლევს მას საერთო მიმართულებას და ყველა პრინციპიალურ საკითხებს სწვევტს. დაზღვევის კანონების განხორციელება, გადაჭრა პრაქტიკულ საკითხებისა, როგორც არის დახმარების გაცემა, პენსიის დანიშვნა, დასაზღვევ ანარიცხების შემოსვლაზე ზედამხედველობა და სხვა, დამზღვევ კასის გამგეობის პრეზიდიუმის მოვალეობას შეადგენს. კასის პრეზიდიუმსა და თავმჯდომარეს კასის გამგეობა ირჩევს; პრეზიდიუმში 5—7 კაცის შემადგენლობით ირჩევა. სარევიზიო კომისია პერიოდულად ამოწმებს ფულად შემოსავალს და კასის ხარჯებს, იძლევა შენიშვნას თუ ვინცობაა წესის რაიმე დარღვევა აღმოაჩინა და დამნაშავეთა წინააღმდეგ შესაფერის ზომებს ლებულობს (სამუშაოდან მოხსნა, პასუხისგებაში მიცემა და სხვა).

თავის მოქმედებაში დამზღვევი კასა სოციალურ დაზღვევის რესპუბლიკანურ სამმართველოს ექვემდებარება.

სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანური სამმართველო შრომის სახალხო კომისარიატის ფუნქციონალურ განყოფილებას შეადგენს; მისი კოლეგია სათათბირო ორგანოა, რომლის ყოველი დადგენილება შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ უნდა დაამტკიცოს. ამრიგად, დამზღვევი კასები, რომლებიც არჩეულ ორგა-

ნოებს წარმოადგენს, საკავშირთაშორისო გაერთიანებათა (პროფ-საბქო, სამაზრო პროფბიურო) და შრომის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობით მუშაობენ.

რას იძლევა დაზღვე- ვის კანონები.

მას შემდეგ, რაც ჩვენ უკვე გავეცანით მოკლედ სოციალური კანონმდებლობის და დამზღვევ ორგანოების განვითარებას საბ-ქოთა საქართველოში და რუს. სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკაში, სა-ქიროა საგანგებოდ აღვნიშნოთ ის უფლებები, რომლებითაც თანახ-მად ამჟამად მომქმედ (1925 წ. დეკემბერი) საბქოთა დაზღვევის კა-ნონებისა, დაზღვეულები სარგებლობენ.

დამზღვევი კასები ამჟამად სოციალურ დაზღვევის შემდეგ სა-ხეებს ანხორციელებენ:

1. დახმარებათა გაცემა შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო (ავადმყოფობა, დასახიჩრება, ფეხმძიმობა, მშობიარობის შემ-დეგი პერიოდი, კარანტინი, ოჯახის ავადმყოფ წევრის მოვლა).

2. დამატებითი დახმარებათა გაცემა: ბავშვის საკვებად, ბე-შვის სამზითოვ, დასაპარხი.

3. პენსიების გაცემა შრომის უნარის მუდმივად დაკარგვის გა-მო (ინვალიდობა).

4. დახმარებათა გაცემა უმუშევრობის შემთხვევაში.

5. დაზღვეულთა ოჯახების წევრთათვის პენსიებისა და დახმა-რების მიცემა მარჩენალის დაკარგვის ან და გარდაცვალების შემთხე-ვაში.

6. უფასო საექიმო დახმარების აღმოჩენა (ამბულატორული, სახლში, საწოლით).

ამრიგად, დამზღვევი კასები ანხორციელებენ სოციალური და-ზღვევის ყველა სახეებს ერთის გამოკლებით, სახელდობრ: დაზღვე-ვას სიბერის შემთხვევაში (ჰასაკის ნიშნის მიხედვით).

დაზღვეულებათ დაქირავებულ შრომის ყველა პირი ითვლება. ასეთია დაზღვეულთა ძირითადი უფლებები.

ქვემოთ ჩვენ უფრო ვრცლად შევიჩრდებით იმ დახმარებათა და პენსიების კონკრეტულ სახეებსა და რაოდენობაზე, რომელთაც ტფილისის დამზღვევი კასა იძლევა. ახლა კი დამზღვევ კასების ფი-ნანსებს გავეცნოთ.

**დასახლვევი სახ-
სრები.** სოციალური დაზღვევის განხორციელება დიდ სახსარს მოითხოვს. როგორც ჩვენ უკვე ვიცით, სოციალურ დაზღვევისათვის საჭირო ხარჯები საბჭოთა დაზღვევის კანონმდებლობის მიერ საესებით დამკირავებლებზე არის დაკისრებული. თვით დაზღვეულებს, ესე იგი მუშებსა და მოსამხახურეებს, დამზღვევ კასებში არავითარი გადასახადები არ შეაკვთ.

დასახლვევ გადასახადთა რაოდენობა რამოდენიმეჯერ ნეიცვალა.

ს. ს. ს. რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატის თავდაპირველი დადგენილების მიხედვით (1921 წლის აპრილის 15-ის თარიღით) საავადმყოფო კასაში შესატან გადასახადთა რაოდენობა ყველა დაზღვევთათვის დაზღვეულის სამუშაო ხელფასის საერთო თანხის 10% -ით იყო განსაზღვრული.

ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ 1922 წლის მაისის 30-ს დასახლვევ გადასახადთა შესახებ მიღებულ დადგენილებით (№ 23) იგივე წესი და რაოდენობა დაადასტურა.

შეზღვევში, ს. ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით, რაც 1922 წლის ოქტომბრის 8-ს იქნა გამოკვეყნებული, დაზღვევის ტარიფი 2% -ით გადიდა, ესე იგი 12% -მდე იქნა აყვანილი. გადიდება უმუშევართა დაზღვევისათვის მოხდა.

აღნიშნული დასახლვევი განაკვეთები 1922 წლის ბოლომდე მოქმედებდა.

ანიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს დეკრეტით, რაც 1923 წლის იანვრის პირველს იქნა გამოკვეყნებული, მოქმედებაში შეზღოლებულ იქნა ახალი დაზღვევის ტარიფი, რომელიც წინად არსებულებიდან განსხვავდებოდა როგორც დასახლვევ განაკვეთების სიმაღლით, ისე მათი განსაზღვრის ძირითადი პრინციპებით.

ეს დეკრეტი ყველა დამზღვეველს სამ ძირითად ჯგუფად კყოფდა:

პირველი ჯგუფი: კერძო, საიჯარო, საკონცესიო, სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილნი (ნაწილობრივ ან და საესებით) წამოწყებანი და დაწესებულებები.

მეორე ჯგუფი: აღმინისტრატული—საბჭოთა დაწესებულებები (სახალხო კომისარიატები და მათი ორგანოები აღგილებზე), რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებოდნენ,

მესამე ჯგუფი: წამოწყებანი, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებოდნენ.

პირველი ჯგუფის წამოწყებანი და წარმოებანი საშიშროების და მავნებლიანობის მიხედვით ოთხ თანრიგად იყოფოდნენ:

დაწესებული იყო დასახლვევ გადასახადთა შემდეგი განაკვეთები:

პირველი ჯგუფი.

თ ა ნ რ ი გ ე ბ ი	დროებით შრომის უუნარიანობისა და უზრუნველყოფის დამატებ. სახეებისათვის	ინვალიდობისათვის	უმუშევრობისათვის	საექიმო დახმარებისათვის	ს უ ლ
პირველი თანრიგი საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით.	6% ⁰	7% ⁰	2,5% ⁰	5,5% ⁰	19% ⁰
მეორე თანრიგი საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით .	7% ⁰	8% ⁰	2,5% ⁰	6% ⁰	23,5% ⁰
მესამე თანრიგი საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით .	8% ⁰	9% ⁰	2,5% ⁰	6,5% ⁰	26% ⁰
მეოთხე თანრიგი საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით .	9% ⁰	10% ⁰	2,5% ⁰	7% ⁰	28,5% ⁰

მეორე ჯგუფს

უნდა შეეტანა 15%⁰-ის რაოდენობით სოციალური დაზღვევის ცალკე სახეების შემდეგი განაწილების მიხედვით:

- ა) შრომის დროებით უუნარიანობისათვის 5,5%⁰
- ბ) ინვალიდობისათვის 4,5%⁰
- გ) უმუშევრობისათვის 2%⁰
- დ) საექიმო დახმარებისათვის 3%⁰.

მესამე ჯგუფს

უნდა შეეტანა 17%⁰-ის რაოდენობით სოციალური დაზღვევის ცალკე სახეების შემდეგი განაწილების მიხედვით:

- ა) შრომის დროებით უუნარიანობისათვის 6,5%⁰
- ბ) ინვალიდობისათვის 5,5%⁰
- გ) უმუშევრობისათვის 2%⁰
- დ) საექიმო დახმარებისათვის 3%⁰

შემდეგში დაზღვევის ტარიფი, საერთო ეკონომიურ პირობებისა გამო, შემცირებულ იქნა.

მომავალი და- თანახმად საკავშირო ცენტრალურ აღმასრუ-
ღვევის ტარიფი. ლებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა
 საბჭოს 1925 წლის თებერვლის 26-ის დადგე-
 ნილებისა, დასაზღვევ გადასახადთა შემდეგი ტარიფი იქნა დამ-
 ტკიცებული.

	ანარიცხების %, იმ ფონდებში, რომე- ლიც დამზღვევ ორ- განიების განკარგუ- ლებაში იხილდება	ანარიცხების პრო- ცენტი საეკონომ და- ხმარების ფონდში	ს ა ზ
ა. ნორმალური ტარიფი			
ყველა დაწესებულება და წამოწყე- ბებისათვის იმათ გარდა, რომლებიც აღნიშნულ მუხლის „ბ“-ს ნაწილში არიან ჩამოთვლილნი.			
პირველი თანრიგისათვის საშიშროე- ბისა და მავნებლობის მიხედვით . .	11,5	4,5	16,0
მეორე თანრიგისათვის საშიშროებისა და მავნებლობის მიხედვით	13,0	5,0	18,0
მესამე თანრიგისათვის საშიშროების და მავნებლობის მიხედვით	14,0	6,0	20,0
მეოთხე თანრიგისათვის საშიშროები- სა და მავნებლობის მიხედვით	15,5	6,5	22,0
ბ. დროებითი შეღავათიანი ტარიფი.			
I. ა) წამოწყებებისათვის, რომლებიც სა- ხელმწიფო და ადგილობრივ ბიუ- ჯეტზე იმყოფებიან			
	6,5	3,5	10,0
ბ) სამხედრო მრეწველობის მთავარ სამმართველოს წამოწყებებისა და სამ- ხედრო და საზღვაო საქმეთა სახალ- ხო კომისარიატის სამრეწველო წა- მოწყებებისათვის			
	6,5	3,5	10,0
გ) სახელმწიფო წამოწყებებისათვის, მთა დამამუშავებელ (ქვანახშირის, მა-			

	ანალოგიური ფუნქციონირების უზრუნველყოფის ხარისხი	ანალოგიური ფუნქციონირების უზრუნველყოფის ხარისხი	Σ Σ Σ
დანის, ფიქალის, წანახშის და სხვა-თა) მრეწველობისათვის, ნავთის, მარილის და ოქრო-უქრის და რადიოს დამამუშავებელ მრეწველობის გამოკლებით	6,5	3,5	10,0
დ) სახელმწიფო ლითონის სამრეწველო წამოწყებებისათვის (მეტალურგია, მსხვილი მანქანათმშენება, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენება და ლითონის დამამუშავება), რომლებიც აღნიშნულ მუხლის პირველ შენიშვნაში გათვალისწინებულ სივრცეში არიან ჩამოთვლილნი	6,5	3,5	10,0
ე) საერთო საკავშირო და რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ელექტრო-ტექნიკურ მრეწველობის წამოწყებებისათვის	6,5	3,5	10,0
II. გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფ ტრანსპორტის ყველა სახის წამოწყებებისათვის, მათ შორის მათთვისაც, რომლებიც კომერციულ ანგარიშის საფუძველზე მოქმედებენ და აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოთა ექსპლუატაციაში მყოფ მდინარეებისა და საზღვაო გემთათვისაც, დამხმარეთა გამოკლებით, რომელთა ტარიფიკაცია შესაბამის მუხლის მიხედვით სწარმოებს	7,5	4,5	12,0
III. ა) სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებისა, და მათ შორის სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ყველა დაწესებულებებისათვის, რომლებიც მუშათა და გლეხთა წი-			

	ანარიცხების "1" იმ ფონდებში, რომელშიც დაბეჭდვის განივობის განკარგულებაში იმყოფება	ანარიცხების კონცენტრირებული საკომპლექსო ფონდები	№ წ/წ
თელი არმიის და მუშათა და გლეხთა წითელი ფლოტის ნორმაში შედიან და რომელთა შენახვა საერთო-საკავშირო ბიუჯეტით სწარმოებს (საწყობების, სახელოსნოების, სასტრასათო მალაჩების, და სხვა) . .	7,5	2,5	10
ბ) სამრეწველო წამოწყებათა ცენტრალურ სამმართველოებისათვის, რომლებიც შეღავათიან ტარიფის პირველ ჯგუფზე არიან მიკუთვნებული, ამ სამმართველოთა განყოფილებებისა და წარმომადგენლობებისათვის, რკინისგზის და წყლის ტრანსპორტის გამგეობათა და სამმართველოებისათვის .	7,5	2,5	10
გ) კომუნალურ მეურნეობის უმომგებიანო წამოწყებებისათვის. თანახმად საგანგებო სიისა, რომელსაც სოციალური დახლევის საკავშირო საბჭო აწესებს	7,5	2,5	10
დ) პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციებისა, სოციალურ დახლევის ორგანოებისა და აგრეთვე მათ წამოწყებებისათვის .	7,5	2,5	10
ე) ოქრო-უქრის და რადიოს ამომღებ მრეწველობის ყველა სახელმწიფო და კერძო წამოწყებებისათვის .	7,5	2,5	10
ვ) რესპუბლიკანურ მნიშვნელობის კურორტებისათვის .	7,5	2,5	10
IV. ექსპორტზე მომუშავე ტყის მრეწველობის სახელმწიფო წამოწყებებისათვის .	10	4,0	14.0

დასაზღვევ გადასახადთა გამოანგარიშებისას მხედველობაში, მიღებული უნდა იქნეს მთელი თანხა, რომელსაც კი დამქირავებელი დაზღვეულს აძლევს: ზედმეტ სამუშაოს, დატვირთვისას, პრემიალურს ტანტიემას და სხვა.

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე

სოციალური დაჯდვევის ტფილისის კასის პრაქტიკა.

მას შემდეგ, რაც ჩვენ უკვე გავეცანით საბჭოთა დაზღვევის კანონმდებლობის განვითარების საერთო სვლას საქართველოში და ვიცით თუ როგორ წარმოიშვა ტფილისის დამზღვევი კასა, ჩვენ გვმართებს ავლნიშნოთ ამ კასის პრაქტიკაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველს არ ექნება სრული წარმოდგენა სოციალურ დაზღვევის რეალურ საარგებლობის თაობაზე.

მაშ ასე, როგორი იყო ტფილისის დამზღვევი კასის პრაქტიკა? იგი უმთავრესად შემდეგ დამახასიათებელ პერიოდებათ განიყოფება.

პირველი პერიოდი: 1921 წლის აპრილი—აგვისტო. გამოიკა საბჭოთა დაზღვევის კინონი, მაგრამ ყველა დაზღვეული მას ჯერ კიდევ არ იცნობს. კასის ფინანსები არ არის გამორკვეული. დამზღვეველებს კასაში ფული სრულიად არ შეაქვთ. კასას სახელმწიფო აწვდის ფინანსებს. სამუშაო ხელფასის ძირითადი ნაწილი ულუფაა, დამზღვევი კასა კი სამუშაო ხელფასის მხოლოდ ფულად ნაწილს იძლევა. კასის მთავარ ფუნქციებს შეადგენს: დახმარებათა გაცემა ავადმყოფობის შემთხვევაში, დამატებითი სახეებით და საექიმო დახმარების აღმოჩენა. კასის გამგეობა უფრო მეტს კასის შემდეგი ბედის საკითხის გადაჭრაზე ჰფიქრობს. დამზღვევ კასის ცხოვრებაში ეს პერიოდი შეიძლება დახასიათდეს როგორც გარდამავალი პერიოდი, რომელიც მოკლებულია ინტენსივობას.

მეორე პერიოდი: 1921 წლის აგვისტოდან 1922 წლის აგვისტომდე. კასის ფუნქციები საექიმო დახმარების დარგში საგრძობლად ფართოვდება. დახმარებათა რაოდენობა ოთხჯერ დიდდება. ფულადი დახმარების ზოგიერთი სახე ნატურით იცვლება (დამარხვა, ბავშვის მზითვი, ულუფა გაძლიერებულ კვებისათვის). საერთო-საქალაქო კასა ფაქტიურად რესპუბლიკანურ კასად იქცევა. კასის ფინანსიური მდგომარეობა ცოტათი უმჯობესდება, თუმცა იგი მაინც მძიმე რჩება. დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილება ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადადის.

ნესამე პერიოდი: 1922 წლის აგვისტოდან—1923 წლის იანვრის პირველამდე.

დასახლვევ გადასახადების აკრებას უკვე კასა აწარმოებს, რაც მის ფინანსიურ ბაზას საგრძნობლად ამტკიცებს. კასის ფუნქციები ფართოვდება: იგი უკვე აძლევს ფულად დახმარებას უმუშევრებს, პენსიებსა და დახმარებას შრომის ინვალიდებსა და დაზღვეულთა ოჯახის დაობლებულ წევრებს. აწყობს ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფოს 110 საწოლით.

მეოთხე პერიოდი: 1923 წ. იანვრიდან—1924 წლის ჩათვლით. ამ პერიოდში ორგანიზაციულად კასა უკვე ჩამოყალიბდა. იგი ემსახურება მხოლოდ ტფილისს და მის მაზრას. უკანასკნელის ინტერესების დაკმაყოფილება ადგილებზე მყოფ საგანგებო რწმუნებულთა საწვლავებით სწარმოებს. სოციალური დაზღვევის მასებთან დაახლოვების მიზნით, ქალაქის მუშათა რაიონებში საგანგებო დახმარებათა გამღები პუნქტები ეწყობა, კასის ფინანსები უფრო მტკიცე ხასიათს ღებულობს; დამზღვეველები ახლა უფრო კარგათ არიან გაცნობილნი თავიანთ ანარიცხების რაოდენობას და წესიერათაც იხდიან მას. სოციალური დაზღვევის იდეა უკვე მშრომელი მასების ფართო ფენებამდე აღწევს, მტკიცდება კავშირი პროფესიონალურ კავშირებთან და უკანასკნელთა გავლენა კასების მოქმედებაზე მატულობს, დაზღვეულ უმუშევართა და შრომის ინვალიდთა წრე იზრდება. იზრდება აგრეთვე ყოველგვარ დახმარების ნორმები. ერთ დაზღვეულზე ამ პერიოდში სამ ნახევარჯერ უფრო მეტი იხარჯება ვიდრე წინა პერიოდში. მაგრამ მტკიცე ვალიუტის უქონლობა კასების მოქმედებას აძნელებს და გაცემულ დახმარებათა ღირებულებას ამცირებს. დაზღვეულთა საკურონალო ქვე განყოფილების მოქმედების სუერო ამ პერიოდში ბევრად უფრო ფართოვდება.

მეხუთე პერიოდი: ეს უკანასკნელი პერიოდი დადგა 1924 წლის დასაწყისიდან, როცა ფულის რეფორმა იქნა გატარებული, და იგი დღემდე გრძელდება. ეს პერიოდი სოციალურ დაზღვევის დარგში, განუწყვეტელ ზრდის პერიოდათ უნდა იქნეს ცნობილი. ფულადი დახმარების ყველა სახე საგრძნობლად იზრდება. იზრდება დაზღვეულთა წრე. სოციალურ დაზღვევის იდეა დაზღვეულთა წარის ფართო გავრცელებას ჰპოულობს. სამეურნეო ორგანოების კავშირი დაზღვეულთა მასებთან და პროფესიონალურ კავშირებთან ძლიერდება. იზრდება კასის პროფილაქტური ღონისძიებანი. დაზვეულთა და დამზღვეველთა აღრიცხვის საქმეში ამ პერიოდში თვალსაჩინო წარმატება ხდება. კასის ფინანსიური ძლიერება დიდ სიმტკიცეს

ჰპოულობს, მაგრამ ჯერ კიდევ არ იკრიბება დასაზღვევ გადასახად-
თა მთელი ასი პროცენტი. ამ პერიოდში დაზღვეულთათვის საექიმო
დახმარების აღმოჩენის დარკვშიაც დიდი წარმატებანი იქნა მიღ-
წეული. საგრძნობლად იზრდება სამკურნალო-დაწესებულებათა რიც-
ხვი. ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში საბავშვო კონსულტაციის სა-
განგებო პუნქტები ეწყობა. საბავშვო ბაგეები სამკურნალო ქვეგან-
ყოფილების გამგებლობაში გადადიან: იხსნება ახალი ბაგეები. შემო-
დის ახალი სისტემა საექიმო დახმარების სახლში აღმოჩენისა, რაც
საექიმო დახმარების ამ სახეს საგრძნობლად აუმჯობესებს. იხსნება
ტალახის სამკურნალო. კვალიკიციურ საექიმო დახმარების ორგანი-
ზაციაში გაუმჯობესება ხდება.

პროტეზების გაცემა დიდად ვითარდება. დაზღვეულთა საე-
ქიმო დახმარების სამკურნალო ქვეგანყოფილება, კ. ტფილისის და
მისი მაზრის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის გამ-
მგებლობიდან ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებაში გადა-
დის. სამკურნალო ქვეგანყოფილების საორგანიზაციო კავშირი
დამზღვევ კასასთან და პროფკავშირებთან უცვლელი რჩება. გადასეღა
საექიმო დახმარების საქმეს არ აუარესებს.

ასეთია სქემატიურად სოციალური დაზღვევის განვითარების
ძირითადი ფაზისები ტფილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყა-
რებიდან.

ეხლა თვალი გადავავლოთ კასის მოქმედებას სოციალური და-
ზღვევის ცალკე სახეების მიხედვით.

მაგრამ უპირველესად ყოვლისა გავითვალისწინოთ თუ რამდენ-
ნად შესძლო დამზღვევ კასამ დაქირაებულ შრომის ყველა პირის
თავის გავლენის ქვეშ დაყენება.

დაზღვეულთა რი- ცხვის მოძრაობა.

ტფილისის დამზღვევ კასის ცნობების მი-
ხედვით 1921—25 წლების განმავლობაში
დაზღვეულთა საერთო რიცხვი ტფილისში
უდრიდა:

წ ლ ე ბ ი	მონაწი- ლეობა სა- ერთო ცხვი	მათ შო- რის მამა- კაცები	0,000-ში	მათ შო- რის კა- ლები	0,000-ში
1921	29845	19500	65,3	10345	34,7
1922	38507	25651	66,6	12856	33,4
1923	31894	23908	74,9	7986	25,1
1924 (9 თვე)	21442	24192	76,9	7250	23,1
1925	36441	28506	78,2	7935	21,8

ეს ციფრები დაზღვეულთა რიცხვის მხოლოდ საერთო მოძრაობას ვვიჩვენებს; ამასთანავე 1921-23 წ. წ. კასის ცნობები უმთავრესად პროფკავშირების სტატისტიკურ ცნობებს ემყარება.

1924-25 წ. დამზღვეულთა და კასის მიერ დაზღვეულთა აღრიცხვა შედარებით უფრო სრულად სწარმოებდა, ამიტომ შემდეგში ჩვენ მხოლოდ ამ ორი წლის ცნობებით ვისარგებლებთ.

დაკავებულ სამუშაო ძალის და დაზღვეულთა რიცხვი

წ ლ ე ბ ი	დაკავებულ სამუშაო ძალა პირველ ოქტომბრისათვის	დაზღვეულთა რიცხვი პირველ ოქტომბრისათვის	დაზღვეულთა %
1924	35842	32241	89,9
1925	42987*)	38359	89,2

ამრიგად 1924 წელში დამზღვევე კასის მიერ ფორმალურად 3601 ანუ 10,1% ი-ი არ ყოფილა დაზღვეული, 1925 წელს კი 4,628 ესე იგი დაქირავებითა მომუშავეთა 10,8% ი. იმავე ცნობების მიხედვით დაკავებულ სამუშაო ძალის რიცხვი ტფილისში 1925 წელს 1924 წელთან შედარებით 19,9% ი-ით გაიზარდა, დაზღვეულთა რიცხვი კი 18,9% ი-ით.

ამრიგად დაქირავებულ შრომის პირთა ერთი მეათედი ქ. ტფილისში ფორმალურად დაზღვევის კანონმდებლობის მოქმედების სფეროს გარეშე იყო დატოვებული

რით აიხსნება ეს?

ეს მოვლენა იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ დამზღვევე კასების მიერ დაზღვეულების აღრიცხვა ვერ იყო მოწესრიგებული, ვინაიდან ფაქტიურად დამზღვევე კასას დაქირავებულ შრომის გაცილებით მეტ პირთა რიცხვი ჰყავდა დაზღვეული. ეკვი არაა, დაქირავებულ შრომის პირთა ერთი ნაწილი, უმთავრესად კი ერთეულები, ხელზე მოსამსახურენი, წვრილ ხელოსანთა შეგირდები და სხვა სოციალურ დაზღვევის მიერ დღემდე არ არიან მოცულნი; მაგრამ თუ რა ნაწილია ეს ნაწილი—ამის სისწორით გამორკვევა ძნელია.

*) ს. პ. კ. ს. სტატბიურის ცნობების მიხედვით.

სახალხო მეურნეობის ტიპების მიხედვით დაზღვეულები შემდეგ ნაირად ნაწილდებიან:

ტიპები	1924 წლის პირველ ოქტომბრისათვის			1925 წლის პირველ ოქტომბრისათვის		
	სამეურნეო ერთეულთა რიცხვი	დაზღვეულთა რიცხვი	"ი" დაზღვეულთა საერთო რიცხვიდან	სამეურნეო ერთეულების რიცხვი	დაზღვეულთა რიცხვი	"ი" დაზღვეულთა საერთო რიცხვიდან
სახელმწიფო	372	24625	76,4	358	28028	73
კოოპერატიული და საზოგადოებრივი	188	2822	8,8	238	4246	11
კერძო და საიჯარო	2065	4794	14,8	1775	6085	16
სულ	2625	32211	100	2371	38359	100

საშუალოდ ერთ სამეურნეო ერთეულზე დაზღვეულების შემდეგი რიცხვი მოდის.

წლები	სახელმწიფოში	კოოპერატიულ საზოგადოებრივში	კერძო და საიჯაროში
1924	66,2	15,0	2,3
1925	78,3	17,9	3,4

ამ ცნობებიდანა სჩანს, რომ სახელმწიფო წამოწყება-დაწესებულებათა რიცხვი 1925 წელში 3,8%-ით შემცირდა, მაგრამ დაზღვეულთა საერთო რიცხვი 14,1%-ით გაიზარდა, რაც წარმოების შემქმნელობით უნდა აიხსნას. იმავე ხნის განმავლობაში კოოპერატიულ და საზოგადოებრივ წამოწყებათა რიცხვი 26,6%-ით გაიზარდა, მათში დაზღვეულთა რიცხვი კი 50,5%-ით. კერძო და საიჯარო დაწესებულებათა რიცხვი 26,9%-ით გაიზარდა.

კასის ფინანსიური მდგომარეობა ვიდრე შევეხებოდეთ კასის მოქმედებას სოციალური დაზღვევის ცალკე სახეების მიხედვით, ზედმეტი არ იქნება, თუ მის ფინანსების მდგომარეობასაც გავეცნობით. ცნობებს ფინანსების შესახებ ჩვენ მხოლოდ 1924 წლიდან, ესე იგი საქართველოში ფულის რეფორმის გატარების მომენტიდან მოვიყვანთ.

1924 წელს (9 თვის განმავლობაში) კასებს შემოუვიდა 1.286.673 მანეთი, ესე იგი საშუალოდ ერთ დაზღვეულზე თვეში 3 მან. 41 კაპ.; 1925 წელს—2.749.848 მანეთი, ესე იგი საშუალოდ ერთ დაზღვეულზე თვეში—5 მანეთი 97 კაპ., რაც 1924 წელთან შედარებით 75,7⁰/₁₀₀-ით მომატებას იძლევა.

ამ ცნობებიდან ნათლად სჩანს, რომ მიუხედავად დასაზღვევ გადასახადთა შემცირებისა შემოსულ თანხის საერთო რაოდენობა გაიზარდა; ამ მოვლენის მიზეზი უნდა მიეწეროს იმას, რომ დამზღვევ კასის გადასახადთა ამკრები აპარატი საგრძნობლად გაუმჯობესდა და სამეურნეო ორგანოებიც უფრო წესიერად იხდიდენ დასაზღვევ გადასახადებს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1925 წელს, შემოსატან თანხების დაახლოებით 90⁰/₁₀₀ შემოვიდა.

უზრუნველყოფა და ზღვევებისა დროებით ფარგლის უზნარიანობის გამო. როგორც უკვე ვიცით, ჩვენში მომკმედ დაზღვევის კანონით, დახმარება შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო, დაზღვეულს ეძლეოდა შრომის უნარის დაკარგვიდან ვიდრე განიკურნებოდა. დახმარება ეძლეოდა დაზღვეულის სრული ფაქტიური ხელფასის რაოდენობით.

ამ დებულებას ტფილისის დამზღვევი კასა ზოგიერთ გამონაკლისის გარდა სავსებით ანხორციელებდა.

დასაზღვევ გადასახადთა რაოდენობის შემცირების შემდეგ (1925 წლის თებერვალი) დახმარებათა რაოდენობა იმ პირობათვის, რომლებიც სამკურნალოდ სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში იყვნენ მოთავსებულნი, სოციალური დაზღვევის ცენტრალურმა სამმართველომ შეამკირა სამუშაო ხელფასის $\frac{1}{5}$ -მდე ოჯახიანებისათვის და $\frac{1}{2}$ -მდე მარტოხელთათვის. ამ დადგენილების წინააღმდეგ გამოდიოდნენ როგორც პროფკავშირები, მათ რიცხვში საქართველოს პროფსაბკოც, ისე ს. ს. რ. კავშირის დამზღვევ ორგანოების ნაწილი და მათ რიცხვში ტფილისის დამზღვევი კასაც.

ამის შედეგი იყო ის, რომ 1925 წლის ოქტომბერში, ეს დადგენილება გაუქმებულ იქნა და დაზღვეულები ამჟამად თავიანთ ხელფასს გარკვეულ საზღვრამდე სრულად ღებულობენ.

ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის 1924 წლის ივნისის 26-ს გამოქვეყნებულ დადგენილებით დახმარების რაოდენობა შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს არ შეიძლებოდა აღმატებოდა ხუთ მანეთს დღეში. შემდეგ ეს დადგენილება შეიცვალა. დახმარების ზღვარულ თანხად ამჟამად დღეში 7 მან. 50 კაპ. ითვლება.

დახმარების გამოანგარიშების დროს კასა მხედველობაში ღებულობს სამუშაო ხელფასის ყოველ სახეს: ზედმეტ სამუშაოსას, ნარდი ეუშაობისას, პრემიალურს და სხვა.

განალღებულ ღლეთა რიცხვი უღრიღა:

1921 წელს—97.165-ს, 1922 წელს—121.381-ს, 1923 წელს—168.343-ს, 1924 წელს (9 თვის განმავლობაში)—191.285-ს, 1925 წელს—354.320-ს, რაც კასის ყოველ ას მონაწილეზე შეადგენს:

წ ლ ე ბ ი	ავადმყოფობის რიცხვი	გაცდენილ ღლეების რიცხვი
1921	16,2	326
1922	15,5	325
1923	28,2	528
1924 (9 თვის განმ.)	36,8	608
1925	71,5	993,6

1924 წელს განალღებულ ღლეთა რიცხვი კასის ყოველ 100 მონაწილეზე ს. ს. რ. კავშირის ცალკე რესპუბლიკების მიხედვით გამოიხატა:

1. რუს. საბჭ. ფედ. სოც. რესპ. (შორეულ აღმოსავლეთის გამოკლებით) 1045,7
2. უკრაინის საბ. სოც. რესპუბლიკა 923,4
3. ბელორუსიის საბ. სოც. რესპუბლიკა 718,8
4. ს. ს. რ. კავშირში (ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. და შორიულ აღმოსავლეთის გამოკლებით) 992,5*)

*) იხ. სოციალური დაზღვევა 1924—25 წ. 1925 წლის გამოცემა გვ. 26—27

ამრიგად ტფილისის დამზღვევე კასის მონაწილეთა შორის დაავადყოფება თანდათან იზრდებოდა და მან 1925 წელს მიაღწია საშუალო ნორმებს, როგორც ს. ს. რ. კავშირში 1924 წელს არსებობდა.

რაც შეეხება ფაქტიურ სამუშაო ხელფასის ანაზღაურებას შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს, უნდა ითქვას, რომ 1924 წლიდან მოყოლებული კასა შრომის შესახები კანონების კოდექსის ამ მოთხოვნილებას (179 მუხლი) ზემოდ აღნიშნულ გამონაკლისების გარდა პირწმინდათ ანხორციელებდა.

დახმარების და- მატებითი სა- ხეები. როგორც ცნობილია დახმარების ასეთ სახეების ქვეშ იგულისხმება: ა) უზრუნველყოფა კასის მონაწილე ქალებისა ფეხმძიმობის და მშობიარობის მემთხვევებში, ბ) ერთდროულ დახმარების გაცემა ბავშვის მოსაეღვლადა, გ) დახმარების გაცემა ბავშვის საკვებათ, დ) კასის მონაწილეთა და მათი ოჯახის წევრების დასაკრძალადა.

რომ უფრო ნათელი გახდეს დახმარების ეს დამატებითი სახეები ჩვენ მათ ცალკ-ცალკე შევხებით.

ა) კასის მონაწილე ქალების უზრუნველყოფა ფეხმძიმობისა და მშობიარობის შემთხვევაში.

შრომის შესახები კანონის კოდექსით დახმარება ეძლევა: ფაქტიურ სამუშაო ხელფასის რაოდენობით რვა კვირის განმავლობაში მშობიარობამდე და 8 კვირის განმავლობაში მშობიარობის შემდეგ ფიზიკურ შრომის წარმომადგენელ კასის მონაწილე ქალებს, და 6 კვირის განმავლობაში მშობიარობამდე და 6 კვირის განმავლობაში მშობიარობის შემდეგ—გონებრივ მუშაკებს.

ტფილისის დამზღვევი კასა კანონის ამ მოთხოვნისასაც საესებით ანხორციელებდა.

ფეხმძიმობის შემთხვევათა რიცხვი ას დაზღვეულზე და ფეხმძიმობის და მშობიარობის ყოველ შემთხვევის საშუალო ხანგრძლივობა გამოიხატა.

წ ლ ე ბ ი	მშობიარობის რიცხვი	ყოველ 1000 დაზღვეულზე მოდის		ფენძიმობისა და მშობიარობის ერთი შემთხვევის საშუალო ხანგრძლივობა
		ქალები	ორთავ სქესის	
1921 .	107	1,03	0,36	49,1 დღე
1922 .	245	1,90	0,64	61,6
1923 .	282	2,53	0,88	
1924 (9 თვე)	240	3,31	0,77	
1925 .	388	5,01	1,04	81,2

ზემოდ მოყვანილი ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ პარველ ყოვლისა მშობიარობა კასის მონაწილე ქალებს შორის განუწყვეტლივ იზრდება და მეორეს მხრივ კასის მონაწილე ქალების მიერ ფენძიმობისა და მშობიარობის შემთხვევაში დაწესებული შევებულება არ არის სრულიად გამოყენებული, რის გამოც შევებულების საშუალო ხანგრძლივობა 81,2 დღეს არ აღემატება (1925 წელს).

ეს საერთო მოვლენაა. მაგალითად რუსეთის საბჭ. ფედ. სოც. რესპუბლიკაში (არა სრული ცნობებით) 1924 წელს, შევებულების საშუალო ხანგრძლივობა მხოლოდ 79,8 დღეს უდრიდა. *)

რით აიხსნება ეს მოვლენა? ტფილისის დამხლვევი კასა არ იძლევა სწორ ცნობებს, რომლებსაც ამ მოვლენაზე შექვის მოფენა შეეძლო.

სტატისტიკოს ფ. დ. მარკუზონის აზრით ეს მოვლენა აიხსნება: ნაწილობრივ პრაქტიკაში მაკსიმალურ ვადების გამოუყენლობით, ნაწილობრივ კი მშობიარე ქალის მშობიარობის დროს ან და მასთან დაკავშირებულ გარდაცვალებით. ამას გარდა, მშობიარობის დროს, რომელიც გართულებით მიმდინარეობს და ავადმყოფთა სხვა ჯგუფში გადადის, მშობიარე ქალს დახმარება ეძლევა როგორც ავადმყოფობით გამოწვეულ შრომის უნარ დაკარგულს და მაშასადამე ფენძიმობისა და მშობიარობის გამა დახმარების ხანგრძლივობა— წყდება, მცირდება. **)

*) იხ. „სოციალური დახლვევა 1924 წელში“ გამოცემა „დახლვევის საკითხებისა“ 1925 წ. გვ. 34.

**) ფ. ს. მარკუზონი—„სოციალური დახლვევის სტატისტიკა“ გამოცემა 1, გვერდი 83.

კასის მონაწილეთა
ცოლუბის მშობიარობა-
რობა.

ტფილისის დამზღვევ კასის მონაწილეთა
ცოლუბის მშობიარობათა რიცხვის მოძ-
რაობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

წ ლ ე ბ ი	მშობიარობის რიცხვი	100 დაზღვეულზე მოდის შემთხვევა	
		მამაკაცის	ორივე სქესის
1921	505	2,59	1,69
1922	1319	5,19	3,42
1923	2186	9,15	6,85
1924	2454	10,14	7,80
1925	3706	13,00	10,17

ამ ცნობებიდან აშკარადა სჩანს, რომ ტფილისის დამზღვევ კასის მონაწილეთა ცოლებს შორის მშობიარობის შემთხვევები განუწყვეტლივ იზრდებოდა რაც შემდეგი გარემოებით აიხსნება: პირველ ყოვლისა დახმარების რაოდენობის გადიდების გამო დაზღვეულები კასას უფრო მომეტებულად მიმართავდნენ, მეორე—დაზღვეულების საერთო ეკონომიური პირობები გაუმჯობესდა, ეს კი მათ შეძლებას აძლევდა სახლში ზედმეტი მკამელი გაჩენოდათ.

ბ) დახმარების გაცემა ბავშვის მოსავლელად.

შრომის შესახები კანონების კოდექსით (მუხ. 183) ახლად შობილ ბავშვის მოსავლელად კასის მონაწილეს უნდა მისცემოდა დახმარება „სამუშაო ადგილის თვიური საშუალო ხელფასის რაოდენობით“. ფაქტიურად ს. ს. რ. კარშირში ყველგან და მათ შორის ტფილისშიც, გაცემულ დახმარების რაოდენობა უფრო მცირეა; სოციალურ დაზღვევის ორგანოებს კიდევ არ აქვთ ფინანსიური შესაძლებლობა—იმისთვის, რომ დაწესებული ნორმა განახორციელონ.

რაოდენობა დახმარებისა, რომელსაც ტფილისის დამზღვევი კასა იძლეოდა, განუწყვეტლივ იზრდებოდა და 1925 წლის ოქტომბერში საქართველოში არსებულ საშუალო ხელფასის ნახევარს მიაღწია (საშუალო ხელფასი 50 მანეთს უდრიდა), ესე იგი 25 მანეთს. თუ ავიღებთ შედარებითი ცნობებს დახმარების ამ სახის რაოდენობის შესახებ, დავინახავთ, რომ 10 მან. 50 კაპიკიდან რაც 1924 წლის

პირველ იანვრისათვის არსებობდა, 1923 წლის პირველ იანვრისათვის 25 მანეთამდე მიღწია, ესე იგი 138%-ით გაიზარდა.

გ) დახმარების გაცემა ბავშვის საკვებად.

ბავშვის საკვებად შრომის შესახები კანონების კოდექსის მიხედვით (მუხ. 183) დახმარება უნდა მიეცეს: „ამა თუ იმ ადგილის საშუალო სამუშაო ხელფასის ერთი მეოთხედის რაოდენობით“. დახმარება ეძლევათ „ყოველთვიურად 9 თვის განმავლობაში ბავშვის დაბადების დღიდან“.

ზემოდ აღნიშნულ ფინანსიურ მიზნებისა გამო ფაქტიურად გაცემულ დახმარებათა რაოდენობა ხსენებულ ნორმაზე გაცილებით ნაკლებია. რაც შეეხება გაცემის ვადას—ამ მხრივ კანონის მოთხოვნილებებიდან გადახვევის შემთხვევებს ადგილი არა აქვს.

ბავშვის საკვებ დახმარების რაოდენობა აგრეთვე ცვალებადობას განიცდიდა: იგი თანდათან იზრდებოდა. 1924 წლის იანვრის პირველიდან 1926 წლის პირველ იანვრამდე დახმარების ნორმა 2 მან. 70 კაპიკიდან 6 მან. 30 კაპიკამდე ესე იგი 133%-ით გაიზარდა. მათთვის კი, ვინც ბავშთა საკონსულტაციო პუნქტში საექიმო შემოწმების შესახებ შესაფერ საბუთს წარადგენდა დახმარების ნორმა 7 მან. 30 კაპიკამდე, ესე იგი 170%-ით გაიზარდა. საქმე იმაშია, რომ 1925 წელს ტფილისის დამზღვევ კასამ ბავშვის საკვებ დახმარების რაოდენობა გააძლიერა ერთი მანეთით იმ დაზღვეულთათვის, რომლებიც თავიანთ ბავშვებს ყოველთვიურად ამოწმებენ საბავშვო კონსულტაციის შესაფერ სარაიონო პუნქტში.

დ) დახმარების გაცემა კასის მონაწილეთა და მათი ოჯახების წევრების დასაკრძალავად.

შრომის შესახები კანონების კოდექსით (მუხ. 184) რაოდენობა დახმარებისა ამ დამატებითი სახით განისაზღვრება: „სამოქალაქო დაკრძალვის საშუალო ღირებულების რაოდენობით, მაგრამ არა უმეტეს ამა თუ იმ ადგილის თვიურ საშუალო სამუშაო ხელფასისა“.

კასის პრაქტიკაში ჩვენ ვხედავთ, რომ იგი დახმარების ამ სახის აღმოჩენის საქმეს სხედასხვა გვარად უდგებოდა. 1921—1922 წ. კასა ნაწილობრივად ნატურით დახმარებას მიმართავდა. შემდეგ წლებში დახმარების გაცემა მხოლოდ ფულით სწარმოებდა; ამასთანავე მისი რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდებოდა. 1924 წლის მაისში დახმარების რაოდენობა მოზარდებთან და მცირე წლოვანებათ (10 წლამდე) დაყოფით საგრძნობლად გაიზარდა. აქამდე დახმარება გარდაცვალებულის დასაკრძალავად ყველა ასაკისათვის ერთ და იმავე რაოდენობით იყო დაწესებული. 1925 წლის ოქტომბერში დახმარების რაოდენობა კიდევ არ გაზარდილა.

ამრიგად 1924 წლის იანვრის პირველიდან ვიდრე 1925 წლის იანვრის პირველამდე დახმარების რაოდენობა 10 მან. 50 კაპიკიდან მცირეწლოვანთათვის 25 მანეთამდე ავიდა, ესე იგი 138%-ით გაიზარდა, მოზრდილთათვის კი იმავე წლის განმავლობაში 10 მან. 50 კაპიკიდან 50 მანეთამდე ავიდა, ანუ 276%-ით გაიზარდა.

ამრიგად, დახმარების რაოდენობამ დასაკრძალავ თვით დაზღვეულთა და მათი ოჯახების მოზრდილ წევრებთან შედარებით 1925 წლის დასასრულს კანონით დაწესებულ ნორმამდე მიაღწია.

ახლა გადავხედოთ, თუ რას გვეუბნება ციფრები როგორც თვით კასის მონაწილეთა, ისე მათი ოჯახების წევრების მკვდოვნობის შესახებ.

1921--25 წ.წ. განმავლობაში სიკვდილის შემთხვევათა რიცხვის მოძრაობა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

წ ლ ე ბ ი	დაზღვეულთა სიკვდილის შემთხვევათა რიცხვი	ყოველ ას დაზღვეულზე წელიწადში მოდის	დაზღვეულთა ოჯახის წევრთა სიკვდილის შემთხვევათა რიცხვი	ყოველ ას დაზღვეულზე წელიწადში მოდის
1921	375	1,26	671	2,25
1922	352	0,92	985	2,56
1923	213	0,68	995	3,12
1924*)	160	0,51	688	2,19
1925	238	0,65	1194	3,27

ეს ცნობები გვიჩვენებს, რომ კასის მონაწილეთა შორის სიკვდილის შემთხვევები თანდათან ეცემა, რაც მშრომელთა საერთო ეკონომიურ პირობების გაუმჯობესების შედეგათ უნდა ჩაითვალოს. მაინც უნდა აღინიშნოს, რომ სიკვდილის პროცენტი 1921 და 1922 წლებში დიდი იყო.

ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის ცნობებით 1920 წელს, ყოველ 100 მონაწილეზე სიკვდილის 0,8 შემთხვევა მოდიოდა.

*) ცხრა თვის განმავლობაში.

თუ ავიღებთ, როგორც თვით მონაწილეთა, ისე მათი ოჯახების წევრთა სიკვდილის შემთხვევების საერთო რიცხვს, დავინახავთ:

წ ლ ე ბ ი	სიკვდილის შემთხვევათა საერთო რიცხვი	კასის ყოველ 100 მონაწილეზე წე-ლიწადში მოდის
1921	1046	3,5
1922	1337	3,4
1923	1208	3,7
1924	848	2,7
1925	1432	3,9

შრომის ინვალიდებისა და დაუღვეულთა ოჯახების დამოკლებულ წევრთა უზრუნველყოფა

სოციალური დაზღვევის ამ სახემ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაში საგრძნობი კანონმდებლობითი ცვლილება, გაფართოვება და გამახვილება განიცადა.

შრომის შესახებ არსებულ კანონების კოდექსმა ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს კანონში ინვალიდობის დაზღვევის შესახებ კორექტივი შეიტანა. 8 წლის შრომის სტაჟი მხოლოდ სიბერის გამო ინვალიდობისათვის იქნა შენახული; გაფართოვდა აგრეთვე უფლებები დაზღვეულის ოჯახის დაობლებულ წევრების მიერ პენსიის მიღებაზე.

ისევე როგორც წინედ, ინვალიდები, შრომის უნარის დაკარგვის დონეს მიხედვით ხუთ ჯგუფად იყვნენ დაყოფილნი. ინვალიდობის მიზეზი (დასახიჩრება ან და უძლურება სიბერის გამო) ისევე როგორც შრომის ინვალიდის სამუშაო ხელფასის რაოდენობა ანგარიშში არ მიიღებოდა.

ინვალიდობის ყოველ ჯგუფისათვის დახმარების განსაზღვრული ნორმა არსებობდა.

1924 წლის აპრილის 5-ს ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებით შრომის ინვალიდების და მათი ოჯახების წევრთა უზრუნველყოფის ნორმები შემდეგ ნაირად შეიცვალა.

ინვალიდებს, რომლებსაც 1924 წლის აპრილის ხუთამდე ჰქონდათ მიღებული დასახიჩრება და აგრეთვე მათი ოჯახების წევრებს პენსია შესაფერისი პროფესიის პირთა საშუალო ფაქტიურ სამუშაო

ხელფასის ვარაუდით ეძლეოდათ, მათთვის კი, რომლებსაც დასახიჩრება 1924 წლის აპრილის 5-ის შემდეგ ჰქონდათ მიღებული პენსიის საფუძვლად მიღებული იყო დასახიჩრებულის (ან დასახიჩრების გამო გარდაცვალებულის) ფაქტიური საშუალო ხელფასი სამი თვისა, (დასახიჩრებამდე წინა სამი თვის) ამ სამუშაო ხელფასის სამზე გაყოფით. შემდეგში, ს. ს. რ. კავშირის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ სოციალურ დაზღვევის საბჭოს დადგენილებით, რაც 1925 წლის თებერვლის 19-ს იქნა მიღებული, ის პირნი, რომლებსაც შრომის უნარი პროფესიონალურ ავადმყოფობის გამო აქვთ დაკარგული და აგრეთვე იმ დაზღვეულთა ოჯახები, რომლებიც პროფესიონალურ ავადმყოფობით გარდაიცვალნენ, პენსიის მხრივ დასახიჩრებულებსა და მათი ოჯახის წევრებს გაუთანასწორდნენ. შემდეგში რიცხვი ჯგუფებისა ინვალიდობის გამო სამამდე იქნა დაყვანილი.

შრომის ინვალიდთა რიცხვი.

ტფილისის დამზღვევ კასამ შრომის ინვალიდებისა და დაზღვეულთა ოჯახების დაობლებულ წევრთა უზრუნველყოფა

1922 წლიდან დაიწყო.

მათი რიცხვი თანდათან იზრდება:

წ ლ ე ბ ი	შრომის ინვალიდები	ოჯახის დაობლებული წევრები	ს უ ლ
1922	240	—	240
1923	483	237	720
1924	658	302	960
1925	804	355	1159

ამ რიგად უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში შრომის ინვალიდების, ობლებისა და ქვრივების რიცხვი 382,9%-ით გაიზარდა.

შედარებით ნელი ტემპით იზრდება პენსიები და დახმარებანი:

ჯგუფები	1924 წ. იანვ. პირველი		25 წ. იანვრის პირველი		გაიზარდა %-ით	1924 წ. იანვ. პირველი		1925 წ. იანვ. პირველი		გაიზარდა %-ით								
	შრომის ინვალიდები					ოჯახის დაობლებული წევრები												
I	14	მახ.	50	კ	25	მახ.	—	—	72,4	7	მახ.	50	კ	16	მახ.	70	კ	122,6
II	7		50	„	16	მახ.	70	კ	122,6	5	.	25	.	12		50	„	138,1
III	5		25	.	12		50	.	138,1	3		75	„	8	„	40	.	126,7

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ პენსიებს და დახმარებათა მოყვანილი ნორმები კანონმდებლობით დაწესებულ ნორმებს საგრძნობლად ჩამორჩებიან და რომ მათში გათანასწოების პრინციპის ანასახია მოცემული.

უზუშევაართა

შრომის შესახებ არსებულ კანონების უზარუნველყოფა. კოდექსით (მუხ. 185) უფლება უმუშევრობის გამო დახმარების რაოდენობის დაწესებისა შრომის შესაფეროვანოებს აქვს მინიჭებული, მხოლოდ იმ პარობის დაცვით, რომ დახმარების ნორმები არ იქნეს „უმცირეს ამა თუ იმ ადგილის საშუალო საშუაო ხელფასის ერთი მეექვსედისა იმისდა მიხედვით, თუ როგორია უმუშევარის კვალიფიკაცია და დაქირავებითი მუშაობის სტაჟი ვიდრე საშუაო ხელფასს დაჰკარგავდა“. შემდეგ კანონით (მუხ. 186) დახმარების გაცემის ვადა „არა უმცირეს ექვსი თვით“ არის განსაზღვრული.

უმუშევრების უზრუნველყოფას სოციალური დაზღვევის ტფილისის კასა 1922 წლის დასასრულს შეუდგა. პირველ ხანებში დაზღვეულთა რიცხვი შრომის ბირჟაში აღრიცხულ უმუშევართა საერთო რიცხვის 5%-ის ოდნავ თუ აღემატებოდა.

შემდეგში დაზღვეულთა რიცხვი გაიზარდა. 1924 წელს დაზღვეულ უმუშევართა რიცხვი 1675 კაცამდე ავიდა, რაც უმუშევართა საერთო რიცხვის (9670 კაცი) 17,3%-ს შეადგენდა. 1925 წელს

კი დაზღვევა უკვე 3304 კაცზე, ესე იგი უმუშევართა საერთო რიცხვის (10.114 კაცი) 32,6%-ზე გავრცელდა.

დაზღვეულთა რიცხვის ზრდასთან ერთად დახმარებათა ნორმებიც გაიზარდა.

1924 წლის იანვარში უმუშევართა პირველი კატეგორია დახმარებას 7 მან. 50 კაპ. რაოდენობით იღებდა. 1926 წლის პირველ იანვრისათვის კი 15 მანეთს, ესე იგი დახმარების რაოდენობა 100% -ით გაიზარდა. ამავე ხნის განმავლობაში უმუშევართა მეორე კატეგორიის დახმარებათა რაოდენობა 5 მან. 25 კაპიკიდან 10 მანეთამდე, ესე იგი 90% -ით გაიზარდა.

ცხოვრების გაძვირებაც რომ მივიღოთ მხედველობაში, აღმოჩნდება, რომ დახმარების ყოველი სახე და მათ შორის დახმარება უმუშევრობის გამო რეალურად მაინც მომატებულია.

მოყვანილი ნორმები დახმარებისა უმუშევრობის გამო, შრომის შესახები კანონების კოდექსით დაწესებულ ზღვარულ ნორმებზე ოდნავ მეტი იყო.

დახმარების გაცემის ხანგრძლივობაც არ ჩამორჩება კანონით დაწესებულ ვადას. უმუშევრობის გამო დახმარების გაცემა ექვს თვე-ს ნაკლებს არ გრძელდებოდა, მშრომელთა ცალკე ჯგუფები კი—კალიფორნიის მუშები—9 თვის განმავლობაშიც ღებულობდნენ.

**სანატორიულ-საქუ-
რობით დახმარება
და დასასვენებელი
სახლები.**

პროფილაქტიურ ღონისძიებებს საბჭოთა დამზღვევ ორგანოების საერთო მოღვაწეობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია.

ასევე შეიძლება ითქვას ტფილისის დამზღვევ კასის შესახებ.

ტფილისის დამზღვევ კასამ სანატორიებისა და დასასვენებელ სახლების ორგანიზაციაში 1923 წლიდან დაიწყო მონაწილეობის მიღება. ამ დრომდე მშრომელთათვის სანატორიული დახმარების საქმე სავსებით ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარ საკურორტო მმართველობის გამგებლობაში იყო, დასასვენებელ სახლების ორგანიზაციის საქმე კი ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყო.

**საექიმო-საკონტროლო
კომისიის და
საექიმო მახპარატივის
ბიურო.**

ეს ორგანოები საქართველოში 1923 წ. იანვრიდან დამხლვევ კასის სრულ გამგებლობაში იმყოფებიან. ხსენებულ ორგანოების წევრებს შრომის ჯილდო დამხლვევ კასის სახსრებიდან ეძლევა. ისინი დამხლვევ კასებთან სრული კონტაქტით და მათი დირექტივების მიხედვით მუშაობენ.

ასეთ მდგომარეობის უმთავრეს შედეგათ ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ ექიმები, რომლებიც საექიმო-საკონტროლო კომისიებსა და შრომის ინვალიდობის გამოპრკვევი საექიმო ექსპერტიზის ბიუროში მუშაობენ თანდათანობით დამხლვევ ექიმებათ, საზოგადოებრივ ექიმებათ გადაიქცნენ.

ბუნებრივია, რომ ასეთი ექიმები დახლვეულთა შრომის უნარის დაკარგვის გამოპრკვევის დროს მედიცინის მართო „ობიექტური“ ნიშნებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ დამხლვევ ორგანოების საერთო ფინანსიურ შესაძლებლობასაც უწევენ ანგარიშს.

თავისთავად იგულისხმება, რომ დახლვეულთა ინტერესები ამ შემთხვევაში არასდროს არ დაიარლვევა. პირიქით საექიმო-საკონტროლო კომისიისა და საექიმო ექსპერტიზის ბიუროს დამხლვევ ორგანოების გამგებლობაში ყოფნა საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ დასახლვევი სახსრების ხარჯვა სწორად და ფრთხილად სწარმოებდეს.

ექიმები, რომლებიც ამ კომისიებში მუშაობენ და ავადმყოფობის გამო შევებულების მიცემაზე და ინვალიდობის განსაზღვრაზე უარს არ ამბობენ, თავიანთ გადაწყვეტილების გამოტანის დროს საკითხს ფრთხილად და დიდის პასუხისმგებლობის სრული შეგნებით უდგებიან.

ამრიგად, საკითხი იმის შესახებ, თუ ვის გამგებლობაში უნდა იყვნენ ხსენებული ორგანოები, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატისა თუ დამხლვევ კასებისა, საბჭოთა საქართველოში იმ თავითვე სწორად გადაიქრა.

**საექიმო დახმარება
დახლვეულებს.**

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოდ, რომ დახლვეულთათვის საექიმო დახმარების აღმომჩენ აპარატის ორგანიზაციულმა სტრუქტურამ მთელი რიგი ცვლილებებისა განიცადა. ეს ცვლილებები იმდენად ცხოვრების, პრაქტიკის მოთხოვნილებებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ წარმოადგენდნენ შედეგს იმ კანონდებულებებისა,

რომლებიც დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების აღმომჩენ აპარატის სტრუქტურას შეეხებოდა.

აქ უთუოდ უნდა აღინიშნოს ის უცილობელი ფაქტი, რომ დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების აღმომჩენი ორგანოები რესპუბლიკის ყველა მსხვილ ცენტრში პროფესიონალურ და დამზღვევ ორგანოების უშუალო მონაწილეობით და მათი კონტროლის ქვეშ იზრდებოდნენ, ვითარდებოდნენ და მუშაობდნენ.

ასეთი მკიდრო კავშირი მუშაობაში განსაკუთრებით ტფილისში სწარმოებდა, სადაც დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების საქმეს ფაქტიურად დამზღვევი კასა განაგებს.

მეორე მომენტი, რომელიც აგრეთვე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არის ის, რომ დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების აღმომჩენის საქმემ ტფილისში იმ დონეს მიაღწია, რისი წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა წინედ.

გაუმჯობესება, რასაც სოციალურ დაზღვევის ამ საყურადღებო დარგში ჰქონდა ადგილი, იმდენად სამკურნალო დაწესებულებათა და საექიმო პერსონალის რიცხვის გადიდებაში კი არ გამოხატულა, რამდენადაც ხარისხში, თვით დახმარების კვალიფიკაციაში.

დაზღვეულთა წრის თანდათანობით ზრდის და სოციალურ დაზღვევის იდეის დაქირავებულ შრომის პირთა და მათი ოჯახების წევრთა ფართო ფენებში გავრცელების გამო, საექიმო დახმარების მისაღებად დამზღვევ კასებს დაზღვეულების მეტი და მეტი რიცხვი მიმართავდა, რასაც დაავადმყოფების შემთხვევების მოძრაობაც გვიჩვენებს.

ზემოდთქმულის დასამტკიცებლად ჯანმრთელობის დაცვის ტფილისის განყოფილების დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილების მუშაობიდან ჩვენ შესაფერის ცნობებს მოვიყვანთ:

ამბულატორიაში დამსწრეთა მოძრაობა

წლები	დამსწრეთა საერთო რიცხვი	მ ა თ უ რ რ ი ს							
		დაზღვეულები	ს.ს.ე.ში	ოჯახის წევრები	1/100-ში	პირელად		განმეორებით	
						დაზღვ.	ოჯახ. წევრ.	დაზღვ.	ოჯახ. წევრ.
1923	679057	375204	54	303853	46	91827	78857	283377	224996
1924	846945	457386	54	389559	46	109784	92499	347602	297060
1925	968502	521107	53,9	447395	41,1	124220	103438	396887	343957

ეს ციურები გვიჩვენებენ, რომ ავადმყოფთა რიცხვი თანდათან მატულობდა; თუ მხედველობაში მივიღებთ. დაზღვეულთა საშუალო რიცხვს ამ წლებში, მაშინ ყოველ 100 დაზღვეულზე დასწრების შემდეგი რიცხვი მოდის:

წლები	პირველად	განმეორებით
1923	288	889
1924	349	1105
1925	340	925

სახლში ექიმობა.

სახლში ექიმობა დაზღვეულთა შორის კ. ტფილისში ფართოდ გავრცელდა და ეს უმთავრესად იმ გარემოებით აიხსნება, რომ საავადმყოფოებში არსებულ საწოლების რიცხვი მოთხოვნილებას სრულად ვერ აკმაყოფილებს. ამ საკითხში დიდ როლს თამაშობს აგრეთვე ავადმყოფთა კვების საქმის დაყენებაც.

მოყვანილ მიზეზებმა საექიმო დახმარების ამ სახის ფართოდ გავრცელებას ხელსაყრელი ნიადაგი შეუმზადა.

პირველ ხანებში ექიმის ავადმყოფთან მოსაწვევად სახლში საკირო იყო სამკურნალო ქვეგანყოფილების შესაფერის პუნქტებიდან ორდერის მიღება და შემდეგ ამ ორდერით ექიმის მოძებნა.

ასეთი წესი დაზღვეულებს დიდძალს დროს ართმევდა, რაც მათში სამართლიან გულისწყრომას იწვევდა. შემდეგში ექიმების სახლში გამოწვევის წესი შემდეგნაირად შეიცვალა. დაზღვეული, რომელიც ექიმს საჭიროებს, ამის შესახებ სამკურნალო ქვეგანყოფილების შესაფერისს სარაიონო პუნქტს აცნობებს, სადაც გამოიწერება ორდერი ავადმყოფის მისამართის ჩვენებით; ორდერებს დღის დანიშნულ ვადაში ავადმყოფებთან მისასვლელად თვით სარაიონო ექიმებს მიაქვთ. სარაიონო ექიმი ვალდებულია ინახულოს ავადმყოფი არა უგვიანეს 8 საათისა ორდერის მიღებიდან. ჩვეულებრივად ექიმი ავადმყოფს ორდერის მიღების 2--3 საათის შემდეგ ნახულობს.

სარაიონო ექიმები ავადმყოფის ყოველ ნახეზე 40 კაპიკს ღებულობენ. ყოველი სარაიონო ექიმი მომარაგებულია საგანგებო მოსახვევ ჩეკების წიგნაკებით, რომელთაც დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილების ბიჰელი აზის. ჩეკებით წამალი გამოიწერება.

ასეთი რეცეპტით დაზღვეულს ყოველ აფთიაქიდან შეუძლია უფასოდ გამოიტანოს წამალი.

ყოველ 100 დაზღვეულზე ექიმმა სახლში — ავადმყოფების შემდეგი რიცხვი ინახულა:

1923 წელს	271
1924 " "	. 396,3
1925 " " 560,5

როგორც ამ ციფრებიდანაა სჩანს დახმარების ეს სახე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ორნახევარჯერ მეტით გაიზარდა.

**საწოლით (საავად-
მყოფოთი) მკურნა-
ლობა.**

საავადმყოფო საწოლების საერთო რიცხვი მთელს რესპუბლიკაში, აკარისტანის აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის ჩათვლით, ს. ს. ს. რესპუბლიკის ჯანმრთელობის და-

ცვის სახალხო კომისარიატის ცნობებით 3711-ს უდრის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის მცხოვრებთა რიცხვი 2.500.000 კაცს უდრის დავინახავთ, რომ მცხოვრებთა ყოველ 650 სულზე ერთი საწოლი მოდის.

კერძოთ ტფილისს, სადაც 234.000 მცხოვრები ირიცხება, 1675 საწოლი აქვს. ამრიგად ყოველ საწოლზე 139,6 სული მოდის.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ზემოდ საწოლების რიცხვის სიმცირის შესახებ. ამ გარემოებამ აიძულა დაზღვეულთა სამკურნალო ქვეგანყოფილება მოეწყო საკუთარი საავადმყოფო 110—საწოლით.

100 დაზღვეულიდან საავადმყოფოებში მოთავსებულ იქნა და საწოლი — დღე გაატარა:

1923 წელს . . .	29,4 კაცმა . . .	422,2 საწოლი—დღე
1924 . . .	28 " . . .	441,2 " "
1925 " . . .	25,5 " . . .	467,1 " "

ამ ციფრებში დამახასიათებელია ის, რომ საავადმყოფოებში გამოყენებულ საწოლების რიცხვი თანდათანობით მცირდება, რაც სახლში მყოფიარე ავადმყოფთა რიცხვის ზრდის ხარჯზე უნდა იქნეს გადატანილი.

საექიმო-სასანიტარო საქმის და კერძოთ საავადმყოფოებში ავადმყოფთა კვების გაუმჯობესება უთუოდ შექმნის ისეთ მდგომარეობას, რომ საავადმყოფოები დაზღვეულებს უფრო და უფრო მიიზიდავენ, ამის შედეგი კი ის იქნება, რომ სამკურნალო ქვეგანყოფილება სახლში დახმარების აღმოსაჩენად ნაკლებ ხარჯებს გასწევს.

ხარჯები ხაშიმის დახმარებაზე.

დაზღვეულთათვის საეკიმო დახმარების აღმოჩენის საქმის გაუმჯობესებასა და გაფართოვებასთან ერთად ბუნებრივია ხარჯე-

ბიკ უნდა გაზრდილიყო.

1924 წლიდან ვიდრე 1925 წლის ოქტომბრამდე (წინა წლებისათვის სრული ცნობები არ მოიპოვება) ქ. ტფილისის დაზღვეულთათვის საეკიმო დახმარების აღმოსაჩენად 988384 მ. 65 კაპ. დაიხარჯა, რაც ერთ დაზღვეულზე საშუალოდ 27 მ. 12 კაპ. შეადგენს.

ამ საერთო თანხიდან 34% ამბულატორულ დახმარებაზე დაიხარჯა, 15,5% — სახლში მწოლიარე ავადმყოფთა დახმარებაზე, 29% სტაციონალურ დახმარებაზე ყველა საავადმყოფოში, დანარჩენი 21,5% კი საგანგებო სამკურნალო დაწესებულებების შენახვაზე, როგორც არის ტალახის, გოგირდის სამკურნალო, ბავშვთა ბავშვები და კონსულტაციები, სავარჯიშო დარბაზი „სანიტასა“.

ამ საერთო თანხიდან დამზღვევე კასის ანარიცხები ფონდ ჯგ“-ში 614854 მან. ესე იგი 62,2%-ს უდრიდა; დანარჩენი 373530 მ. 65 კაპ. ანუ 37,8% -კი ჯანმრთელობის დაცვის ქალაქის განყოფილებამ დაფარა.

დანასკვი.

ამ წიგნში ჩვენ შევეცადეთ მოკლედ გაგვეცნო მკითხველისათვის ისტორია სოციალური დაზღვევის განვითარებისა საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკურ წყობილების დროს.

დამზღვევე კანონმდებლობისა და დამზღვევე ორგანოების პრაქტიკის გაცნობიდან მკითხველი ერთ აუცილებელ დასკვნამდე მივა: ყველა მთავრობის კანონმდებლობებიდან თებერვალის რევოლუციამდე და მას შემდეგ ყველაზე უფრო მოწინავე, სრული და მშრომელ მასების არსებით ინტერესების დამაკმაყოფილებელი — საბჭოთა ხელისუფლების კანონმდებლობაა.

მართალია, პირველ ხანებში ამ კანონებს, როგორც ჩვენში ისე რუსეთში უფრო დეკლარაციული ხასიათი ჰქონდათ, უფრო აუწყებდენ მუშებს მათ უფლებებს სოციალურ დაზღვევის დარგში, ვინაიდან იმ დროს საბჭოთა სახელმწიფოს არ ჰქონდა იმის ეკონომური შესაძლებლობა, რომ ეს კანონები სავსებით განეხორციელებია.

მაგრამ იმის და მიხედვით, თუ როგორ მტკიცდებოდა საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა, და ქვეყნის ეკონომიური ძლიერება თანდათანობით იზრდებოდა — დაზღვევის კანონმდებლობაც თანდათანობით ტარდებოდა ცხოვრებაში.

სოციალური დაზღვევის შემდეგი განვითარება მხოლოდ სახალხო მეურნეობის აწევას და ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად იქნება შესაძლებელი. ამიტომ, ამ წიგნში საბჭოთა დაზღვევის კანონმდებლობის სრულ შეფასების მოცემა ჩვენ ნაადრევად მიგვაჩნია.

საერთო ეკონომიურ პირობების დამიხედვით შესაძლებელია დაზღვევის კანონმდებლობის მატერიალური და უფლებრივი ნორმებიც შეიცვალოს.

შეიცვლება ალბად დამზღვევ ორგანოების და დაზღვეულთათვის საექიმო აღმომჩენ ორგანოთა საორგანიზაციო სტრუქტურა, ვინაიდან ამჟამად არსებული არ შეიძლება სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ცხადია უახლოეს წლებში თვით ცხოვრება შეიტანს ამ კანონებში თავის კორექტივებს.

თანდათანობით აღმოიფხვრება აგრეთვე სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ნაშთები—დაზღვეულის ქონებრივ მდგომარეობის აღრიცხვა პენსიისა და დახმარების აღმოჩენის დროს.

რაც შეეხება ამ ჟამად მომქმედ საბჭოთა დაზღვევის კანონმდებლობას, მისი განმსხვავებელი ხაზები წინანდელ კანონმდებლობები-საგან არსებითად შემდეგი სახით შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. საბჭოდა დაზღვევის კანონმდებლობა დაქირავებულ შრომის ყველა პირზე ვრცელდება. ყველა წამოწყება-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები დაზღვევის კანონმდებლობის მოქმედებას ექვემდებარებიან. ასეთი მდგომარეობის შედეგათვის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოში ამჟამად ას ოც ათას კაცზე მეტია დაზღვეული, მაშინ როდესაც 1920 წლის ბოლოში, ესე იგი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ დაზღვეულთა რიცხვი ძლიერ ძლივობით ათი ათას კაცს აღემატებოდა, ესე იგი მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 12%-ს თუ შეადგენდა.

სხვაგვარად რომ ვსთქვათ წინედ ნაწილობრივი დაზღვევა არსებობდა, ამჟამად კი საყოველთაო დაზღვევა განხორციელებული.

2. საბჭოთა დაზღვევის კანონმდებლობის მეორე, არა ნაკლებ საყურადღებო მომენტად ყოველგვარ დასაზღვევ ხარჯების დამქირავებლებზე გადატანა უნდა ჩაითვალოს—ესე იგი მუშებს არავითარი დასაზღვევი გადასახადები არ შეაქვთ დამზღვევ კასეტში. როგორც უკვე დავინახეთ წინეთ მუშებს თვით შეჰქონდათ საავადმყოფო კასეტში თავიანთი ფაქტიურ ხელფასის 2-2 1/2 %.

3. დაზღვევის კანონმდებლობამ საქართველოში დაზღვევის მხოლოდ ორი სახე იცოდა: ავადმყოფობის და დასახიჩრების შემთხვევებში. საბჭოთა კანონმდებლობის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი, როგორც ეს ჩვენ ვიცით, დაზღვევის სხვა სახეებსაც ანხორციელებს. აქედან ყველაზე უფრო საყურადღებოა საერთო ინვალიდობისა და უმუშევრობის დაზღვევა.

4. სოციალური დაზღვევის ისტორიამ არც დასავლეთ ევროპასა და არც თებერვლის რევოლიუციის წინა და შემდეგმა რუსეთსა და საქართველოში არ იცის იმის მაგალითი, რომ დაზღვეულებს შრომის უნარის დროებით დაკარგვისას სრული ხელფასი მიცემოდეს. მხოლოდ საბჭოთა კანონმდებლობა ანხორციელებს ამ ნორმებს. ამას, თავისთავად ცხადია, დიდი დადებითი მნიშვნელობა აქვს.

5. ჩვენ თანდათანობით გავშალეთ სურათი დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის ორგანიზაციისა სხვადასხვა პოლიტიკურ პირობებში. ექვი არ არის მუშა-მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის საქმეს არასდროს არ მიუღწევია იმ დონემდე, როგორც ამჟამად არის. საექიმო დახმარების ასეთი მასიური ორგანიზაცია წამლების უფასოდ გაცემით, სანატორიულ-საკურორტო დახმარების ასეთი ფართოდ გამოყენება და დაზღვეულთა და მათი ოჯახების წევრთათვის დასასვენებელ სახლების ორგანიზაცია—სრულიად ახალ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

6. დაბოლოს საბჭოთა დაზღვევის კანონმდებლობის ერთ დამახასიათებელ და დადებით მხარედ ის გარემოებაც უნდა ჩაითვალოს, რომ სოციალური დაზღვევის მთელი საქმეები ერთ ორგანოში—დამზღვევ კასაშია მოქცეული. როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ წინედ სოციალური დაზღვევის (ჯალკე სახეები ცალკ-ცალკე ხორციელდებოდა და სხვადასხვა ორგანიზაციების გამგებლობაში იმყოფებოდნენ.

ლიტერატურა და მასალები.

1. 1912 წლის იენისის 23-ის კანონები.
 2. საფაბრიკო ინსპექციის ანგარიშები 1912—16 წლების.
 3. ამიერ-კავკასიის საოლქო დამხლევე ამხანაგობის ანგარიშები და მასალები 1916 და 1918 წ. წ. ბაქო.
 4. ბ. გ. დანსკი—წინარევიოლჟუტიური დაზღვევის კამპანია. მოსკოვი 1923 წ.
 5. ექიმი ნ. ა. ვიგდორჩიკ—თეორია და პრაქტიკა სოციალურ დაზღვევისა; მესამე გამოცემა. პეტროგრადი გამომცემლობა „წიგნი“.
 6. ა. პ. შტეინბერგ—„რას აძლევს მუშას სოციალური დაზღვევა“. მოსკოვი 1925 წ.
 7. ლ. ე.—„ახალი კანონები მუშებისა და მოსამსახურეების დაზღვევის შესახებ“ ტფილისი, 1923 წ. ს. პ. კ. ს. გამოცემა.
 8. საქრათველოს სტატ. ცენ. სამმართ. სტატისტიკ. კრებული 1899--1921 წ. წ. ტფილისი 1923 წ.
 9. სოციალური დაზღვევა ს. ს. რ. კავშირში 1923—25 წ. წ. მოსკოვი „შრომის საკითხების“ გამოცემა.
 10. მუშების დაზღვევა და სოციალური პოლიტიკა (ეურნალი) 1917 წ. პეტროგრადი.
 11. ქ. ტფილისის საავადმყოფო კასის ანგარიში და მასალები 1914—20 წლისა.
 12. საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის მასალები 1919—20 წლისა.
 13. ტფილისის საერთო საქალაქო დამხლევე კასის ანგარიში და მასალები 1921—25 წლებისა.
 14. შრომის კანონმდებლობათა კრებული I. შრ. სახ. კომ. გამოცემა 1925 წ.
-

შ ი ნ ბ ა რ ს ი

წინასიტყვაობა (გვ. 3—4).

თავი პირველი.

სოციალური დაზღვევა თებერვლის რევოლუციამდე.

წინასწარი შენიშვნები. საქართველოს მრევველობა (გვ. 5—8).

დაზღვევა ავადმყოფობის შემთხვევაში. საავადმყოფო კასები. საავადმყოფო კასების რიცხვი. ფულადი დახმარება კასის წევრებს. ფულადი დახმარება კასის მონაწილეთა ოჯახების წევრებს. საექიმო დახმარება ქ. ტფილისის საფარბრიკო-საქარბნო მუშებს. კოლექტიური საექიმო დახმარების ორგანიზაცია. საექიმო დახმარება კასის მონაწილეებს. საავადმყოფო კასების სახსრები. კასების სტატისტიკური ცნობები. საავადმყოფო კასის „ტრამეაი“-ს მონაწილეთა შემადგენლობა სქესის მიხედვით. საავადმყოფო კასის „ტრამეაი“-ს მონაწილეთა ავადმყოფობა. საავადმყოფო კასის „ტრამეაი“-ს მონაწილეთა უბედურ შემთხვევების რიცხვი. მკვდოვანობა საავადმყოფო კასის „ტრამეაი“-ს მონაწილეთა და მათი ოჯახების წევრთა შორის. საავადმყოფო კასების საქმეების გამგებლობა. ზედამხედველი ორგანობები. დანასკვი. (გვ. 8—29)

დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან.

დაზღვეულთა წრე და პენსიების წრე. ამიერ-კავკასიის საოლქო დამზღვევი ამხანაგობა. წამოწყებათა განაწილება წარმოების მიხედვით. დასაზღვევი გადასახადები. პენსიის მიღების წესები. დანასკვი (გვ. 29—35).

თავი მეორე.

სოციალური დაზღვევა თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვიდრე საქართველო რუსეთს ჩამოშორდებოდა (1918 წ.).

წინასწარი შენიშვნები. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო სოციალურ დაზღვევის შესახებ. დროებითი მთავრობის კანონები. მუშათა მასების მოთხოვნილებანი. მუშების დაზღვევა უბედურ შემთხვევებისაგან. (გვ. 36—47).

თავი მესამე.

სოციალური დაზღვევა საქართველოში მენშევიკური მთავრობის დროს.

საერთო შენიშვნები. ლიკვიდაციის ტემპის გაძლიერება. საავადმყოფო კასების მდგომარეობა. კამპანია კასების გაერთიანების გარშემო. პირველი თათბირი. პროფკავშირთა საბჭო საავადმყოფო კასების გაერთიანების შესახებ. საავადმყოფო კასა „ტრამეაი“. საავადმყოფო კასის „ტრამეაი“-ს ზრდა. საავადმყოფო კასის „ტრამეაი“-ს მონაწილეთა შემადგენლობა. საავადმყოფო კასის „ტრამეაი“-ს მონაწილეთა ზედამხედველობა. მკვდოვანობა საავადმყოფო კასის „ტრამეაი“-ს მონაწილეთა და მათი წევრების შორის. მშობიარობა ა) „ტრამეაი“-ს კასის მონაწილე ქალებისა და ბ) მონაწილეთა ცოლებისა. საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის ზრდა. პროფკავშირების საავადმყოფო კასები. საექიმო დახმარება კასის

მონაწილეებს. საექიმო დახმარების კოლექტიური ორგანიზაცია. სანიტარულ-საკურორტო დახმარება. ყულადი დახმარების სახეები და რაოდენობა. დასაზღვევ გადასახადთა რაოდენობა. ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის მონაწილეთა წრე 1921 წლის პირველ ნახევრისათვის. მონაწილეთა შემადგენლობა სქების მიხედვით. მონაწილეთა განაწილება კავშირების მიხედვით. მონაწილეთა განაწილება ეროვნების მიხედვით. მკვდოჯანობა ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის მონაწილეთა შორის. ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის მონაწილე ქალების მშობიარობა. კანონის მუხლების შეცვლა. ტფილისის საერთო საქალაქო საავადმყოფო კასის მოქმედება. საავადმყოფო კასების საქმეების გამგებლობა. ზედამხედველობის ინსტანციები. მუშების დაზღვევა უბედურ შემთხვევებისაგან. დაზღვეულთა წრე. დაზღვეულთა ოციხვი. დაზღვევის საქმეების გამგებლობა. კანონის მუხლების შეცვლა. საავადმყოფო კასების კონფერენცია. დანასკვი. (გვ. 48—82)

თავი მეოთხე.

სოციალური დაზღვევა საბჭოთა საძარტველოში.

ნაწილი პირველი.

წინასწარი შენიშვნები. ძირითადი დაზღვევის დეკრეტი. შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილება. დედობის დაზღვევა. ამიერკავკასიის რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს დაზღვევის კანონები. ორგანიზაციულ სტრუქტურის საკითხები. ს. პ. კ. საბჭოს პლენუმი სოციალურ დაზღვევის შესახებ. გარდამავალი მომენტი. საქართ. პროფ. კავშ. ცენ. საბჭოს მეორე პლენუმის დადგენილება სოციალურ დაზღვევის შესახებ. ამიერკავკასიის პროფ. კავშირთა პირველი ყრილობის დადგენილება სოციალურ დაზღვევის შესახებ. პროფკავშირების სრ. რუსეთის მე 5-ყრილობის დადგენილება. დამზღვევ ორგანოების არსებული სტრუქტურა. რას იძლევიან დაზღვევის კანონები. დაზღვევის სახსრები. მომქმედი დაზღვევის ტარიფი. (გვ. 83—110)

ნაწილი მეორე.

სოციალური დაზღვევის ტფილისის დამზღვევი კასის პრაქტიკა. დაზღვეულთა რიცხვის მოძრაობა. დაკავებულ სამუშაო ძალისა და დაზღვეულთა რიცხვი. კასების ფინანსიური მდგომარეობა. დაზღვეულების უზრუნველყოფა შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს. დახმარების დამატებითი სახეები. კასის მონაწილე ქალების მშობიარობა. დახმარების გაცემა ბავშვის საკვებად. დახმარების გაცემა ბავშვის მოსაველელად. დახმარების გაცემა კასის მონაწილის და მისი ოჯახის წევრის დასამარხად. შრომის ინვალიდებისა და დაზღვეულთა ოჯახების დაობლებულ წევრების უზრუნველყოფა. უმუშევრების უზრუნველყოფა. სანატორიულ-საკურორტო დახმარება და დასასვენებელი სახლები. საექიმო-საკანტროლო კომისიები და საექიმო ექსპერტიზის ბიურო. საექიმო დახმარება დაზღვეულებს. ავადმყოფების ამბულატორიაში სიარული. ექიმობა სახლში. საწოლით (საავადმყოფოთი) ექიმობა. ხარჯები საექიმო დახმარებაზე. დანასკვი. (გვ. 111—133)